

ბანსჯაღობა

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე

2020, № 11

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)

2020, № 11

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)

2020, № 11

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)

2020, № 11

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 21 03;
www.supremecourt.ge

საქიჯბელი

1. ადმინისტრაციული განსჯადობა

ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავის განსჯადობა	4
ობიექტის მაგისტრალური გაზსადენის სისტემაზე მიერთებასთან დაკავშირებული დავის განსჯადობა	16
ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კონკრეტული მოქმედებისაგან თავის შეკავებასთან დაკავშირებული დავის განსჯადობა	30

2. სამოქალაქო განსჯადობა

ავტომანქანის საჯარიმო სადგომზე დგომის ღირებულების ანაზღაურების თაობაზე დავის განსჯადობა	38; 56; 72
ნივთიერი მტკიცებულებების კუთვნილების საკითხზე დავის განსჯადობა	80
პარტნიორის მიერ ქონების კერძო სამართლის იურიდიული პირის კაპიტალში შეტანის მართლზომიერების თაობაზე დავის განსჯადობა	85; 98
აღწერის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და გადახდილი ქირის უკან დაბრუნების თაობაზე დავის განსჯადობა	107
იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით ურთიერთობებთან დაკავშირებით დავის განსჯადობა	115

3. ტერიტორიული განსჯადობა

განსჯადობა იურიდიული პირების ადგილსამყოფლის მიხედვით ...	124
განსჯადობა მოპასუხის (სააღსრულებო ორგანოს) ადგილმდებარეობის მიხედვით	131; 139
განსჯადობა პროკურატურის ორგანოსთან დავის საგნის კავშირისა და წარმომადგენლობის ექსკლუზიურად მინიჭებული უფლებამოსილების გათვალისწინებით	151
განსჯადობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით	164; 173; 181
განსჯადობა ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით	191; 200
განსჯადობა მოსარჩელის არჩევანის შესაბამისად	205; 210

1. ადმინისტრაციული განსჯადობა

ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ღაზის განსჯადობა

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-748(გ-19)

26 თებერვალი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შორის წარმოშობილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ 03.04.2014წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე შპს „...ის“ მიმართ და მოითხოვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო მოსარჩელის სასარგებლოდ პირგასამტეხლოს დაკისრება 3 548 251 აშშ დოლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 08.04.2014წ. განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული. ამავე სასამართლოს 15.04.2015წ. განჩინებით სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. სასამართლომ მიუთითა, რომ დავა დაკავშირებულია კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების შესრულებასთან. ხელშეკრულების თანახმად, ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სს „...ის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა პაკეტის 99.449%-ის შესყიდვა. შპს „...მა“ იკისრა ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრაფიკის

მიხედვით საპრივატიზებო თანხის გადახდის, ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის განმავლობაში საზოგადოებაზე რიცხული კრედიტორული დავალიანების დაფარვის უზრუნველყოფის, ხელშეკრულების დადებიდან სამი წლის განმავლობაში საზოგადოების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკურორტო-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარების, საზოგადოების კუთვნილ შენობა-ნაგებობებში განთავსებული დევენილებისათვის, მათი საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისი ფართობის შეთავაზების ან კომპენსაციით დაკმაყოფილების ვალდებულება. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო თანხის სრულად დაფარვის შემდეგ, დაედასტურებინა საკუთრების უფლება გამოსყიდულ ქონებაზე, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების პირობით. ხელშეკრულებით განიკარგა სააქციო საზოგადოების აქციათა პაკეტი. სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 12.10.2011წ. №ბს-733-727(გ-11) საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე, სადაც საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „მენარმეთა შესახებ“ კანონი არ არის კომპლექსური, კერძო და საჯარო ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმებისაგან შემდგარი აქტი, ის არის მხოლოდ კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი საკანონმდებლო აქტი, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფო კერძო სამართლის იურიდიულ პირად მონაწილეობს, იგი შპს-ში პარტნიორი, ხოლო სს-ში აქციონერის სახით მონაწილეობს როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი და თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით. პალატამ აღნიშნა, რომ სადავო სამართალურთიერთობაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ასრულებს არა საჯარო უფლებამოსილებას, არამედ წარმოადგენს სახელმწიფოს, როგორც პარტნიორს, გამოდის პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში კერძო სამართლის სუბიექტის სახით და როგორც პარტნიორი ახორციელებს სამენარმეთო საქმიანობას „მენარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად.

აღნიშნულ გარემოებებზე მითითებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქმე განსახილველად უნდა გადასცემოდა სამოქალაქო საქმეთა განმხილველ სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 08.12.2015წ. გადაწყვეტილებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა,

შპს „...ს“ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა 100 360,45 აშშ დოლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 08.12.2015წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ. აპელანტმა მიუთითა გასაჩივრებული გადაწყვეტილების უსწორობაზე, აპელანტმა აგრეთვე სადავო გახადა განსჯადობის საკითხიც.

საქმის ზეპირი განხილვისას აპელანტმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საქმე ექვემდებარებოდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას, რამდენადაც დავა წარმოშობილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე და მხარეთა შორის დადებულია ადმინისტრაციული ხელშეკრულება. გარიგებიდან გამომდინარე სახელმწიფო საჯარო ინტერესს ქვეყანაში ინვესტიციების განხორციელების საჯარო მიზანი შეადგენდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატი 08.04.19წ. განჩინებით საქმე განსჯადობის საკითხის გასარკვევად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე, სასკ-ის 2.1 და 26-ე მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოსარჩელის მოთხოვნის ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებზე სამართლებრივი დაფუძნება, ანუ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ამასთან, დავის ერთ-ერთ მონაწილე მხარე აუცილებლად უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვას ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზა-

ცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას. მოსარჩელე მხარეა ადმინისტრაციული ორგანო – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, ხოლო მოსარჩელის მოთხოვნაა – მის სასარგებლოდ მოპასუხისთვის აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პირგასამტეხლოს – 354 8251 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს და შპს „...ს“ შორის 04.09.2008წ. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სს „...ის“ აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის, „სახელმწიფო ქონების შპს „...ისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 23.07.2008 წ. №517 განკარგულების, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების“, აგრეთვე საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 30.07.2008წ. №1-1/1574 ბრძანების საფუძველზე. სწორედ ზემოაღნიშნული კანონით და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განისაზღვრა ნასყიდობის საგანი და მისი საპრივატიზებო პირობები, კერძოდ, სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულების დადება, შეწყვეტა და მათ შორის მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება – პირგასამტეხლო და მისი გადახდის წესი, ადმინისტრაციული კანონმდებლობით განისაზღვრა. შესაბამისად, დავის საგანი გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და არა სამოქალაქო კანონმდებლობიდან.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ საქმე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადად მიიჩნია, თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებით საქმე განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავის კატეგორიას, რის გამოც სახეზეა

დავა განსჯადობის თაობაზე, რის გამოც განსჯადობის საკითხზე დავის გადასაწყვეტად საქმე გადაეცა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის სააკაცაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

დავა ეხება საგნობრივ განსჯადობას, შესაბამისად უნდა შეფასდეს მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი. სასკ-ის 11.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ. სასკ-ის 2.3 მუხლის მიხედვით, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილვენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს, აღნიშნული მუხლი შეიცავს ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს. კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით მოწესრიგებული სამართალურთიერთობიდან. სასკ-ის 2.3 მუხლის დებულება იმის შესახებ, რომ საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა, ასახავს განსჯადობის გარეგან ნიშანს. სამართალურთიერთობის კუთვნილების გარეგანი ნიშანი ეხება სადავო სამართალურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების ადგილს კანონმდებლობაში. კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის იმ სამართალურთიერთობიდან წარმოშობა, რომელიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

კონკრეტული დავის ადმინისტრაციული კატეგორიის საქმისადმი კუთვნილების მაჩვენებელია სადავო ურთიერთობებში ერთ-ერთ

მხარედ ადმინისტრაციული ორგანოს გამოსვლა, სადავო სამართალურთიერთობის ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე წარმოშობა და ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით. ვინაიდან სადავო სამართალურთიერთობა მოცემულ შემთხვევაში გამომდინარეობს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებიდან, დავის განსჯადობის გადაწყვეტა საჭიროებს ამ ხელშეკრულების ბუნების გარკვევას, რადგანაც სასკ-ის 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება. სზაკ-ის 65.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს თავისი უფლებამოსილებების განხორციელება შეუძლია ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით, ხოლო სზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით დადებული სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება. ამდენად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო-სამართლებრივი საქმიანობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს პრეზიდენტის 23.07.2008წ. №517 განკარგულებით შპს „...ის“ აქციათა პაკეტის 99.449% პირდაპირი მიყიდვის წესით გადაეცა შპს „...ს“. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს და შპს „...ს“ შორის 04.09.2008წ. გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, შემდგომში მხარეთა შორის გაფორმდა 19.07.2011წ. და 18.11.2011წ. ხელშეკრულებები 04.09.2008წ. ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ 2012-2013 წლებში არაერთი წერილი მიმართა შპს „...ს“. ხელშეკრულების მოთხოვნათა შეუსრულებლობის ნაწილი შპს „...ის“ მიერ აღიარებულია. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ მიმართა სასამართლოს.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, რომელიც სზაკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვე-

პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის 2.1 მუხლის მიხედვით, არის ადმინისტრაციული ორგანო. მაშასადამე, სახელმწიფო პრივატიზაციის ხელშეკრულებაში ერთ-ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან თუ კერძო პირთან დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს არ ქმნის მხოლოდ ის გარემოება, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე, მოცემულ შემთხვევაში სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, ადმინისტრაციული ორგანოა. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის კერძო სამართლებრივი ფორმები და შესაბამისად დადოს კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულება. საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის (სზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი) ძირითადი მახასიათებელია ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსით განისაზღვრება. ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის 1-ლი მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვას ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი მაშინაა სახეზე, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს მისთვის კანონით განსაზღვრული ძირითადი უფლებამოსილების ფარგლებში და ამ უკანასკნელის შესრულების მიზნით. ვინაიდან სახელმწიფო ქონების მართვა/განკარგვა, პრივატიზების შესახებ ხელშეკრულების დადება სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ძირითად ფუნქციათა რიგს განეკუთვნება, ამდენად, სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ახორციელებს მისთვის კანონით დადგენილ საჯარო უფლებამოსილებას და აქედან გამომდინარე, დებს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რომლიდან გამომდინარე დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება. შპს-სთან ხელშეკრულების დადებისას

სააგენტო ახორციელებდა საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას, ხელშეკრულება დაიდო საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, რაც ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამართლებრივი ხასიათის განმსაზღვრელი ძირითადი ელემენტია. განსახილველ შემთხვევაში მხარეებს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების მიზანს შეადგენდა სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობა პრივატიზების გზით, სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობა ანუ პრივატიზაცია სახელმწიფოს განსაკუთრებულ საჯარო უფლებამოსილებას განეკუთვნება. საერთო წესის თანახმად, სახელმწიფო ქონების პრივატიზაციასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში კანონმდებლობა ადმინისტრაციული ორგანოსაგან მოითხოვს ორგანოსთვის კანონმდებლობით მოწესრიგებულ უფლებამოსილებათა კომპლექსის რეალიზაციას. სახელმწიფო ქონების პრივატიზაციისას სახელმწიფო ცალმხრივად ადგენს სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო პირობებს, მაშინაც კი როდესაც სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის ინიცირება ხდება დაინტერესებული პირისაგან, რაც განაპირობებს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის დომინირებულ მდგომარეობას და დამატებით ადასტურებს ურთიერთობის საჯარო-სამართლებრივ ხასიათს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის ადმინისტრაციული განსჯადობის დასადგენად, ყველა სხვა ელემენტთან ერთად, უნდა განისაზღვროს თავად ხელშეკრულების მატერიალურ-სამართლებრივი ბუნება, ხელშეკრულება უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. სასკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული წარმოების წესით განიხილება საქმეები იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. პრივატიზაციის შესახებ ხელშეკრულება იდება „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე, ხელშეკრულების დადებას წინ უსწრებს ხელშეკრულების საპრივატიზებო პირობების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტის გამოცემა. სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესის დამავიწოდებელი ეტაპია პრივატიზების შესახებ ხელშეკრულების დადება, თუმცა ამ პროცესის სხვადასხვა ეტაპებზე ადმინისტრაციული ორგანო გამოსცემს ადმინისტრაციულ აქტს (ობიექტის პრივატიზების ფორმების შესახებ), ახორციელებს საჯარო მოქმედებებს (რეალაქტებს) (მაგ. განცხადებების მიღება, შედეგების შეჯამება, ობიექტის გადაცემა და სხვ.).

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ 21.07.10წ. კანონის 47.5 მუხლის თანახმად, ამ კანონის ამოქმედებამდე დაწყებულ, სახელმწიფო ქონების განკარგვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე ვრცელდება ამ კანონის ამოქმედებამდე არსებული წესი. ხელშეკრულების დადების დროისთვის მოქმედი „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ კანონის 1-ლი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში მოცემული პრივატიზების დეფინიციის თანახმად, პრივატიზება არის ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ სახელმწიფო ქონებაზე ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონებაზე საკუთრების უფლების შექმნა (ამჟამად მოქმედი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პრივატიზება არის სახელმწიფო ქონებაზე ელექტრონული ან/და საჯარო აუქციონით, პირდაპირი მიყიდვით ან ამავე კანონით გათვალისწინებული სხვა ფორმებით ფიზიკური ან იურიდიული პირების ან მათი გაერთიანებების მიერ საკუთრების უფლების შექმნა ამ კანონით გათვალისწინებული წესით). საფუძველს არის მოკლებული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.04.15წ. განჩინებაში მოყვანილი მოსაზრება იმის შესახებ, რომ დავა უკავშირდება კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების შესრულებას, ვინაიდან სადავო ურთიერთობები წარმოშობილია არა „მენარმეთა შესახებ“ კანონიდან, რომელსაც უთითებს თავის განჩინებაში საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, არამედ საპრივატიზაციო კანონმდებლობიდან. საკასაციო პალატა თვლის, რომ დავის სამოქალაქო საქმეთა კატეგორიისადმი კუთვნილებას არ ადასტურებს საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებაში მითითება სუს 12.10.12წ. №ბს-733-727(გ-11) განჩინებაზე, რომლითაც „მენარმეთა შესახებ“ კანონის მოთხოვნების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების სახელმწიფოსთვის დაკისრების შესახებ დავის განსჯადობის საკითხი გადაწყდა. აღნიშნულ დავაში სახელმწიფო კორპორატიულ ურთიერთობაში გამოდიოდა, როგორც კერძო სამართლის სუბიექტი, დამფუძნებელი პარტნიორი, ხოლო განსახილველ შემთხვევაში სახელმწიფო გამოდის არა კორპორატიულ ანუ კერძო-სამართლებრივ, არამედ საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებში, რომელშიც ის მოქმედებს როგორც საჯარო კანონმდებლობით განერილი უფლებამოსილებით აღჭურვილი საჯარო პირი. პრივატიზება არის ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ ან მათი გაერთიანებების მიერ სახელმწიფოს ქონებაზე ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონებაზე საკუთრების უფლების შექმნა კანონით დადგენილი წესით,

კერძოდ მხარეთა შორის ხელშეკრულების დადების დროს მოქმედი „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ კანონის და არა „მენარმეთა შესახებ“ კანონის საფუძველზე. განსახილველი დავა არ უკავშირდება კორპორატიულ ურთიერთობებს, ხელშეკრულების დადების დროს მოქმედი „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის, აგრეთვე ამჟამად მოქმედი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პირდაპირი მიყიდვა წარმოადგენს სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის ფორმას. ხელშეკრულების დადების მომენტში მოქმედი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 20.09.07წ. №1-1/1415 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების თანახმად, სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების მიზანს შეადგენდა საკუთრების უფლების გადაცემა იმ მიყიდვისთვის, რომელიც სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებდა სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისათვის დადგენილ პირობას (პირობებს). სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პირდაპირი მიყიდვისა და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს და შესაბამის პირობებს ადგენს საქართველოს პრეზიდენტი („სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ კანონის მე-6 მუხ. მე-5 პუნქტი). მოცემულ შემთხვევაში სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „...ს“ შორის ხელშეკრულების გაფორმებას წინ უძღოდა ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე მიღებული აქტის – „სახელმწიფო ქონების შპს „...სათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 23.07.2008წ. №517 განკარგულების გამოცემა. თავად ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ იგი მხარეებს შორის გაფორმდა „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლების გადაცემის შესახებ“ კანონის, საქართველოს პრეზიდენტის 23.07.2008წ. №517 განკარგულების, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მი-

ნისტრის 30.07.2008წ. №1-1/1574 ბრძანების საფუძველზე. სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის კანონმდებლობა ადმინისტრაციული კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილია, რომლითაც წესრიგდება სახელმწიფო ქონების განკარგვასთან დაკავშირებული ურთიერთობები. ამდენად, ხელშეკრულება ეფუძნება ადმინისტრაციულ კანონმდებლობას და ადმინისტრაციულ წარმოებას. ვინაიდან ხელშეკრულება ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე იდება, სახეზეა საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობა, სახეზეა სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიზნით დადებული ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო წარმოშობილი დავა, ხოლო პრივატიზების ხელშეკრულება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენს.

ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დავები საერთო სასამართლოების მიერ განიხილება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით (სასკ-ის 25¹.2 მუხ.). მართალია, დავის საგანია – მხარეთა შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება, მაგრამ თავად ნასყიდობის ხელშეკრულებით ხდება სახელმწიფო ქონების პრივატიზება, რაც მის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დავის ადმინისტრაციულ ხასიათს განაპირობებს. სასკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.

პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული მოთხოვნის ვალდებულებით-სამართლებრივი უზრუნველყოფის საშუალება, რომელსაც მოვალე იხდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისას. შესაბამისად, პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულების წარმოშობის წინაპირობაა ვალდებულების დარღვევა. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოს დაკისრება სამოქალაქო კოდექსით წესრიგდება (სკ-ის 405-ე მუხ.), აღნიშნული არ გამოორიცხავს პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე დავის განხილვას ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. მოცემულ შემთხვევაში, პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ სასარჩელო მოთხოვნა გამომდინარეობს იმ ხელშეკრულებიდან, რომელიც დაიდო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით. განსახილველი დავის შინაარსს არ ცვლის ის გარემოება, რომ მოსარჩელე მოთხოვნის საფუძველიანობას ასაბუთებს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით. საკასაციო პალატა აღ-

ნიშნავს, რომ მხარის მიერ მითითებული სამართლებრივი დასაბუთება არ ზღუდავს სასამართლოს განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტაში. ამასთანავე, სასამართლო კომპეტენციის სისრულიდან გამომდინარე, საქმის განმხილველ სასამართლოს ძალუძს გაერკვეს საქმის განხილვისას წამოჭრილ ყველა საკითხში, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით დავის განმხილველი ორგანო უფლებამოსილია დავის გადაწყვეტისას გამოიყენოს არამხოლოდ საჯარო-სამართლებრივი, არამედ კერძო-სამართლებრივი კანონმდებლობის ნორმები, მით უფრო იმ შემთხვევაში, როდესაც დავა კომპლექსური ხასიათისაა და საჯარო-სამართლებრივ საკითხებთან ერთად შეიცავს დამატებით კერძო-სამართლებრივ რეგულაციის ელემენტებს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განმხილველი სასამართლოები არ ქმნიან ერთმანეთისგან იზოლირებულ, ცალკე სასამართლო სისტემებს, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად საქართველოში მოქმედებს ერთიანი სასამართლო სისტემა. მართლმსაჯულების ნებისმიერი განშტოების სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს და განმარტოს ნებისმიერი ნორმატიული, აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ან კერძო-სამართლებრივი აქტი, მათი რეგულირების საგნის და გამომცემი ორგანოს მიუხედავად. მთავარი საკითხის გადამწყვეტ მოსამართლეს აქვს უფლება გადაწყვიტოს საკითხთა მთელი ერთობლიობა. ამდენად, ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილ პირგასამტეხლოსთან დაკავშირებული საკითხები ზოგადად სამოქალაქო, კერძო სამართლის მონესრიგების სფეროს წარმოადგენს, არ ქმნის განსჯადობის საქმის სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის დაქვემდებარების საფუძველს, რადგან თავად ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სახელმწიფო ქონების პრივატიზება, რომელიც საჯარო კანონმდებლობით მონესრიგებას მოითხოვს. სწორედ ხელშეკრულების საგანი, მისი დადების საფუძველები, მიზანი და ხელშეკრულებიდან გამომდინარე ძირითად უფლება-მოვალეობათა შინაარსი განაპირობებს ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის საგნობრივ განსჯადობას.

ამდენად, სასკ-ის 25¹, 26.3 მუხლების საფუძველზე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, მე-2, 25¹, 26-ე მუხ-

ლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი მოპასუხე შპს „...ის“ მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ოპიქტის მაგისტრალური გაზსადენის სისტემაზე მიერთებასთან დაკავშირებული დავის განსჯადობა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ

№ბს-200(გ-19)

16 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „...-ის“ წარმომადგენელმა 2018 წლის 5 დეკემბერს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების – შპს „ს...ისა“ და საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიმართ, შპს „ს...ის“ 2018 წლის 1 ნოემბრის №1/02-2272 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის 13 ნოემბრის №1/04-16-11146 გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და შპს „ს...ისათვის“ შპს „...-ის“ კუთვნილი ობიექტის მაგისტრალური გაზსადენის სისტემაზე მიერთების (შეჭრის) სამუშაოების განხორციელების დავალების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 17 დეკემბრის განჩინებით, მოსარჩელე შპს „...-ის“ სარჩელი, მოპასუხე შპს „ს...ის“ მიმართ, შპს „ს...ის“ 2018 წლის 1 ნოემბრის №1/02-2272 გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ქმედების განხორციელების დავალების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს და სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხე შპს ს...ის 2018 წლის პირველი ნოემბრის №1/02-2272 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და შპს ს...ისთვის დავალება, განხორციელოს შპს „...-ის“ კუთვნილი ობიექტის მარეგულირებელი გაზსადენის სისტემის მიერთების სამუშაოები. სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველი დავის შემთხვევაში სადავო სამართლებრივი ურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან. მოთხოვნა დაფუძნებულია სამოქალაქო სამართლის ნორმებზე. კერძოდ, დავის საგანი ეფუძნება სამოქალაქო კანონმდებლობით მონესრიგებულ ურთიერთობებს, მოპასუხე მხარეს წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიული პირი. ამდენად, არ არსებობს დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის წინაპირობები. წარმოდგენილი სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული. შესაბამისად, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებით მოცემული დავა ატარებს არა საჯარო სამართლებრივ, არამედ კერძო სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტებს, რის გამოც სასამართლომ მიიჩნია, რომ წინამდებარე საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცედურით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან, რომელთა გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები. ადმინისტრაციული კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისგან, ამკვიდრებს ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან განსჯადობის პრინციპს. როცა სასამართლო არაგანსჯადი ხდება, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო ვალდებულია საქმე გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე გვექნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექ-

სის 394-ე „ა“ მუხლის მიხედვით გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

სასამართლოს მოსაზრებით, მოცემული სადავო სამართალურ-თიერთობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის დანაწესის შესაბამისად, არის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველი დავა. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა გადასცემოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებას და 2018 წლის 25 დეკემბრის განჩინებით წამოიწყო დავა განსჯადობის შესახებ.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით განსაზღვრული სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობაზე და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეებზე. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საერთო სასამართლომ განიხილოს და გადაწყვიტოს დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, აუცილებელია ერთდროულად არსებობდეს სამართლებრივად მნიშვნელოვანი ორი კომპონენტი: 1) დავა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან უნდა გამომდინარეობდეს და 2) ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო (სამართალსუბიექტობის პრინციპი). განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს: მოპასუხე – შპს „ს...ის“ 2018 წლის 1 ნოემბრის №1/02-2272 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და შპს „ს...ისთვის“ შპს „...-ის“ კუთვნილი ობიექტის მაგისტრალური გაზსადენის სისტემაზე მიერთების (შეჭრის) სამუშაოების განხორციელების დავალეზა. აღნიშნული გადაწყვეტილებით შპს „...-ს“ უარი ეთქვა მისი კუთვნილი ობიექტის მაგისტრალურ გაზსადენზე დაერთების თაობაზე. ამდენად, სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, უპირველეს

ყოვლისა, მსჯელობის საგანია შპს „ს...ა“ სადავო საკითხის გადამწყვეტისას წარმოადგენდა თუ არა საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელ ორგანოს. შპს „ს...ა“ არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირი, რომლის 100% წილის მესაკუთრეს წარმოადგენს სახელმწიფო (იხ. ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან www.reestri.gov.ge). მისი საქმიანობის ძირითადი მისია და სტრატეგიაა: საქართველოს ტერიტორიაზე ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება; ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით ტრანზიტის უზრუნველყოფა; ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემის მოვლა-პატრონობა და მისი გაუმჯობესება; გაზის ტრანსპორტირების სისტემის მართვა და გაზის რეჟიმების რეგულირება; გამართული და მდგრადი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზის შეუფერხებელ და უსაფრთხო მიწოდებას ქვეყნის მოსახლეობისათვის. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის – ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დანესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს, ადმინისტრაციული ორგანოს ცნების ლეგალური დეფინიცია ორი ნაწილისაგან შედგება: დეფინიციის პირველი ნაწილი მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ცნებას – ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანობებსა და დანესებულებებს. ხოლო, ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციონალური გაგება, რომელიც ცნების მეორე ნაწილშია მოცემული, აერთიანებს იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც არ არიან სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სისტემის სუბიექტები, მაგრამ კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას და ამ მიზნით გამოსცემენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. „ნებისმიერი სხვა პირი“ გულისხმობს იმ კერძო პირებს, რომელთა საქმიანობა კანონით განსაზღვრულ და სახელმწიფოს მიერ აღიარებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული ორგანოს ტოლფას მოქმედებად მიიჩნევა. შპს „ს...ა“ ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 10/12/2009წ. №21/0 გადაწყვეტილებით გაცემული ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიის (სერია 22, №004) საფუძველ-

ზე და აქედან გამომდინარე, იგი ითვლება „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ რეგულირებად საწარმოდ. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ შპს „ს...ა“ თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“, „მაგისტრალური გაზსადენების ტექნიკური ექსპლუატაციის“, „მაგისტრალური გაზსადენების უსაფრთხო ექსპლუატაციის“ და „ბუნებრივი გაზის ბაზრის“ წესებით.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეს კანონი აწესრიგებს ინდივიდუალური მენარმეების, ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობას და ურთიერთობებს წყალმომარაგების, ელექტროენერგეტიკული სისტემის მართვის, ელექტროენერგიით (სიმძლავრით) საბითუმო ვაჭრობის, ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციისა და განაწილების, ელექტროენერგიის საბითუმო მიწოდების მიერ ელექტროენერგიის მიწოდების, იმპორტის, ექსპორტისა და მოხმარების, აგრეთვე ბუნებრივი გაზის მიწოდების, იმპორტის, ექსპორტის, ტრანსპორტირების, განაწილებისა და მოხმარების სფეროებში და უზრუნველყოფს საქართველოს წყალმომარაგების, ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის დარგების ფუნქციონირებასა და განვითარებას საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესაბამისად.

1.11 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, ეს კანონი ვრცელდება ბუნებრივი გაზის ძებნა-ძიებაზე, მოპოვებაზე, დამუშავებასა და დაგროვებაზე, ბუნებრივი გაზის მწარმოებელსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთობებზე, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიის გავლით ბუნებრივი გაზის ტრანზიტზე. ამასთან, „ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში საქმიანობის კონტროლისა და ლიცენზირების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №23 დადგენილების დანართი №1-ის 1.1. პუნქტის თანახმად, ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში საქმიანობის კონტროლის წესები“ ადგენს იმ აუცილებელ მოთხოვნებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ყველა იმ პირისათვის, მიუხედავად მათი სამართლებრივი ფორმისა, რომლებიც ახორციელებენ ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ისეთ საქმიანობას, რომელიც შესაბამისი კანონის საფუძველზე არ წარმოადგენს ლიცენზირებად საქმიანო-

ბას და განსაზღვრავს აღნიშნულ საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების პირობებსა და პროცედურებს. 1.3. პუნქტის თანახმად კი, ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საქმიანობის კონტროლს ახორციელებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს მენარმის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობისა და მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების შემოწმებას, ასევე მენარმის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენას, მის საქმიანობაში სამართალდარღვევების გამოვლენასა და კანონმდებლობით დადგენილი ზომების გამოყენებას. ამავე დადგენილების დანართი №2-ის 1.1. და 1.3. პუნქტების თანახმად, ლიცენზირების წესები ადგენს იმ აუცილებელ მოთხოვნებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში ლიცენზიის მაძიებელი და ლიცენზიის მფლობელი მენარმე სუბიექტისთვის, მიუხედავად მისი სამართლებრივი ფორმისა. ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში ლიცენზიების გაცემას, მათში ცვლილების შეტანასა და გაუქმებას, ასევე სალიცენზიო პირობების განსაზღვრასა და მათი შესრულების კონტროლს ახორციელებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია. დადგენილების 1.5. პუნქტის თანახმად კი, კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიით რეგულირების მიზანი და ძირითადი პრინციპებია: ა) ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა; ბ) ადამიანის საცხოვრებელი და კულტურული გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა; გ) სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა. დადგენილების 2.1. პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების თანახმად, ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში კომისიის მიერ გაიცემა შემდეგი სახის საქმიანობის ლიცენზიები: ე) ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზია; ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზია.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით 2012 წლიდან შპს „ს...ამ“ დაიწყო გაზიფიკაციებისათვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების განხორციელება, რომლის ფარგლებში დღემდე 107000-ზე მეტ აბონენტს მიეცა ბუნებრივი გაზის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა (იხ. საქართველოს მთავრობის 12.04.2012წ. №684, 12.04.2012წ. №684, 16.08.2013წ. №1067, 16.09.2013წ. №1352, 16.07.2014წ. №1256 გან-

კარგულეზა და მისთ). ამდენად, ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ შპს „ს...ა“ შექმნილია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და არ არის სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სისტემის სუბიექტი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ლეგალური დეფინიციის შესაბამისად, სასამართლო დასაბუთებულად ვარაუდობს, რომ იგი კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას, ვინაიდან ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება და მისი მიწოდების უზრუნველყოფა წარმოადგენს მმართველობით – საჯარო სამართლებრივ ფუნქციას. სახელმწიფო ამ ფუნქციას ახორციელებს კერძოსამართლებრივი ფორმით. თუმცა, აღნიშნული საკითხის სრულყოფილად გამოკვლევა და სამართალსუბიექტობის ზუსტად დადგენა წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საკითხს. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო მიუთითებს, რომ მმართველობის ორგანოების ორგანიზაციული მოწყობის, მათ მიერ მმართველობითი ფუნქციების განხორციელებისა და ადმინისტრაციულ წარმოების საკითხებს აწესრიგებს სამართლის ის ნორმები, რომლებსაც აერთიანებს ადმინისტრაციული ორგანოსა და საჯარო უფლებამოსილების ცნების განსაზღვრა და შესაბამისად, კონკრეტული სუბიექტის სამართალსუბიექტობის დადგენა უნდა მოხდეს სწორედ ადმინისტრაციული სამართლის შესაბამისად.

ამდენად, კონკრეტულ შემთხვევაში, შპს „ს...ა“ ახორციელებს თუ არა საჯარო უფლებამოსილებას და აქვს თუ არა დელეგირებული ადმინისტრაციული ორგანოს შესაბამისი უფლებამოსილებები უნდა იქნეს გამორკვეული ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. სასამართლო, ასევე აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საგნობრივი განსჯადობის საკითხის გარკვევისთვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს სადავო სამართალურთიერთობის შინაარსს, დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს. საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. ამდენად, თუ ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმა მოცულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ან სხვა საჯარო სამართლის წყაროთი, დავა ადმინისტრაციულ კატეგორიას განეკუთვნება. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მითითებით, დავის საგანს წარმოადგენს შპს „ს...ის“ 2018 წლის 1 ნოემბრის № 1/02-2272

გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. ამასთან, აღნიშნული წერილით, როგორც სარჩელიდან ირკვევა შპს „...-ს“ უარი ეთქვა ტექნიკური პირობის გაცემასა და ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემასთან მიერთებაზე. შესაბამისად, განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად უნდა შეფასდეს მითითებული „გადაწყვეტილების“ სამართლებრივი ხასიათი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეს არის – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც ანებსებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები. სადავო ურთიერთობა, კერძოდ – ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემასთან მიერთება, რეგულირდება „ბუნებრივი გაზის ბაზრის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის №114 ბრძანების საფუძველზე. აღნიშნული ბრძანების მე-9 მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების თანახმად, ტრანსპორტირების სისტემის მეშვეობით ბუნებრივი გაზით მომარაგება ან მომარაგების შეწყვეტა განეკუთვნება მხოლოდ ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიატის უფლებამოსილებას. ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიატი ბუნებრივი გაზით მომარაგებამდე ვალდებულია მოთხოვოს განაწილების ლიცენზიატს ან პირდაპირ მომხმარებელს, სისტემასთან მიერთების და აღრიცხვის კვანძის ტექნიკური მდგომარეობის გამართულობის დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტაცია. ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიატი ვალდებულია უარი განაცხადოს მიერთებაზე, თუ განაწილების ლიცენზიატის ან პირდაპირი მომხმარებლის ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ქსელთან (სისტემასთან) მიერთება აშკარა უარყოფით გავლენას იქონიებს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების საერთო სისტემაზე ან/და შესაძლებლობაზე, სტანდარტულ დონეზე გაუნიოს მომსახურება სხვა მომხმარებლებს. ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიატს უფლება აქვს უარი განაცხადოს მიერთებაზე იმ მოტივით, რომ ტრანსპორტირების სისტემასთან განაცხადში მითითებულ სავარაუდო მიერთების წერტილთან უკვე არსებობს ტრანსპორტი-

რების ქსელთან მიერთება ან სხვა ბუნებრივი გაზის ქსელი, რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს განაცხადით მოთხოვნილი პირობები. ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიატის უარი უნდა იყოს დასაბუთებული. სწორედ ზემოთ დასახელებული ბრძანების საფუძველზე იქნა შემოწმებული და უარყოფილი შპს „...-ის“ მოთხოვნა ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემაზე მიერთების თაობაზე ტექნიკური პირობის გაცემის შესახებ. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემასთან ახალი მიერთების პროცედურები განისაზღვრება „ბუნებრივი გაზის ქსელის წესებით“. შესაბამისად, ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემაზე მიერთების საკითხი ასევე რეგულირდება „ბუნებრივი გაზის ქსელის წესების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის 31 აგვისტოს №22 დადგენილებით.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღძრული სარჩელის განხილვისას ადმინისტრაციულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით უნდა გადაწყდეს რამდენად სწორად ეთქვა მოსარჩელეს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემასთან მიერთების შესახებ ტექნიკური პირობის გაცემაზე უარი და აღნიშნულის შემდგომ უნდა გადაწყდეს მოპასუხისათვის შპს „...-ის“ კუთვნილი ობიექტის მაგისტრალური გაზსადენის სისტემაზე მიერთების სამუშაოების განხორციელების დავალების შესახებ მოთხოვნის საფუძველიანობა. შესაბამისად, ვინაიდან ინდივიდუალურ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის ცნების ლეგალური დეფინიცია ადმინისტრაციული სამართლითაა განსაზღვრული, აღნიშნულ შემთხვევაშიც, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საგანია სადავო „გადაწყვეტილების“ სამართლებრივი ბუნება, კერძოდ, წარმოადგენს თუ არა სადავო „გადაწყვეტილება“ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას ასევე წარმოადგენს – შპს „ს...ისათვის“ შპს „...-ის“ კუთვნილი ობიექტის მაგისტრალური გაზსადენის სისტემაზე მიერთების (შეჭრის) სამუშაოების განხორციელების დავალება. ამასთან, როგორც წარმოდგენილი სარჩელიდან ირკვევა, ტექნიკური პირობის გაცემის შემდგომ, შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, ობიექტის მაგისტრალურ გაზსადენზე დაერთება უნდა განხორციელებულიყო მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. შესაბამისად, მოსარჩელე ითხოვს მოპასუხესთან კონტრაპირების იძულებას. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ სამოქალაქო სამარ-

თაღში მოქმედებს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, რაც გულისხმობს მხარის შესაძლებლობას დადოს (ან არ დადოს) ხელშეკრულება, აირჩიოს ხელშეკრულების კონტრაჰენტი (მხარე) და განსაზღვროს ხელშეკრულების შინაარსი. თუმცა, სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს ე.წ. იძულებით კონტრაჰირებას კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლი ამგვარ იძულებას ბაზარზე პირის დომინირებულ მდგომარეობას და მის სამენარმეო საქმიანობას უკავშირებს. კანონმდებლის მიზანი სუსტი მხარის-მომხმარებლის დაცვაა, რომლის ინტერესები შეიძლება არსებითად შეილახოს, ამით კი ნორმა სამართლის სოციალურ ფუნქციას ეხმიანება. სხვა შემთხვევაში, მოქმედებს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი და სრულად მხარის ნებაზეა დამოკიდებული ხელშეკრულების დადების საკითხი. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე მიაჩნია, რომ წინამდებარე სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მიიჩნია, რომ აღძრული დავა განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას და შესაბამისად, მის განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლოა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო ნორმა, რომელიც არეგულირებს სასამართლო წარმოების დროს წარმოშობილ ურთიერთობებს, სასამართლო იყენებს საპროცესო სამართლის იმ ნორმას, რომელიც ანესრიგებს მსგავს ურთიერთობას (კანონის ანალოგია), ხოლო თუ ასეთი ნორმაც არ არსებობს, სასამართლო ემყარება სამოქალაქო საპროცესო სამართლის ზოგად პრინციპებს (სამართლის ანალოგია). სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო ნორმა ზემოაღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად, ამიტომ გამოყენებულ იქნა ადმინისტრაციული საპროცესო ნორმა, კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, სასამართლოთა შორის დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმი-

ნისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია“ კანონიერ სასამართლოზე ადამიანის უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხლი). კანონიერი სასამართლოს უფლება კი, სასამართლოს განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას მოითხოვს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს. განსახილველი დავა ეხება საგნობრივ განსჯადობას. შესაბამისად, შეფასებას საჭიროებს მოსარჩელესა და შპს „ს...ს“ შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. ამგვარად, იმისათვის, რომ საერთო სასამართლომ განიხილოს და გადაწყვიტოს დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, აუცილებელია, რომ ერთდროულად არსებობდეს სამართლებრივად მნიშვნელოვანი ორი კომპონენტი: 1) დავა ადმინისტრაციული

სამართლის კანონმდებლობიდან უნდა გამომდინარეობდეს და 2) ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო (სამართალსუბიექტობის პრინციპი).

განსახილველ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 17 დეკემბრის განჩინებით შპს „...-ის“ სარჩელი კუთვნილი ობიექტის მაგისტრალურ გაზსადენზე დაერთების შესახებ მოთხოვნაზე უარის თქმის ნაწილში შპს „გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ 2018 წლის 1 ნოემბრის №1/02-2272 გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და მაგისტრალური გაზსადენის სისტემაზე მიერთების (შეჭრის) სამუშაოების განხორციელებაზე ქმედების განხორციელების დავების თაობაზე გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რომელიც არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას მითითებული დავის საგნის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად მიჩნევის შესახებ. სასამართლოებს შორის საგნობრივი დავის წარმოშობა უკავშირდება მოპასუხედ დასახელებული კერძო სამართლის სუბიექტის შპს „ს...ის“ მიმართ არსებულ მოთხოვნას. თუმცა, საკასაციო პალატა იზიარებს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას, რომ აღნიშნული არ ცვლის დავის ადმინისტრაციული წესით განხილვის განსჯადობას, რამდენადაც განსახილველ შემთხვევაში დავის საგნის განსჯადობას განაპირობებს არა მოპასუხის კერძო სამართლის იურიდიულ პირის სტატუსი, არამედ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შპს „...-ის“ მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარდგენილი სარჩელი ასევე შეიცავს მოთხოვნას საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიმართ 2018 წლის 13 ნოემბრის №1/04-16-11146 გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და შპს „ს...ისათვის“ მოსარჩელის კუთვნილი ობიექტის მაგისტრალური გაზსადენის სისტემაზე მიერთების (შეჭრის) სამუშაოების განხორციელების დავალების შესახებ. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს შპს „ს...ის“ მიმართ სასარჩელო მოთხოვნების ცალკე წარმოებად გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილებას, რადგან შპს „ს...ა“ უფლებამოსილებას ახორციელებს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით კომისიის მიერ უვადოდ გაცემული ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების საქმიანობის ლიცენზიის საფუძველზე. ამავდროულად მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება წარმოადგენს ექსკლუზიურ საქმიანობას, რომლის შესა-

ბამისი ლიცენზიის გარეშე განხორციელება აკრძალულია.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის შესაბამისად კომისიის მიერ გაცემული ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზია იურიდიულ პირს უფლებას აძლევს განახორციელოს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება ტრანსპორტირების სისტემით. ლიცენზიატმა უნდა განსაზღვროს შემოთავაზებული მომსახურებისათვის გამოსაყენებელი მარშრუტი, მილსადენები და სხვა მოწყობილობა, მიღებისა და მიწოდების პუნქტების ჩათვლით, რომლებიც გამოყენებული იქნება მის მიერ. ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემასთან ახალი მიერთების პროცედურები განისაზღვრება „ბუნებრივი გაზის ქსელის წესებით“. ამასთანავე, ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემასთან ახალი მიერთება არ საჭიროებს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიის მოდიფიცირებას. ტრანსპორტირების ლიცენზიატი, ლიცენზიის პირობების თანახმად, ვალდებულია ლიცენზიის მოქმედების ვადის განმავლობაში: ა) განავითაროს და შეაკეთოს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემა ისე, რომ დააკმაყოფილოს ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზიატის მოთხოვნები; ბ) შეიმუშაოს და წარუდგინოს კომისიასა და საზოგადოებას საინვესტიციო პროგრამა; გ) შეიმუშაოს და განახორციელოს ყველა შესაბამისი მითითება ტრანსპორტირების სისტემისა და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების უსაფრთხო, საიმედო და შეუზღუდავი გამოყენებისათვის; დ) მომსახურება განახორციელოს ამ კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად; ე) დროულად გადაიხადოს კომისიის მიერ დადგენილი რეგულირების საფასური და დააკმაყოფილოს ლიცენზიის მოთხოვნები.

განსახილველ შემთხვევაში შპს „ს...ის“ მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად მითითებულია „ბუნებრივი გაზის ბაზრის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის №114 ბრძანების მე-9 მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის თანახმად არ უნდა მოხდეს იმ მომხმარებლის ტრანსპორტირების სისტემაზე მიერთება, რომელთა მომსახურებაც შეუძლია ბუნებრივი გაზის განაწილების ქსელს.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოსარჩელის ინტერესი, წარმოდგენილი სასარჩელო მოთხოვნებით არის მის საკუთრებაში არსებული ობიექტის ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემაზე მიერთება, რომლის გადანაცვების წესს ადგენდა სადავო პერიოდში მოქმედი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიღებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტი – „ბუნებრივი გაზის ქსელის წესების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის 31 აგვისტოს №22 დადგენილება. აღნიშნული დადგენილების XIV თავი ითვალისწინებს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემაზე მიერთების პროცედურებს, ხოლო ამავე თავში შემავალი 70-ე მუხლით დადგენილია მიერთების განაცხადის განხილვის წესი, 71-ე მუხლით კი, გათვალისწინებულია ტრანსპორტირების სისტემაზე მიერთებაზე უარის თქმის საფუძვლები. ამგვარად, დავის გადანყვეტისთვის საჭიროა შპს „...-ის“ კუთვნილი ობიექტის ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემაზე მიერთებაზე უარის თქმის შესახებ გადანყვეტილების საჯარო უფლებამოსილების განხორციელების საფუძველზე გამოცემულ ნორმატიულ აქტთან შესაბამისობის დადგენა, რაც წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს. ასევე საგულისხმოა, რომ საკასაციო პალატას მიზანშეწონილად არ მიაჩნია საჯარო სამართლებრივი ბუნების მქონე დავისგან ცალკე წარმოებად საქმის გამოყოფა მხოლოდ იმის გამო, რომ შესაძლოა დავა მოიცავდეს ასევე კერძო-სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელ რამდენიმე ნიშანს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „...-ის“ სარჩელის გადანყვეტისთვის სასამართლოს მიერ გამოყენებულ უნდა იქნეს საჯარო (ადმინისტრაციული) ურთიერთობის მარეგულირებელი შესაბამისი ნორმები, რის გამოც სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, მე-2 მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „...-ის“ სარჩელი განსჯადობით დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კონკრეტული
მოქმედებისაგან თავის შეკავებასთან დაკავშირებული
დავის განსჯადობა**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-497(გ-19)

16 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ქ. ცინცაძე**

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ა-მა 2017 წლის 07 ივნისს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – სსიპ შემოსავლების სამსახურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის მიმართ და სასარჩელო მოთხოვნათა დაზუსტების შემდეგ მოსარჩელის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა, დისკრიმინაციული მოპყრობის აღმოფხვრა და დისკრიმინაციული მოპყრობის შედეგად მოსარჩელისათვის მიყენებული მორალური ზიანის – 3 000 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ არის რელიგიური ორგანიზაციის – სსიპ ...ოს ...ე. მ. ა-ის განმარტებით, საპასპორტო-საღიზო კონტროლისა და თანმდევი საბაჟო პროცედურების გავლის დროს არაერთხელ გამხდარა დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლი. კერძოდ, 2017 წლის 24 მარტს, აზერბაიჯანიდან საქართველოში შემოსვლის დროს, საპასპორტო მონაცემების შემოწმების შემდგომ, საზღვარზე მყოფმა პირმა მოსთხოვა გაჩერებულიყო და დალოდებოდა. შემდგომ მოსარჩელე შეიყვანეს ცალკე ოთახში და ჩაუტარეს როგორც პირადი, ისე ბარგის შემოწმება. შემოწმების პარალელურად უსვამდნენ კითხვებს გამომგზავრებისა და დანიშნულების ადგილის შესახებ, აგრეთვე იმ წიგნების შინაარსის თაობაზე, რომლებიც თან ჰქონდა. შემოწმების შემდგომ მ. ა-ს გამოართვეს პასპორტი, გადაუღეს ფოტო და გაატარეს საზღვარზე. აღნიშნული პროცედურა დაახლოებით 50 წუთს გაგრძელდა, რის გამოც მოსარჩელემ

ვერ მიუსწრო ტრანსპორტს, რომლითაც უნდა ემგზავრა. მ. ა-ის განცხადებით, ანალოგიური ფაქტები განხორციელდა 2017 წლის 18 აპრილსა და 16 მაისს, თუმცა ამჯერად მოსარჩელე 30 წუთით შეაყოვნეს საზღვარზე. არც ერთ ზემოხსენებულ შემთხვევაში მ. ა-ისათვის არ განუმარტავთ მისი შემომნების მიზეზი. ამდენად, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ადგილი აქვს რელიგიური და რელიგიური გაერთიანების კუთვნილების ნიშნით დისკრიმინაციას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 12 ივნისის განჩინებით მ. ა-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად კი ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული. კოლეგიის მოსაზრებით, კონკრეტულ შემთხვევაში, დავის საგანი არ გამოდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, არამედ სახეზეა კერძო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავა, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით უნდა იქნეს განხილული. კოლეგიამ აღნიშნა, რომ სამართალწარმოება, დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე, დარეგულირებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 7³ კარით, რომელიც აღნიშნული კატეგორიის საქმეთა განხილვისათვის სპეციალურ წესს ადგენს. ხსენებული კოდექსის 363¹ მუხლის თანახმად, „დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სარჩელი შეიძლება განხილულ იქნეს ამ თავით დადგენილი წესით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.“ ამდენად, კოლეგიის მოსაზრებით, სასარჩელო მოთხოვნა დისკრიმინაციული ფაქტის დადგენის თაობაზე სამოქალაქო დავათა კატეგორიას მიეკუთვნება. ამასთან, კოლეგიამ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე (სუსგ №411-406(გ-16), 2016 წლის 23 ივნისი).

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 29 მარტის განჩინებით საქმე, მ. ა-ის სარჩელის გამო, განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლზე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლზე და აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, დავა მიმართულია ადმინისტრაციული ორგანოს წინააღმდეგ; და-

ვის საგანს წარმოადგენს მოქალაქის მიმართ საქართველოს საზღვრის კვეთისას შესაბამისი უწყების თანამშრომელთა მიერ თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს განხორციელებული შესაძლო დისკრიმინაციული ქმედება, რაც, სარჩელის მიხედვით, გამოიხატა მოსარჩელის შემონმებაში, მის სხვა ოთახში გაყვანასა და სხვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ პრეცედენტული სამართალი განვითარებულია იმ მიმართულებით, რომ ცალკე აღებული მე-14 მუხლი არ ქმნის დამოუკიდებელ და სრულყოფილ უფლებას, ეს უფლება კავშირშია და დამოკიდებულია სხვა – უკვე არსებით და თვითმყოფად, დამოუკიდებელ უფლებაზე და განიხილება ამ დამოუკიდებელი უფლების ქრილში და აუცილებლად მასთან ერთად. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ამ პრინციპისა და პრაქტიკის შესაბამისია ეროვნული კანონმდებლობა. კოლეგიამ მიუთითა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის 1-ლ, მე-3 და მე-4 მუხლებზე და აღნიშნა, რომ ხსენებული კანონის გამოყენება შესაძლებელია როგორც კერძო, ისე საჯარო სამართალურთიერთობაში. ამდენად გაუმართლებელია მსჯელობა, რომ მითითებული კანონი სამოქალაქო-სამართლებრივი შინაარსის მქონეა და ყველა დავა, რომელიც მისი გამოყენებით უნდა გადაწყდეს, სამოქალაქო-სამართლებრივია. აღნიშნულს, კოლეგიის მოსაზრებით, უზენაესი სასამართლოს არაერთი განჩინება ადასტურებს (მაგ: №ბს-411-406; №ბს-610-604), კერძოდ, საკასაციო სასამართლოს პრაქტიკით დადგინლია, რომ დისკრიმინაციულ ქმედებას, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს როგორც კერძო-სამართლებრივ, ისე საჯარო სფეროში. ამდენად, დისკრიმინაციის საკითხთან დაკავშირებული ყველა დავის სამოქალაქო საქმეების განმხილველი სასამართლოების იურისდიქციაში მოქცევა შედეგად გამოიწვევს იმას, რომ საჯარო მმართველობის კანონიერების ყველაზე აქტუალური საკითხები გამოვა ადმინისტრაციული იუსტიციის სფეროდან, ხოლო საგნობრივი განსჯადობის ამგვარი გადანაცვლება გამოიწვევს საჯარო დაწესებულებების ისეთი ქმედებების თაობაზე დავების დაქვემდებარებას სამოქალაქო სამართალწარმოებისადმი, რომლებიც გაცილებით უფრო დიდი საფრთხის შემცველია, ვიდრე კერძო სამართლის სუბიექტის ანალოგიური ქმედება.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებით, გაუგებრობას ქმნის ის გარემოება, რომ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული დავების მომწესრიგებელი პროცესუალური ნორმები სამოქალაქო საპროცესო კოდექსში აისახა, რაც პალატის მოსაზრებით, ერთ-ერთი არგუმენტია ასეთი დავის სამოქალაქო სამართალწარმოების გზით განხილ-

ვის სასარგებლოდ, თუმცა კოლეგიამ აღნიშნა, რომ საქმის განსჯადობას არ განაპირობებს დისკრიმინაციული ხასიათის დავის განხილვის მომწესრიგებელი ნორმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განთავსება. დისკრიმინაციული შინაარსის მქონე სარჩელის განხილვისას, სამოქალაქო საპროცესო ნორმებს თავისუფლად გამოიყენებს ადმინისტრაციული დავის განმხილველი სასამართლო. კოლეგიის მოსაზრებით, რომელი კანონმდებლობიდან გამომდინარე უფლებით თანასწორად სარგებლობის გამორიცხვასაც ეხება სარჩელი, იმ კატეგორიით უნდა განისაზღვროს დავის საგნობრივი ხასიათიც. კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელე მიუთითებს, რომ შესაბამისი უწყებების თანამშრომლების მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების შესრულებისას ადგილი ჰქონდა მის მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას რელიგიური და რელიგიური ორგანიზაციისადმი კუთვნილების ნიშნით. კოლეგიამ აღნიშნა, რომ საქმის განსჯადობის დადგენისათვის მნიშვნელოვანია სარჩელის ელემენტებისა და სამართალურთიერთობის ცალკეული კომპონენტების განსაზღვრა. დაუშვებელია საჯარო-სამართლებრივ დავის კერძო-სამართლებრივ დავად მიჩნევა მხოლოდ იმ მოტივით, რომ მოსარჩელე თავის საჯარო სამართლებრივ მოთხოვნას კერძო-სამართლებრივი ნორმების მეშვეობით ასაბუთებს. წინამდებარე სარჩელი განხილვისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს არა მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 7³ კარით და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონით, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობითაც, რადგან სასამართლომ უნდა დაადგინოს მოპასუხის საჯარო უფლებამოსილების განხორციელების კანონიერება, რაც სასაზღვრო პუნქტზე კონკრეტული ღონისძიებების გატარებაზე კომპეტენტური ორგანოს უფლებამოსილების ფარგლების დადგენის გარეშე შეუძლებელია. ამასთან მოსარჩელის ერთ-ერთ მოთხოვნას ადმინისტრაციული ორგანოსათვის კონკრეტული ქმედების აკრძალვა წარმოადგენს. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ დავაზე სათანადო მოპასუხის საკითხიც უწყებათა კომპეტენციის განმსაზღვრელი ნორმატიული აქტების საფუძველზე უნდა გადაწყდეს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რაც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მონესრიგებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დავაში ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა, თავისთავად არ წყვეტს საგნობრივი განსჯადობის საკითხს, არამედ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მი-

თითებული საკუთარი უფლებების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს მ. ა-ის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა, დისკრიმინაციული მოპყრობის აღმოფხვრა და მორალური ზიანის 3000 ლარის ოდენობით ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დანესებულების წინააღმდეგ, რომელმაც მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა და მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება. ხსენებული კანონის მე-3 მუხლი ადგენს, რომ ამ კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დანესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე ყველა სფეროში. ამდენად, დისკრიმინაციული ქმედება შესაძლოა მომდინარეობდეს საჯარო დანესებულების მხრიდან და ჩადენილ იქნეს საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების დროს, რაც გამორიცხავს დისკრიმინაციასთან დაკავშირებული დავების მხოლოდ სამოქალაქო კატეგორიის საქმეების განსჯადი სასამართლოების მიერ განხილვას.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის წესი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. სამართალწარმოება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე დარეგულირებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის VII³ კარით, რომელიც ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისათვის სპეციალურ წესს ადგენს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363¹ მუხლის თანახმად, დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სარჩელი შეიძლება განხილულ იქნეს ამ თავით დადგენილი წესით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კონკრეტული საკითხის მომწესრიგებელი ნორმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განთავსება გავლენას ვერ იქონიებს დავის საგნობრივ განსჯადობაზე. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. შესაბამისად, ადმინისტრაციუ-

ლი კატეგორიის საქმეთა განმხილველი სასამართლო არ არის შეზღუდული გამოიყენოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის VII³ კარით დადგენილი წესები (იხ. სუსგ. №ბს-377-374(გ-17), 2018 წლის 01 აგვისტო; №ბს-724(გ-19), 2019 წლის 04 ივნისი).

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე აღნიშნავს, რომ არის რელიგიური ორგანიზაციის – სსიპ ...ოს ...ე. საქართველოს საზღვარზე შემოსვლის დროს საბაჟო პროცედურების გავლისას მის მიმართ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციულ მოპყრობას, რაც გამოიხატა უფლებამოსილი პირების მიერ მის დაუსაბუთებელ შეყოვნებასა და შემონმებაში. ამასთან, საზღვარზე შეამონმეს მისი ბარგი და კითხვები დაუსვეს ბარგში არსებული ნივთების შინაარსთან დაკავშირებით. საკასაციო პალატა იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას, რომ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა შეუძლებელია სასაზღვრო პუნქტზე კონკრეტული ღონისძიებების გატარებაზე კომპეტენტური ორგანოს უფლებამოსილების ფარგლების დადგენის გარეშე. მოცემულ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის გარკვევა მოითხოვს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენელთა მიერ თავიანთი საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ქმედებების კანონიერების შემოწმებას, რაც სცილდება სამოქალაქო დავების განმხილველი სასამართლოს კომპეტენციას. საზღვარზე შემომავალი მგზავრისა და მისი ბარგის დათვალიერება ადმინისტრაციული ორგანოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით განსაზღვრული საქმიანობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, დისკრიმინაციის საკითხთან დაკავშირებით წარმოშობილი ყველა დავის სამოქალაქო წესით განხილვა შედეგად გამოიწვევს იმას, რომ საჯარო მმართველობის კანონიერების ყველაზე აქტუალური საკითხები გამოვა ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა განმხილველი სასამართლოების იურისდიქციის სფეროდან. განსჯადობის დავის ამგვარი გადაწყვეტა შედეგად გამოიწვევს თავისი ბუნებით ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეების გადაცემას სამოქალაქო კატეგორიის დავების განმხილველი სასამართლოების იურისდიქციაში (იხ. სუსგ №ბს-171(კ-19), 2019 წლის 07 მაისი).

ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოსარჩელე დისკრიმინაციის ფაქტის დადგენასა და მორალური ზიანის ანაზღაურებასთან ერთად ითხოვს დისკრიმინაციული მოპყრობის აღმოფხვრას. კერძოდ, მოსარჩელემ თბილისის საქალაქო სასამართლოში 2017 წლის 28 ივნისს წარდგინლ განცხადებაში აღნიშნა, რომ ითხოვს მოპასუხეებისათვის მ. ა-ის მიერ საზღვრის კვეთისას მისი დაუსაბუთებლად, ახსნა-განმარტების გარეშე დისკრიმინაციული მოტივით დაყოვნებისა და

პირადი და ბარგის შემოწმების აკრძალვას. ამდენად, ერთ-ერთ სასარჩელო მოთხოვნას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კონკრეტული მოქმედებისაგან თავის შეკავება წარმოადგენს, რაც ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის სახეა. აღნიშნული გარემოება დავის ადმინისტრაციული წესით განხილვის კიდევ ერთ საფუძველს წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

ამასთან, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ა-ის სარჩელი, სსიპ შემოსავლების სამსახურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. სამოქალაქო განსჯადობა

ავტომანქანის საჯარიმო სადგომზე დგომის ღირებულების ანაზღაურების თაობაზე დავის განსჯადობა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-956(გ-19)

14 ნოემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 7 დეკემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-მა“ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – გ. გ-ის მიმართ.

მოსარჩელემ მოპასუხისათვის სსიპ „112-ის“ სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისა და შენახვის შედეგად წარმოშობილი მომსახურების საფასურის – 4 742 ლარის მის სასარგებლოდ გადახდის დაკისრება, სსიპ „112-ის“ სარგებლობაში არსებული უძრავი ნივთის ფაქტობრივი მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთის მიზნით მოპასუხისათვის სსიპ „112-ის“ სპეციალური დაცული სადგომიდან (მის: ქ. თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა) ავტომანქანის – FORD ESCORT (სახ. ნორმით ...) საკუთარი ხარჯებით დაუყოვნებლივ გადაყვანის დავალება და მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ სსიპ „112-ის“ მიერ სარჩელის შეტანისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 262.26 ლარის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 მარტის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ სარჩელი გ. გ-ის მიმართ განსჯადობის წესების დაცვით, განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველ ნაწილ-

ში ჩამოთვლილია იმ საქმეთა კატეგორიები, რომელთაც სასამართლო განიხილავს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამავე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე სასამართლომ აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112“ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს. ამასთან, აღნიშნული სსიპ თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 20 თებერვლის №18 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 20 თე-

ბერგლის №18 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, „112-ის“ ფუნქციაა სპეციალურად დაცული (საჯარიმო) სადგომების მონყობა-ორგანიზება საქართველოს ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის კანონმდებლობით სამინისტროს კომპეტენციისთვის მიკუთვნებული სამართალდარღვევების შემთხვევებში ჩამორთმევას დაქვემდებარებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა სპეციალურად დაცულ (საჯარიმო) სადგომზე გადაყვანის და დგომის უზრუნველსაყოფად.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ მოთხოვნა თავისი შინაარსის გათვალისწინებით, გამომდინარეობს არა სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და განხილული უნდა იყოს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. სასამართლოს მითითებით, ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია რამდენიმე იურიდიული ასპექტი, კერძოდ, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის საჯარო-სამართლებრივი ხასიათი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ სარჩელის თანახმად, გ. გ-ის კუთვნილი ავტომანქანის საჯარიმო სადგომზე განთავსების საფუძველს წარმოადგენს არა მხარეთა ნების ავტონომიის პირობებში დადებული კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულება, არამედ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი, სანქციების ფორმატში განხორციელებული მოქმედებები. ამგვარად, სასამართლოს მითითებით, საჯარიმო სადგომზე ავტომანქანის გადაყვანა, როგორც საკუთრების უფლების შეზღუდვის ფორმა, ცალსახად საჯარო-სამართლებრივი მიზნებით არის განპირობებული. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ ინდივიდუალური შეთანხმების საგანს, ასევე, არ წარმოადგენს მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ღირებულება, რომელიც რეგულირებულია 2011 წლის 27 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №489 დადგენილებით.

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ მოთხოვნის იურიდიული დასაბუთების შეფასებისათვის, პირველ რიგში, შესამოწმებელია საჯარიმო სადგომზე ავტომანქანის განთავსების ლეგიტიმურობა და ეს საფუძველი, რაც გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, ასევე, მოთხოვნილი ღირებულების მოცულობა, რომელიც ასევე ეყრდნობა საქართველოს მთავრობის №489 დადგენილებას.

შესაბამისად, სასამართლომ მიუთითა, რომ მოთხოვნის ნორმატიული წინაპირობების განსაზღვრისას, ვალდებულების არსებობის ნაწილში სასამართლო ვალდებული იყო, ეხელმძღვანელა აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით და შეეფა-

სებინა ვალდებულების შინაარსი ყველა სპეციფიკური ასპექტის გათვალისწინებით. ამდენად, სასამართლოს მითითებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ სარჩელის შეფასება ექვემდებარება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ საპროცესო ეკონომიის თვალსაზრისით, აგრეთვე, იმისათვის, რომ უკეთ ყოფილიყო უზრუნველყოფილი პირის უფლება სამართლიან სასამართლო განხილვაზე, რაც მოიცავდა ასევე სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების უფლებას, მიზანშეწონილი იყო, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის (სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის საფუძველი, რომლის თანახმადაც საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის) განმარტებულიყო იმგვარად, რომ მისი შინაარსი არ გავრცელებულიყო საგნობრივ განსჯადობაზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადი საქმების განსჯად სასამართლოში გადაგზავნას, თუმცა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი კი ადგენს, რომ სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით.

სასამართლოს მითითებით, საგნობრივი განსჯადობის შესახებ დავის დაწყების საკითხსაც არ აწესრიგებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (ამ კოდექსის 24-ე მუხლის მეორე წინადადებაში ასახული განსჯადობის შესახებ დავის აკრძალვა ეხება 23-ე მუხლში ჩამოთვლილ შემთხვევებს ტერიტორიული განსჯადობით საქმის გადაცემის თაობაზე). ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სასამართლოებს შორის დავა განსჯადობაზე დასაშვებია და დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, თუ სამოქალაქო საქმის განმხილველი სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ მისთვის განსჯადობით გადაგზავნილი საქმე არ არის სამოქალაქო წესით განსახილველი, მას შეუძლია, დაიწყოს დავა განსჯადობაზე და საქმე გადაუგზავნოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად. დავის დაწყებისას სამოქალაქო საქმის განმხილველი სასამართლო ხელმძღვანელობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლით.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის აღნიშვნით, იქიდან გამომდინარე, რომ კანონი უშვებს სასამართლოებს შორის დავას განსჯადობის თაობაზე, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის ან მიღების ეტაპის გადალახვის შემდეგ ამავე საფუძვლით სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, შესაძლებელია, ჯერ მხარემ გახადოს სადავოდ განსჯადობის საკითხი განჩინების გასაჩივრებით, შემდეგ კი ამისგან დამოუკიდებლად სასამართლოებს შორის დაინყოს დავა განსჯადობაზე. ამგვარად, სასამართლომ მიუთითა, რომ უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის მიერ განსჯადობის საკითხზე დავის საბოლოოდ გადაწყვეტამდე, საქმის საგნობრივი განსჯადობის საკითხი ხდება არაერთგზის განხილვისა და შეფასების საგანი, რაშიც მონაწილეობს არა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს ორი სხვადასხვა კოლეგია, არამედ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაც. ამგვარად, მიზანშეწონილია, ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლოს მსგავსად, სამოქალაქო საქმის განმხილველმა სასამართლომაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენებით, საგნობრივად არაგანსჯადი საქმეები თავად გადაუგზავნოს ადმინისტრაციული საქმის განმხილველ სასამართლოს, რითაც უკეთ იქნება უზრუნველყოფილი მხარის უფლება სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების გზით დავის გადაწყვეტაზე და ასევე თავიდან იქნება აცილებული დამატებით კიდევ ერთი სასამართლო ინსტანციის – სააპელაციო სასამართლოს მონაწილეობა განსჯადობის საკითხის გადაწყვეტაში მაშინ, როდესაც კანონით დაშვებულია სასამართლოთა შორის დავის დაწყება განსჯადობის თაობაზე და დადგენილია ამ დავის გადაწყვეტაზე უზენაესი სასამართლოს კომპეტენცია.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით და საქმე განსჯადობით განსახილველად გადაუგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 27 ივნისის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ სარჩელი მოპასუხე გ. გ.-ის მიმართ სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ საქმეებს განსაზღვრავს საქართველოს სამო-

ქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი კი, იძლევა კომპეტენციის გამიჯვნის პოზიტიური ტაქსაციის მეთოდის გამოყენებით ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს. ამასთანავე, კომპეტენციის განსაზღვრის ზოგადი ნიშნის გამოყენებით (ენუმერაციის მეთოდი) კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის იმ სამართალურთიერთობიდან წარმოშობა, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მონესრიგებული (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.09.2014წ. განჩინება საქმეზე №350-316(გ-14)). ამდენად, სასამართლომ განმარტა, რომ საგნობრივი განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა ენიჭებოდა სამართალურთიერთობის სუბიექტის მოქმედების ფორმასა და საფუძვლებს.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ მოსარჩელე ითხოვს მის სარგებლობაში არსებული უძრავი ნივთის ფაქტობრივი მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთის მიზნით, სპეციალური დაცული სადგომიდან ავტომანქანის საკუთარი ხარჯებით დაუყოვნებლივ გაყვანის მოპასუხისთვის დავალდებულებას და შესაბამისად, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისა და შენახვის შედეგად წარმოშობილი მომსახურების საფასურის სრულად ანაზღაურებას ავტომანქანის გაყვანის დღისათვის დარიცხული თანხის ოდენობით. სასამართლოს მითითებით, მნიშვნელოვანია დადგინდეს მოცემული საქმის ძირითადი მოთხოვნის სამართლებრივი ბუნება და შეფასდეს გამომდინარეობს თუ არა დავა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

სასამართლოს მითითებით, მართალია, მოსარჩელეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112“ წარმოადგენს, მაგრამ საქმეში მისი მონაწილეობა სარჩელს ადმინისტრაციული დავის ხასიათს არ სძენს, ვინაიდან დავაში ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა მის სამართლებრივ ბუნებას არ განსაზღვრავს, გადამწყვეტი მნიშვნელობა სადავო სამართალურთიერთობის ხასიათსა და დავის საგანს ენიჭება.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს საკუთრების უფლების ხელშეშლის აღკვეთა და თანხის ანაზღაურება, რაც არ წარმოადგენს ადმინისტრაციული კატეგორიის დავას, რამდენადაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხი-

ლავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი კიდევ უფრო აკონკრეტებს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ განმარტა, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

სასამართლომ განმარტა, რომ საკუთრების უფლების ხელშეშლის აღკვეთაზე აღძრული სარჩელი წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებულ კლასიკურ სამოქალაქო-სამართლებრივ ინსტიტუტს, ისტორიულად, სანივთო სამართლის შემადგენელ ნაწილს და არის სამოქალაქო ბრუნვის ობიექტი. საკუთრების უფლების ხელშეშლის აღკვეთის თაობაზე აღძრული სარჩელი სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა, რადგან სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს მფლობელობის და საკუთრების უფლების საკითხებს.

ამასთან, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც საქმეთა განსაზღვრის პრინციპად აღიარებს არა დავის სუბიექტებს, არამედ სამართლებრივ ურთიერთობას, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ საქმეებს სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე, იურიდიულ პირებს შორის.

სასამართლომ, ასევე, ყურადღება გაამახვილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 16 მაისის №431(გ-19) განჩინებაზე, რომლის თანახმად, სსიპ „112-ის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებარა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ამდენად, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ სარჩელს არ გააჩნდა საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის და-

მახასიათებელი არც ერთი ელემენტი, რის გამოც არ არსებობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

ამას გარდა, სასამართლომ განმარტა, რომ სასარჩელო მოთხოვნა სსიპ „112-ის“ სპეციალურად დაცულ სადგომზე გადაყვანისა და შენახვის შედეგად წარმოშობილი მომსახურების საფასურის დაკისრების თაობაზე, წარმოადგენდა არა ძირითადი მოთხოვნისაგან დამოუკიდებელ საგანს, არამედ მოსარჩელის სარგებლობაში არსებული უძრავი ნივთის ფაქტობრივი მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნის თანმდევ შედეგს. სასამართლომ, აგრეთვე, ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოცემული დავის ფარგლებში შესაფასებელი იყო არა ავტომანქანის საჯარო სადგომზე გადაყვანის კანონიერება, არამედ სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების საფასური. სასამართლომ მიუთითა საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №489 დადგენილების მე-4 მუხლის სათაურზეც, რომლის 3¹ პუნქტით განსაზღვრულია მოთხოვნილი საფასურის ოდენობაც. ამდენად, მხოლოდ ის გარემოება, რომ მოთხოვნილი თანხის დაანგარიშების წესი განსაზღვრულია ნორმატიული აქტით, მოცემულ დავას არ სძენს ადმინისტრაციულ ხასიათს და ვერ იქნება განხილული ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ სარჩელი თანდართული მასალებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას უნდა გადასცემოდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ სარჩელი, მოპასუხე გ. გ-ის მიმართ, განსჯადობით განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას უნდა დაექვემდებაროს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კონ-

სტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქცია-საც ექვემდებარება მისი საქმე.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია კანონიერ სასამართლოზე ადამიანის უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხ.). კანონიერი სასამართლოს უფლება კი სასამართლოს განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას მოითხოვს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯად სამოქალაქო დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციული წესით სასამართლოთა განსჯად საქმეებს, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურითიერობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

განსახილველ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს

ორ სხვადასხვა კოლეგიას შორის დავა საგნობრივ განსჯადობასთან დაკავშირებით არის წარმოშობილი. ამდენად, დასადგენია, მოცემული საქმე წარმოადგენს ადმინისტრაციული თუ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას. შესაბამისად, შეფასებას საჭიროებს არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი, რადგან განსჯადობის საკითხის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ დავის ბუნებას და არა სუბიექტურ შემადგენლობას ენიჭება. სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძო-სამართლებრივი ურთიერთობები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამოქალაქო კანონმდებლობით წესრიგდება. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯარო-სამართლებრივი, ასევე კერძო-სამართლებრივი ფორმები.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე – სსიპ „112“, რომელიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანოა, მოპასუხე ფიზიკური პირისაგან ითხოვს მომსახურების საფასურის ანაზღაურებას და სპეციალური სადგომიდან ავტომანქანის გაყვანის დავალებას. სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად მითითებულია ის გარემოებები, რომ 2015 წლის 6 ივნისს ფ. გ-ს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი მუშაკის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის 4² ნაწილის შესაბამისად, დროებით ჩამოერთვა მფლობელობაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალება. სსიპ „112-ის“ მიერ ავტომანქანა გადაყვანილ იქნა სპეციალურ დაცულ სადგომზე, სადაც დღემდეა განთავსებული. აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებას სსიპ „112-ის“ ევაკუატორით მისი ტრანსპორტირებისა და მითითებულ პერიოდში სპეციალურ დაცულ სადგომზე დგომის (შენახვის) გამო ერიცხება სსიპ „112-ის“ მომსახურების საფასური 4 742 ლარი, რომელიც გაანგარიშებულია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №489 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლში მოცემული სსიპ „112-ის“ მომსახურების საფასურის განაკვეთების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილი სამართალდარღვევად მიიჩნევს სატრანსპორტო საშუალების მართვას ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში და აღნიშნული გადაცდომის შემთხვევაში ითვალისწინებს დამრღვევისათვის მართვის უფლების შეჩერებას. ამასთან, თუკი დამრღვევს არ

აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ან ეს უფლება შეჩერებული აქვს, დამატებით გათვალისწინებულია ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით (4^2 ნაწ.), ხოლო დარღვევის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში – 1500 ლარის ოდენობით (4^3 ნაწ.). განსახილველ შემთხვევაში, დასტურდება, რომ გ. გ-ი დაჯარიმდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის 4^2 ნაწილისა და 125-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის პირველი შენიშვნის მიხედვით, ამ კოდექსის 116-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე მართვის მოწმობის ან სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო დოკუმენტების უქონლობის შემთხვევაში დამრღვევს საქმის განხილვამდე დროებით ჩამოერთმევა სატრანსპორტო საშუალება და მას გადაიყვანენ სპეციალურ სადგომზე; ტრანსპორტირებისა და სადგომის შენახვის ხარჯები დაეკისრება დამრღვევს. აღნიშნულ დარღვევაზე სამართალდარღვევის შედგენისა და სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს შინაგან საქმეთა ორგანოებს, პოლიციელს (კოდექსის 209.13, 250.1¹ მუხ.). ამდენად, მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის ვალდებულება სსიპ „112-ის“ მიმართ საჯარო კანონმდებლობიდან წარმოშობილი საფუძვლიდან წარმოიშობა.

საკაცაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართლის ნორმების განსხვავებული შინაარსის მიუხედავად, მათი სტრუქტურა ერთნაირია, სამართლის ნორმის სტრუქტურა შედგება ფაქტობრივი შემადგენლობისა და იურიდიული შედეგისაგან, ფაქტობრივი შემადგენლობა განსაზღვრავს ნებადართულ ან აკრძალულ ქმედებას, იურიდიული შედეგი დგება ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობის დადგომის შემთხვევაში. იურიდიული შედეგი, ხშირად სანქციის ფორმით არის გამოხატული, რომელიც იძულებითი ხასიათის ღონისძიებაა. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისათვის გათვალისწინებული სანქცია არის სახელმწიფო იძულების მექანიზმით გარანტირებული იურიდიული პასუხისმგებლობის ზომა, რომელიც შესაძლოა გამოიხატოს ფულადი სახით, თავისუფლების აღკვეთით, პირისათვის გარკვეული ქმედების დავალებითა თუ აკრძალვით და სხვ.. სანქციის შეფარდებას ახორციელებს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო, განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც გამოავლენს სამართალდარღვევას, ახდენს მასზე რეაგირებას და იღებს გადაწყვეტილებას ნორმატიულად განსაზღვრულ ფარგლებში დამრღვევისთვის სანქციის კონკრეტული ზომის შეფარდებასთან დაკავშირებით (სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს შინაგან საქმეთა მინის-

ტრის №993 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დებულების“ მე-6 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტები).

განსახილველ შემთხვევაში, სახეზეა გ. გ-ის მიერ სატრანსპორტო სამართალდარღვევის ჩადენა, რაც სადავო არ გამხდარა და შესაბამისად, არ არის მოცემული დავის საგანი. გ. გ-ი პატრულის სპექტორის მიერ დაჯარიმდა სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის 42 ნაწილისა და 125-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე 1000 ლარით და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის შესახებ, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილება საჭიროებდა აღსრულებას, რადგან საჯარო უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებლობა აზრს უკარგავს ასეთი გადაწყვეტილების მიღებას, კონკრეტული დარღვევის გამოვლენასა და მასზე რეაგირებას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას, როგორც წესი, გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანო უზრუნველყოფს (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილი), თუმცა დაიშვება აღნიშნული უფლებამოსილების დელეგირება (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 162-ე მუხლის მე-3 ნაწილი). დელეგირებისას კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანო მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოვალეობებს გადასცემს მესამე პირს, რომელიც შესაძლოა იყოს როგორც კერძო პირი, ასევე ადმინისტრაციული ორგანო. დელეგირების შედეგად სუბიექტი აღიჭურვება კონკრეტულ სფეროში საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებებით და მოქმედებს მინიჭებული უფლებამოვალეობების ფარგლებში. ამასთანავე, დელეგირებული უფლებამოსილებების მოცულობა, ვადა და სუბიექტი განისაზღვრება შესაბამისი საჯარო-სამართლებრივი ფუნქციის მატარებელი ორგანოს მიერ. დელეგირება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის, ასევე ფუნქციის მიმღებ სუბიექტთან შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებით ან მათი ერთობლივი გამოყენებით.

სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ დებულების“ მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით სსიპ „112-ის“ ფუნქციებს შორის მითითებული იყო სამი-

ნისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული სამართალდარღვევების შემთხვევაში ჩამორთმევას დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალებების სპეციალურად დაცული სადგომის მოწყობა-ორგანიზების და სატრანსპორტო საშუალებათა ევაკუატორით ან თავისი სვლით გადაადგილების უზრუნველყოფის ფუნქცია (ასეთივე მოწესრიგებას ითვალისწინებს ამჟამად მოქმედი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 20 თებერვლის №18 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ დებულების 2.2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი), რომელიც სსიპ-ის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. სატრანსპორტო საშუალებათა ევაკუატორით ან თავისი სვლით გადაადგილებისათვის, სპეციალურად დაცულ (საჯარიმო) სადგომებზე სატრანსპორტო საშუალებათა განთავსება/შენახვისათვის სადავო ურთიერთობის წარმოშობის დროს მოქმედი დებულებით გათვალისწინებული იყო სსიპ „112-ის“ სტრუქტურაში სპეციალური სტრუქტურული ერთეული (დებულების მე-9 მუხლის მე-7 პუნქტი), ასეთ მოწესრიგებას ითვალისწინებს აგრეთვე „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ შექმნის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე ამჟამად მოქმედი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 20 თებერვლის №18 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი, მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის გადანყვეტილების საფუძველზე დამრღვევის ავტომანქანის ე.წ. „საჯარიმო“ სადგომზე გადაყვანა სწორედ სსიპ „112-მა“ განახორციელა. სასარჩელო განცხადებაში სსიპ „112“ აღნიშნავს, რომ სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანას ევაკუატორით მომსახურების სერვისის სსიპ „112“ ახორციელებს 2014 წლის მაისიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დროებით ჩამორთმეული სატრანსპორტო საშუალების გადაყვანას და მათ შენახვას სპეციალურ დაცულ სადგომზე. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და სსიპ „112-ს“ შორის 2014 წლის 15 მაისს დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიხედვით, ხელშეკრულება დაიდო სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში დეპარტამენტის შეტყობინების შედეგად სატრანსპორ-

ტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანის, შენახვისა და დაცვის მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით (2.2 პუნქტი). აღნიშნული ქმედებების განხორციელება ფაქტობრივად წარმოადგენს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ სამართალდარღვევის გამოვლენის გამო სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებას, ანუ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების მიზნით მისთვის საჯარო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების რეალიზების შედეგად მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას, რისი უფლებაც ამ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოსვე ჰქონდა მინიჭებული (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის პირველი ნაწილი, 250-ე მუხლის 1¹ ნაწილი). ამდენად, დასტურდება, რომ აღნიშნული ხელშეკრულებით შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის საფუძველზე სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანისა და შენახვის უფლებამოსილების სსიპ „112-ისთვის“ გადაცემით, ეს უკანასკნელი აღჭურვა აქტის აღსრულების უფლებამოსილებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25¹ მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავები საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების სახელწოდებას, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი) ძირითად ელემენტს შეადგენს ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსით განისაზღვრება. ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, ხოლო კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად. განსახილველ შემთხვევაში, უდავოდ დასტურდება

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და მოსარჩელეს შორის დადებული ხელშეკრულების ადმინისტრაციული ხასიათი, რადგან ხელშეკრულებით განხორციელდა სსიპ „112-ის“ ისეთი საჯარო-სამართლებრივი ფუნქციით აღჭურვა, რომელიც ნორმატიულად საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კომპეტენციას განეკუთვნება. ამდენად, სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანას, დაცვასა და შენახვას სსიპ „112“ ახორციელებს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებული დებულების საფუძველზე. შესაბამისად, აღნიშნული ფუნქციის განხორციელებებისას პირთან წარმოშობილი სამართალურიერთობები საჯარო ხასიათისაა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ხელშეკრულება ითვალისწინებს აღსრულების უფლებამოსილების დელეგირებას და არა აღსრულების პროცესში ტექნიკურ დახმარებას, რადგან სატრანსპორტო საშუალების სადგომზე გადაყვანასთან და დგომასთან დაკავშირებული პროცესის განხორციელება სრულად სსიპ-ისთვის არის გადაცემული. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის პირველი შენიშვნის თანახმად, ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯები ეკისრება დამრღვევს, აღნიშნული ხარჯი ფაქტობრივად აღსრულების ღირებულებაა, რომლის მიღების უფლებაც ხელშეკრულებით ასევე სსიპ „112-ს“ აქვს გადაცემული, ხოლო ანაზღაურების განაკვეთები განსაზღვრულია ნორმატიულად – საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №489 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ მომსახურების საფასურის, მისი განაკვეთისა და გადახდის წესის“ მე-4 მუხლით. ამდენად, შსს-ს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების ფარგლებში სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანა და შენახვა შესაბამისი საჭიროების გასვლამდე წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობას, რადგან ხორციელდება საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და სსიპ „112-ს“ შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიხედვით საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი იღებს გადაწყვეტილებას დროებით ჩამორთმეული სატრანსპორტო საშუალების მფლობელისათვის დაბრუნებაზე, რის შესა-

ხედავ აცნობებს სსიპ „112-ს“ (3.1.4 პუნქტი), ხოლო სსიპ „112“ ვალდებულია დაუბრუნოს მესაკუთრეს (მფლობელს) სატრანსპორტო საშუალება დეპარტამენტის აღნიშნული ნებართვის საფუძველზე (3.2.12 პუნქტი). ამდენად, სსიპ „112-ის“ მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება სრულდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მიზნებისათვის სატრანსპორტო საშუალების სადგომზე დგომის საჭიროების ამონურვით, თუმცა პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც საჭიროების არარსებობის მიუხედავად მესაკუთრე (მფლობელი) არ ახდენს სატრანსპორტო საშუალების სადგომიდან გაყვანას.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში, დასტურდება საჭიროების გასვლის შემდეგ დამრღვევის მიერ სატრანსპორტო საშუალების სსიპ „112-ის“ ავტოსადგომზე დატოვება. ამდენად, ერთი მხრივ, ფაქტობრივი უმოქმედობით მფლობელმა გამოხატა სსიპ-ის ავტოსადგომზე სატრანსპორტო საშუალების დგომის ნება, ხოლო, მეორე მხრივ, ქმედითი წინააღმდეგობის გაუნეგლობით, დუმილით სსიპ „112“ კონკლუდენტურად დაეთანხმა სატრანსპორტო საშუალების მის სადგომზე დატოვებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის წარმოიშვა სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება, კერძოდ, მიზარება, უკეთუ დასტურდება სსიპ-ის პასუხისმგებლობა ქონების შენახვასთან, მოვლასთან და დაცვასთან დაკავშირებით, ან სადგომის კონკრეტული ადგილის დამრღვევის მიერ დაქირავება, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებას არ მოჰყვება გამქირავებელი მხარისათვის ნივთის შენახვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა. სსიპ „112-სა“ და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების 8.2 პუნქტის მიხედვით, საჭიროების გასვლის შემდეგ ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობები არ ვრცელდება „112-ის“ და დამრღვევ მძღოლთან (სატრანსპორტო საშუალების მფლობელთან) ურთიერთობაზე, ამდენად, ერთმნიშვნელოვნად არ დგინდება სსიპ „112-ის“ ვალდებულება საჭიროების გასვლის შემდეგ სადგომზე განთავსებული სატრანსპორტო საშუალების დაცვის შესახებ, თუმცა, მეორე მხრივ, ავტოსადგომი არაერთგზის მოიხსენიება დაცულ ავტოსადგომად. ამდენად, საქმის მასალებით არ იკვეთება სადგომზე განთავსებული ავტომანქანის მიმართ სსიპ „112-ის“ უფლება-მოვალეობების ფარგლები, რაც ამ ეტაპზე გამორიცხავს ხელშეკრულების კონკრეტული სახის დადგენის შესაძლებლობას, თუმცა აღნიშნული არ ქმნის დაბრკოლებას განსჯადობის წესის განსაზღვრისათვის, რადგან განსჯადობის საკითხის გადანაცვების მიზნებისათვის მნიშვნელოვანია ხელშეკრულების ბუნება

და არა – ხელშეკრულების კონკრეტული სახე, ამ უკანასკნელი საკითხის განსაზღვრა დავის არსებითად განმხილველი სასამართლოს კომპეტენციას შეადგენს.

ხელშეკრულების კონკრეტული სახის მიუხედავად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ურთიერთობის ამ ნაწილის ბუნება კერძო-სამართლებრივია, აღნიშნულზე მითითებას ახდენს, აგრეთვე, ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, საჭიროების გასვლის შემდეგ „112-სა“ და დამრღვევ მძღოლს (სატრანსპორტო საშუალების მფლობელს) შორის არსებული ურთიერთობა რეგულირდება სამოქალაქო კოდექსით (ხელშეკრულების 8.2 პუნქტი). ამდენად, მითითებულ ნაწილში არსებული ურთიერთობა კერძო-სამართლებრივია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელის ის ნაწილი, რომელიც უკავშირდება გამოძახების, გადაყვანის და შენახვის ანაზღაურების მოთხოვნას საჯარო კანონმდებლობიდან გამომდინარეობს და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული, ხოლო შენახვის საჭიროების შემდეგ სადგომის ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა კერძო-სამართლებრივი ხასიათისაა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განმხილველი სასამართლოები არ ქმნიან ერთმანეთისგან იზოლირებულ, ცალკე სასამართლო სისტემებს, მართლმსაჯულების ნებისმიერი განშტოება სასამართლო დავის გადანწყვეტისას უფლებამოსილია გამოიყენოს და განმარტოს ნებისმიერი ნორმატიული, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, ასევე კერძო-სამართლებრივი აქტი, მათი რეგულირების საგნის და გამომცემი ორგანოს მიუხედავად. დავის კომპლექსური ხასიათი, გამოსაყენებელი ნორმების სიმრავლე, ნორმატიული აქტის მიერ როგორც საჯარო-სამართლებრივი ისე კერძო-სამართლებრივი ხასიათის რეგულირება, სადავო ურთიერთობების ნახევარტონალობა ართულებს საჯარო და კერძო-სამართლებრივ საკითხებს შორის მკვეთრი ზღვარის გავლებას, ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს დავის მთავარი კომპონენტის დადგენას, მისი განსჯადობის განსაზღვრისას, მთავარი საკითხის გადამწყვეტ სასამართლოს აქვს უფლება გადაწყვიტოს დავის ყველა კომპონენტი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მართალია სასარჩელო მოთხოვნები წარმოშობილია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ქმედებების შედეგად, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ დავის საგანს არ შეადგენს სამართალდარღვევის ჩადენა და მასზე რეაგირების ფარგლებში შესრულებული ოპერაციები: ევაკუატორის გამოძახება, სატრანსპორტო საშუალების სადგომზე გადაყ-

ვანა, სადგომზე გაჩერება. სასარჩელო მოთხოვნა ეხება თანხის დაკისრებას და სადგომის გამოთავისუფლების დავალებას, მოსარჩელის ინტერესი მომსახურების, სადგომზე დგომის ღირებულების ანაზღაურება და უძრავი ნივთით სათანადოდ სარგებლობაში ხელშეშლის აღკვეთაა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე და 317-ე მუხლების თანახმად, ვალდებულება შესაძლოა წარმოიშვას ხელშეკრულებიდან, დელიქტიდან, ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლიდან. მოცემულ შემთხვევაში სსიპ „112-სა“ და ფიზიკურ პირს შორის დავა ეხება არა შსს-სა და სსიპ-ს შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულებას, სსიპ-ისთვის დელეგირებული საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას, არამედ უკვე განეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას. აღნიშნულ მოთხოვნებზე მსჯელობისას, საკითხის არსებითად განმხილველ სასამართლოს ძირითადად სწორედ სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი რეგულაციების გამოყენება, დგომის საჭიროების გასვლის შემდეგ წარმოშობილი კერძო-სამართლებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის შეფასება, მისგან გამომდინარე ვალდებულებებზე მსჯელობა მოუწევს. ამდენად, დავის ძირითადი კომპონენტი კერძო-სამართლებრივია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ სარჩელი, მოპასუხე გ. გ-ის მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ავტომანქანის საჯარიმო სადგომზე დგომის
ღირებულების ანაზღაურების თაობაზე ღპვის
განსჯადობა**

**განჩინება
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-127(გ-20)

18 მარტი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე;
ნ. სხირტლაძე**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განიხილა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიასა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის წარმოშობილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 9 ოქტომბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-მა“ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – დ. ს-ის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2014 წლის მაისიდან ახორციელებს ევაკუატორით მომსახურების სერვისს, რომლის ფარგლებშიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციასთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, უზრუნველყოფს კანონმდებლობის შესაბამისად ჩამორთმეული სატრანსპორტო საშუალებების გადაყვანას და მათ შენახვას სპეციალურ დაცულ სადგომზე.

2017 წლის 29 იანვარს დ. ს-ის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი მოსამსახურის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116.4.2 მუხლის შესაბამისად, დროებით ჩამოერთვა მის მფლობელობაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალება „ჟიგული“, სახ. ნორმით ..., რომელიც სსიპ „112-ის“ მიერ გადაყვანილ იქნა ქ. თბილისში, დიღომში მდებარე, სსიპ „112-ის“ სპეციალურ დაცულ სადგომზე (დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა) და ამავე მისამართზე იმყოფება დღემდე.

არსებული მდომარეობით აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებას, სსიპ „112-ის“ ევაკუატორით მისი ტრასპორტირებისა და მითითებულ პერიოდში სპეციალურ დაცულ სადგომზე დგომის (შენახვის) გამო, ერიცხება სსიპ „112-ის“ მომსახურების საფასური – 2528 ლარი, რომელიც გაანგარიშებულია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №489 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლში მოცემული სსიპ „112-ის“ მომსახურების საფასურის განაკვეთების შესაბამისად.

ამასთან, მოსარჩელის განმარტებით, სპეციალური სადგომის ტერიტორია, სადაც განთავსებულია მოპასუხისათვის დროებით ჩამორთმეული ავტომანქანა სარგებლობაში გადაცემული აქვს სახელმწიფოს მიერ და იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში. ავტოსადგომზე მოწყობილია თანამედროვე ინფრასტრუქტურა, რომელიც განკუთვნილია საქართველოს ადმინისტრაციული ან/და სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართალდარღვევების საფუძველზე დროებით ჩამორთმეული სატრანსპორტო საშუალებების შესანახად. აღნიშნული ფუნქცია უშუალოდ ასახულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 20 თებერვლის №18 ბრძანებით დამტკიცებულ სსიპ „112-ის“ დებულებაში. ამდენად, დროებით ჩამორთმეული სატრანსპორტო საშუალების სსიპ „112-ის“ სპეციალურ დაცულ სადგომზე ყოველგვარი რელევანტური მიზეზის გარეშე ხანგრძლივი პერიოდით დგომა იწვევს სსიპ „112-ის“ კანონიერ მფლობელობაში არსებული ქონების უკანონო ხელშეშლას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 161-ე მუხლის თანახმად, თუ კეთილსინდისიერ მფლობელს არ ჩამოერთმევა ნივთი, მაგრამ სხვაგვარად შეეშლება ხელი მისი მფლობელობის განხორციელებაში, მაშინ მას მსგავსად მესაკუთრისა, შეუძლია მოითხოვოს ხელის შეშლის აღკვეთა, ხოლო იმავე კოდექსის 172-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა ხდება ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. შესაბამისად, სიპ „112-ის“, როგორც სადგომის მართლზომიერ მფლობელს, შეუძლია მოითხოვოს მფლობელობის უკანონო ხელშეშლის აღკვეთა. რაც შეეხება ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრებას, მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე მუხლების მიხედვით ვალდებულება შესაძლოა წარმოიშვას ხელშეკრულებიდან, დელიქტიდან ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან, განსახილველ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების სადგომზე გადაყვანისა და შენახვის ხარჯების მოპასუხის მიერ გადახდის ვალდებულება კანონისმიერ

რია და წარმოიშობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის პირველი შენიშვნიდან, რომელიც განუვლი ხარჯის ანაზღაურებას დამრღვევს აკისრებს.

მოსარჩელემ მოპასუხისათვის სსიპ „112-ის“ მომსახურების საფასურის – 2528 ლარის, ასევე სსიპ „112-ის“ სარგებლობაში არსებული უძრავი ნივთის ფაქტობრივი მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთის მიზნით, მოპასუხისათვის სსიპ „112-ის“ სპეციალური დაცული სადგომიდან (მის: ქ. თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა) ავტომანქანის – „უიგულის“ სახ. ნორმით ..., საკუთარი ხარჯებით დაუყოვნებლივ გადაყვანის დავალება და მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ სსიპ „112-ის“ მიერ სარჩელის შეტანისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 220 ლარის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 25 მარტის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ სარჩელი დ. ს-ის მიმართ, განსჯადობის წესებით დაცვით განსახილველად გადაეგზავნა უფლებამოსილ სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილია იმ საქმეთა კატეგორიები, რომელთაც სასამართლო განიხილავს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. კერძოდ, ამავე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავები მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის, თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარე-

ობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოა ყველა სახელმწიფო და ან ადგილობრივი თვითმმართველობის, ან მმართველობის ორგანო, ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას. ამდენად, აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, მოსარჩელე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112“ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს. ამასთან, აღნიშნული სსიპ თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 20 თებერვლის №18 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული დებულების შესაბამისად. აღნიშნული დებულების მე-2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, „112-ის“ ფუნქციას სპეციალურად დაცული (საჯარიმო) სადგომის მონყობა-ორგანიზება საქართველოს ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის კანონმდებლობით სამინისტროს კომპეტენციისათვის მიკუთვნებული სამართალდარღვევების შემთხვევაში ჩამორთმევას დაქვემდებარებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა სპეციალურად დაცულ (საჯარიმო) სადგომზე გადაყვანის და დგომის უზრუნველსაყოფად. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ „112-ის“ მოთხოვნა თავისი შინაარსის გათვალისწინებით გამომდინარეობს არა სამოქალაქო, არამედ – ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. სასამართლოს განმარტებით, ამ კონტექსტში მნიშვნელოვანი იყო რამდენიმე იურიდიული ასპექტი, კერძოდ, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის საჯარო-სამართლებრივი ხასიათი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ სარჩელის თანახმად, დ. ს-ის კუთვნილი ავტომანქანის საჯარიმო სადგომზე განთავსების საფუძველს წარმოადგენდა არა მხარეთა ნების ავტონომიის პირობებში დადებული კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულება, არამედ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი, სანქციების ფორმატში განხორციელებული მოქმედებები. ამგვარად, სასამართლომ მიიჩნია, რომ საჯარიმო სადგომზე ავტომანქანის გადაყვანა, როგორც საკუთრების უფლების შეზღუდვის ფორმა, ცალსახად საჯარო-სამართლებრივი მიზნებით იყო განპირობებული. ამასთან, ინდივიდუალური შეთანხმების საგანს არ წარმოადგენდა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ღირებულება, რომელიც რეგულირებულია 2011 წლის 27 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №489 დადგენილებით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ მოთხოვნის იურიდიული დასაბუთების შეფასებისათვის, პირველ რიგში, შესამოწმებელია საჯარიმო სადგომზე ავტომანქანის განთავსების ლეგიტიმურობა და ეს საფუძველი, გამომდინარეობდა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, ამასთან, მოთხოვნილი ღირებულების მოცულობა, რომელიც ასევე ეყრდნობოდა საქართველოს მთავრობის №489 დადგენილებას.

შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მოთხოვნის ნორმატიული წინაპირობების განსაზღვრისას, ვალდებულების არსებობის ნაწილში სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით და შეეფასებინა ვალდებულების შინაარსი ყველა სპეციფიკური ასპექტის გათვალისწინებით. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ სარჩელის შეფასება ექვემდებარებოდა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ასევე მიიჩნია, რომ საპროცესო ეკონომიის თვალსაზრისით, აგრეთვე, იმისათვის, რომ უკეთ ყოფილიყო უზრუნველყოფილი პირის უფლება სამართლიან სასამართლო განხილვაზე, რაც მოიცავდა ასევე სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების უფლებას, მიზანშეწონილი იყო, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი (სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის საფუძველი, რომლის თანახმადაც საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის) განმარტებულიყო იმგვარად, რომ მისი შინაარსი არ გავრცელებულიყო საგნობრივ განსჯადობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ „112-ის“ მიერ აღძრული სარჩელის დავის საგანი გამომდინარეობს ადმინისტრაციული და არა სამოქალაქო კანონმდებლობიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ სარჩელი მოპასუხე – დ. ს-ის მიმართ, საქმის მასალებთან ერთად განსჯადობის შესახებ სასამართლოთა შორის დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი იძლევა კომპეტენციის გამიჯვნის პოზიტიური ტაქსაციის მეთოდის გამოყენებით ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს. ამასთანავე, კომპეტენციის განსაზღვრის ზოგადი ნიშნის გამოყენებით (ენუმერაციის მეთოდი) კანონმდებლობამ ადმი-

ნისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის იმ სამართალურთიერთობიდან წარმოშობა, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.09.2014წ. განჩინება საქმეზე №350-316(გ-14)). ამდენად, სასამართლომ განმარტა, რომ საგნობრივი განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა ენიჭებოდა სამართალურთიერთობის სუბიექტის მოქმედების ფორმასა და საფუძვლებს.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მნიშვნელოვნად მიიჩნია, მოცემული საქმის ძირითადი მოთხოვნის სამართლებრივი ბუნების დადგენა და შეფასება გამომდინარეობდა თუ არა დავა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. მოსარჩელე ითხოვდა მის სარგებლობაში არსებული უძრავი ნივთის ფაქტობრივი მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთის მიზნით, სპეციალური დაცული სადგომიდან ავტომანქანის საკუთარი ხარჯებით დაუყოვნებლივ გაყვანის მოპასუხისათვის დავალდებულებას. შესაბამისად, მოპასუხისათვის სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისა და შენახვის შედეგად წარმოშობილი მომსახურების საფასურის სრულად ანაზღაურებას ავტომანქანის გადაყვანის დღისათვის დარიცხული თანხის ოდენობით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, მოსარჩელეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112“ წარმოადგენდა, მაგრამ საქმეში მისი მონაწილეობა სარჩელს ადმინისტრაციული დავის ხასიათს არ სძენს, ვინაიდან დავაში ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა მის სამართლებრივ ბუნებას არ განსაზღვრავს, გადამწყვეტი მნიშვნელობა სადავო სამართალურთიერთობის ხასიათსა და დავის საგანს ენიჭება, სადავო ურთიერთობა კი, ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან არ გამომდინარეობს.

კონკრეტულ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს საკუთრების უფლების ხელშეშლის აღკვეთა და თანხის ანაზღაურება, რაც არ წარმოადგენს ადმინისტრაციული კატეგორიის დავას, რამდენადაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. სასამართლოს აღნიშვნით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი კი უფრო აკონკრეტებს, რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად

ტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალური თეორიებიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მონესრიგებული.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საკუთრების უფლების ხელშეშლის აღკვეთაზე აღძრული სარჩელი წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსით მონესრიგებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ინსტიტუტს, სამოქალაქო სამართლის შემადგენელ ნაწილს. შესაბამისად, ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით აღძრული სარჩელი სამოქალაქო დავაა, რადგან სწორედ სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს მფლობელობის და საკუთრების უფლების საკითხებს. ამასთან, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც საქმეთა განსაზღვრის პრინციპად აღიარებს არა დავის სუბიექტებს, არამედ სამართლებრივ ურთიერთობას, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ საქმეებს სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე, იურიდიულ პირებს შორის. ამდენად, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ სარჩელს არ გააჩნდა საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი არც ერთი ელემენტი, რის გამოც არ არსებობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ სასარჩელო მოთხოვნა სსიპ „112-ის“ სპეციალურად დაცულ სადგომზე გადაყვანისა და შენახვის შედეგად წარმოშობილი მომსახურების საფასურის დაკისრების თაობაზე, წარმოადგენდა არა ძირითადი მოთხოვნისაგან დამოუკიდებელ საგანს, არამედ მოსარჩელის სარგებლობაში არსებული უძრავი ნივთის ფაქტობრივი მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნის თანმდევ შედეგს. სასამართლომ, აგრეთვე, ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოცემული დავის ფარგლებში შესაფასებელი იყო არა ავტომანქანის საჯარიმო სადგომზე გადაყვანის კანონიერება, არამედ – სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების საფასური. სასამართლომ მიუთითა საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №489 დადგენილების მე-4 მუხლის სათაურზეც, რომლის 31 პუნ-

ქტით განსაზღვრულია მოთხოვნილი საფასურის ოდენობაც. ამდენად, მხოლოდ ის გარემოება, რომ მოთხოვნილი თანხის დაანგარიშების წესი განსაზღვრულია ნორმატიული აქტით, მოცემულ დავას არ სძენს ადმინისტრაციულ ხასიათს და ვერ იქნება განხილული ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიების განჩინებების გაცნობის შედეგად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ სარჩელი, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. განსახილველ შემთხვევაში დავა ეხება საგნობრივ განსჯადობას. შესაბამისად, შეფასებას საჭიროებს არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი, რადგან განსჯადობის საკითხის განსაზღვრისას გამამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ დავის ბუნებას და არა სუბიექტურ შემადგენლობას ენიჭება. სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძო-სამართლებრივი ურთიერთობები სკ-ის 8.2 მუხლის თანახმად, სამოქალაქო კანონმდებლობით წესრიგდება. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯარო-სამართლებრივი, ასევე კერძო-სამართლებრივი ფორმები .

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე – სსიპ „112“, რომელიც

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანოა, მოპასუხე ფიზიკური პირისაგან ითხოვს მომსახურების საფასურის ანაზღაურებას და სპეციალური სადგომიდან ავტომანქანის გაყვანის დავალებას. სასარჩელო მოთხოვნის საფუძველად მითითებულია ის გარემოებები, რომ 2017 წლის 29 იანვარს დ. ს-ის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი მოსამსახურის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116.4² მუხლის შესაბამისად, დროებით ჩამოერთვა მის მფლობელობაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალება „ფიგული“, სახ. ნორმით ..., რომელიც სსიპ „112-ის“ მიერ გადაყვანილი იქნა ქ. თბილისში, დიღომში მდებარე, სსიპ „112-ის“ სპეციალურ დაცულ სადგომზე (დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა), სადაც დღემდე განთავსებული. სსიპ „112-ის“ მიერ სარჩელით მოთხოვნილი თანხა მოიცავს ევაკუატორის გამოძახების ღირებულებას (30 ლარი), სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების საფასურსა (18 ლარი) და საჯარიმო სადგომზე დგომის ღირებულებას (2480 ლარი).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილი სამართალდარღვევად მიიჩნევს სატრანსპორტო საშუალების მართვას ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში და აღნიშნული გადაცდომის შემთხვევაში ითვალისწინებს დამრღვევისათვის მართვის უფლების შეჩერებას. ამასთან, თუკი დამრღვევს არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ან ეს უფლება შეჩერებული აქვს, დამატებით გათვალისწინებულია ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით (4² ნაწ.), ხოლო დარღვევის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში – 1500 ლარის ოდენობით (4³ ნაწ.). განსახილველ შემთხვევაში დასტურდება, რომ დ. ს-ი დაჯარიმდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის 4² ნაწილის საფუძველზე. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის პირველი შენიშვნის მიხედვით, ამ კოდექსის 116-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე მართვის მოწმობის ან სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო დოკუმენტების უქონლობის შემთხვევაში დამრღვევს საქმის განხილვამდე დროებით ჩამოერთმევა სატრანსპორტო საშუალება და მას გადაიყვანენ სპეციალურ სადგომზე; ტრანსპორტირებისა და სადგომის შენახვის ხარჯები დაეკისრება დამრღვევს. აღნიშნულ დარღვევაზე სამართალდარღვევის შედგენისა და სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს შინაგან საქმეთა ორგანოებს, პოლიციელს (კოდექსის 209.13,

250.1¹ მუხ.). ამდენად, მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის ვალდებულება სისპ „112-ის“ მიმართ საჯარო კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლიდან წარმოიშობა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართლის ნორმების განსხვავებული შინაარსის მიუხედავად, მათი სტრუქტურა ერთნაირია, სამართლის ნორმის სტრუქტურა შედგება ფაქტობრივი შემადგენლობისა და იურიდიული შედეგისაგან, ფაქტობრივი შემადგენლობა განსაზღვრავს ნებადართულ ან აკრძალულ ქმედებას, იურიდიული შედეგი დგება ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობის დადგომის შემთხვევაში. იურიდიული შედეგი, ხშირად სანქციის ფორმით არის გამოხატული, რომელიც იძულებითი ხასიათის ლონისძიებაა. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისათვის გათვალისწინებული სანქცია არის სახელმწიფო იძულების მექანიზმით გარანტირებული იურიდიული პასუხისმგებლობის ზომა, რომელიც შესაძლოა გამოიხატოს ფულადი სახით, თავისუფლების აღკვეთით, პირისათვის გარკვეული ქმედების დავალებითა თუ აკრძალვით და სხვ.. სანქციის შეფარდებას ახორციელებს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო, განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც გამოავლენს სამართალდარღვევას, ახდენს მასზე რეაგირებას და იღებს გადაწყვეტილებას ნორმატიულად განსაზღვრულ ფარგლებში დამრღვევისთვის სანქციის კონკრეტული ზომის შეფარდებასთან დაკავშირებით.

განსახილველ შემთხვევაში, სახეზეა დ. ს-ის მიერ სატრანსპორტო სამართალდარღვევის ჩადენა, რაც არ არის მოცემული დავის საგანი. დ. ს-ი პატრულ-ინსპექტორის მიერ დაჯარიმდა სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის 4² ნაწილის საფუძველზე 1000 ლარით და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის შესახებ, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილება საჭიროებდა აღსრულებას, რადგან საჯარო უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებლობა აზრს უკარგავს ასეთი გადაწყვეტილების მიღებას, კონკრეტული დარღვევის გამოვლენასა და მასზე რეაგირებას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას, როგორც წესი, გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანო უზრუნველყოფს (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილი), თუმცა დაიშვება აღნიშნული უფლებამოსილების დელეგირება (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 162-ე მუხლის მე-3 ნაწილი). დელეგირებისას კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანო მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლება-მოვალეობებს გა-

დასცემს მესამე პირს, რომელიც შესაძლოა იყოს როგორც კერძო პირი, ასევე ადმინისტრაციული ორგანო. დელეგირების შედეგად სუბიექტი აღიჭურვება კონკრეტულ სფეროში საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებებით და მოქმედებს მინიჭებული უფლება-მოვალეობების ფარგლებში. ამასთანავე, დელეგირებული უფლებამოსილებების მოცულობა, ვადა და სუბიექტი განისაზღვრება შესაბამისი საჯარო-სამართლებრივი ფუნქციის მატარებელი ორგანოს მიერ. დელეგირება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის, ასევე ფუნქციის მიმღებ სუბიექტთან შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებით ან მათი ერთობლივი გამოყენებით.

სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ დებულების“ მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით სსიპ „112-ის“ ფუნქციებს შორის მითითებული იყო სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული სამართალდარღვევების შემთხვევაში ჩამორთმევას დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალებების სპეციალურად დაცული სადგომის მოწყობა-ორგანიზების და სატრანსპორტო საშუალებათა ევაკუაციით ან თავისი სვლით გადაადგილების უზრუნველყოფის ფუნქცია (ასეთივე მონესრიგებას ითვალისწინებს ამჟამად მოქმედი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 20 თებერვლის №18 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ დებულების 2.2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი), რომელიც სსიპ-ის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. სატრანსპორტო საშუალებათა ევაკუაციით ან თავისი სვლით გადაადგილებისათვის, სპეციალურად დაცულ (საჯარიმო) სადგომებზე სატრანსპორტო საშუალებათა განთავსება/შენახვისათვის სადავო ურთიერთობის წარმოშობის დროს მოქმედი დებულებით გათვალისწინებული იყო სსიპ „112-ის“ სტრუქტურაში სპეციალური სტრუქტურული ერთეული (დებულების მე-9 მუხლის მე-7 პუნქტი), ასეთ მონესრიგებას ითვალისწინებს აგრეთვე „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ შექმნის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე ამჟამად მოქმედი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 20 თებერვლის №18 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი, მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილების საფუძველზე დამრღვევის ავტომანქანის ე.წ. „საჯარიმო“ სადგომზე გადაყვანა სწორედ სსიპ „112-მა“ განახორციელა. სასარჩელო განცხადებაში სსიპ „112“ აღნიშნავს, რომ სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და სსიპ „112-ს“ შორის 2014 წლის 15 მაისს დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიხედვით, ხელშეკრულება დაიდო სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში დეპარტამენტის შეტყობინების შედეგად სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანის, შენახვისა და დაცვის მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით (2.2 პუნქტი). აღნიშნული ქმედებების განხორციელება ფაქტობრივად წარმოადგენს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ სამართალდარღვევის გამოვლენის გამო სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებას, ანუ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების მიზნით მისთვის საჯარო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების რეალიზების შედეგად მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას, რისი უფლებაც ამ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოსვე ჰქონდა მინიჭებული (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის პირველი ნაწილი, 250-ე მუხლის 1^ა ნაწილი). ამდენად, დასტურდება, რომ აღნიშნული ხელშეკრულებით შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის საფუძველზე სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანისა და შენახვის უფლებამოსილების სსიპ „112-ისთვის“ გადაცემით, ეს უკანასკნელი აღჭურვა აქტის აღსრულების უფლებამოსილებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25^ა მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავები საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების სახელწოდებას, არამედ – ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის (საქართველოს ზოგადი

ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი) ძირითად ელემენტს შეადგენს ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსით განისაზღვრება. ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, ხოლო კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად. განსახილველ შემთხვევაში, უდავოდ დასტურდება საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და მოსარჩელეს შორის დადებული ხელშეკრულების ადმინისტრაციული ხასიათი, რადგან ხელშეკრულებით განხორციელდა სსიპ „112-ის“ ისეთი საჯარო-სამართლებრივი ფუნქციით აღჭურვა, რომელიც ნორმატიულად საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კომპეტენციას განეკუთვნება. ამდენად, სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანას, დაცვასა და შენახვას სსიპ „112“ ახორციელებს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებული დებულების საფუძველზე. შესაბამისად, აღნიშნული ფუნქციის განხორციელებისას პირთან წარმოშობილი სამართალური თითობები საჯარო ხასიათისაა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ხელშეკრულება ითვალისწინებს აღსრულების უფლებამოსილების დელეგირებას და არა აღსრულების პროცესში ტექნიკურ დახმარებას, რადგან სატრანსპორტო საშუალების სადგომზე გადაყვანასა და დგომასთან დაკავშირებული პროცესის განხორციელება სრულად სსიპ-ისთვის არის გადაცემული. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის პირველი შენიშვნის თანახმად, ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯები ეკისრება დამრღვევს, აღნიშნული ხარჯი ფაქტობრივად აღსრულების ღირებულებაა, რომლის მიღების უფლებაც ხელშეკრულებით ასევე სსიპ „112-ს“ აქვს გადაცემული, ხოლო ანაზღაურების განაკვეთები განსაზღვრულია ნორმატიულად – საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №489 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „112-ის“ მომსახურების საფასურის, მისი განაკვეთისა და გადახდის წესის“ მე-4 მუხლით. ამდენად, შსს-ს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების ფარგლებში სატრანსპორ-

ტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანა და შენახვა შესაბამისი საჭიროების გასვლამდე წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობას, რადგან ხორციელდება საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და სსიპ „112-ს“ შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიხედვით საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი იღებს გადაწყვეტილებას დროებით ჩამორთმეული სატრანსპორტო საშუალების მფლობელისათვის დაბრუნებაზე, რის შესახებაც აცნობებს სსიპ „112-ს“ (3.1.4 პუნქტი), ხოლო სსიპ „112“ ვალდებულია დაუბრუნოს მესაკუთრეს (მფლობელს) სატრანსპორტო საშუალება დეპარტამენტის აღნიშნული ნებართვის საფუძველზე (3.2.12 პუნქტი). ამდენად, სსიპ „112-ის“ მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება სრულდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მიზნებისათვის სატრანსპორტო საშუალების სადგომზე დგომის საჭიროების ამონურვით, თუმცა პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც საჭიროების არარსებობის მიუხედავად მესაკუთრე (მფლობელი) არ ახდენს სატრანსპორტო საშუალების სადგომიდან გაყვანას.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში, დასტურდება საჭიროების გასვლის შემდეგ დამრღვევის მიერ სატრანსპორტო საშუალების სსიპ „112-ის“ ავტოსადგომზე დატოვება. ამდენად, ერთი მხრივ, ფაქტობრივი უმოქმედობით მფლობელმა გამოხატა სსიპ-ის ავტოსადგომზე სატრანსპორტო საშუალების დგომის ნება, ხოლო, მეორე მხრივ, ქმედითი წინააღმდეგობის გაუწევლობით, დუმილით სსიპ „112“ კონკლუდენტურად დაეთანხმა სატრანსპორტო საშუალების მის სადგომზე დატოვებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის წარმოიშვა სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება, კერძოდ, მიზარება, ვინაიდან, დასტურდება სსიპ-ის პასუხისმგებლობა ქონების შენახვასთან, მოვლასა და დაცვასთან დაკავშირებით, ან სადგომის კონკრეტული ადგილის დამრღვევის მიერ დაქირავება, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებას არ მოჰყვება გამქირავებელი მხარისათვის ნივთის შენახვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა. სსიპ „112-სა“ და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების 8.2 პუნქტის მიხედვით, საჭიროების გასვლის შემდეგ ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობები არ ვრცელდება „112-ის“ და დამრღვევ მძღოლთან (სატრანსპორტო საშუალების მფლობელთან) ურთიერთობაზე, ამდენად, ერთმნიშ-

ვნელოვნად არ დგინდება სსიპ „112-ის“ ვალდებულება საჭიროების გასვლის შემდეგ სადგომზე განთავსებული სატრანსპორტო საშუალების დაცვის შესახებ, თუმცა, მეორე მხრივ, ავტოსადგომი არაერთგზის მოიხსენიება დაცულ ავტოსადგომად. ამდენად, საქმის მასალებით არ იკვეთება სადგომზე განთავსებული ავტომანქანის მიმართ სსიპ „112-ის“ უფლება-მოვალეობების ფარგლები, რაც ამ ეტაპზე გამორიცხავს ხელშეკრულების კონკრეტული სახის დადგენის შესაძლებლობას, თუმცა აღნიშნული არ ქმნის დაბრკოლებას განსჯადობის წესის განსაზღვრისათვის, რადგან განსჯადობის საკითხის გადაწყვეტის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია ხელშეკრულების ბუნება და არა – ხელშეკრულების კონკრეტული სახე, ამ უკანასკნელი საკითხის განსაზღვრა დავის არსებითად განმხილველი სასამართლოს კომპეტენციას შეადგენს.

ხელშეკრულების კონკრეტული სახის მიუხედავად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ურთიერთობის ამ ნაწილის ბუნება კერძო-სამართლებრივია, აღნიშნულზე მითითებას ახდენს, აგრეთვე, ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, საჭიროების გასვლის შემდეგ „112-სა“ და დამრღვევ მძღოლს (სატრანსპორტო საშუალების მფლობელს) შორის არსებული ურთიერთობა რეგულირდება სამოქალაქო კოდექსით (ხელშეკრულების 8.2 პუნქტი). ამდენად, მითითებულ ნაწილში არსებული ურთიერთობა კერძო-სამართლებრივია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელის ის ნაწილი, რომელიც უკავშირდება გამოძახების, გადაყვანის და შენახვის ანაზღაურების მოთხოვნას საჯარო კანონმდებლობიდან გამომდინარეობს და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული, ხოლო შენახვის საჭიროების შემდეგ სადგომის ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა კერძო-სამართლებრივი ხასიათისაა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განმხილველი სასამართლოები არ ქმნიან ერთმანეთისგან იზოლირებულ, ცალკე სასამართლო სისტემებს, მართლმსაჯულების ნებისმიერი განშტოება სასამართლო დავის გადაწყვეტისას უფლებამოსილია გამოიყენოს და განმარტოს ნებისმიერი ნორმატიული, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, ასევე კერძო-სამართლებრივი აქტი, მათი რეგულირების საგნის და გამომცემი ორგანოს მიუხედავად. დავის კომპლექსური ხასიათი, გამოსაყენებელი ნორმების სიმრავლე, ნორმატიული აქტის მიერ როგორც საჯარო-სამართლებრივი ისე კერძო-სამართლებრივი ხასიათის რეგულირება, სადავო ურთიერთობების ნახევარტონალობა ართულებს საჯარო და კერძო-სამართლებრივ საკითხებს შორის მკვეთრი ზღვარის გავლებას, ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს დავის მთავარი კომპონენტის დადგენას, მისი გან-

სჯადობის განსაზღვრისას, მთავარი საკითხის გადაწყვეტ სასამართლოს აქვს უფლება გადაწყვიტოს დავის ყველა კომპონენტი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მართალია, სასარჩელო მოთხოვნები წარმოშობილია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ქმედებების შედეგად, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ დავის საგანს არ შეადგენს სამართალდარღვევის ჩადენა და მასზე რეაგირების ფარგლებში შესრულებული ოპერაციები: ევაკუატორის გამოძახება, სატრანსპორტო საშუალების სადგომზე გადაყვანა, სადგომზე გაჩერება. სასარჩელო მოთხოვნა ეხება თანხის დაკისრებას და სადგომის გამოთავისუფლების დავალებას, მოსარჩელის ინტერესი მომსახურების, სადგომზე დგომის ღირებულების ანაზღაურება და უძრავი ნივთით სათანადოდ სარგებლობაში ხელშეშლის აღკვეთაა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე და 317-ე მუხლების თანახმად, ვალდებულება შესაძლოა წარმოიშვას ხელშეკრულებიდან, დელიქტიდან, ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლიდან. მოცემულ შემთხვევაში სსიპ „112-სა“ და ფიზიკურ პირს შორის დავა ეხება არა შსს-სა და სსიპ-ს შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულებას, სსიპ-ისთვის დელეგირებული საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას, არამედ უკვე გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას. აღნიშნულ მოთხოვნებზე მსჯელობისას, საკითხის არსებითად განმხილველ სასამართლოს ძირითადად სწორედ სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი რეგულაციების გამოყენება, დგომის საჭიროების გასვლის შემდეგ წარმოშობილი კერძო-სამართლებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის შეფასება, მისგან გამომდინარე ვალდებულებებზე მსჯელობა მოუწევს. ამდენად, დავის ძირითადი კომპონენტი კერძო-სამართლებრივია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო აქვე მიუთითებს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო მიერ ამგვარი სახის სარჩელებთან დაკავშირებით დადგენილია პრაქტიკა და მიღებულია არაერთი განჩინება (საქმე №ბს-431(გ-19) 16.05.2019წ. განჩინება; საქმე №ბს-933(გ-19) 17.10.2019წ. განჩინება; №ბს-779(გ-19) 14.11.19განჩინება).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-

მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ სარჩელი, მოპასუხე დ. ს-ის მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ავტომატური საჯარიმო სადგომო აღმოსავლეთის ღირებულების ანაზღაურების თაობაზე დავის განსჯადობა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ

№ბს-128(გ-20)

8 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ა. ნულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. ქადაგიძე**

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის წარმოშობილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-მა“ 2018 წლის 2 ნოემბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასა-

მართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ე. ე-ოს მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის ავტომანქანის სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისა და შენახვის შედეგად წარმოშობილი საფასურის სრულად ანაზღაურების დავალება სარჩელის შეტანის დღისთვის დარიცხული თანხის – 4786,6 ლარის ოდენობით. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა მის სარგებლობაში არსებული უძრავი ნივთის ფაქტობრივი მფლობელობის ხელშემშლის აღკვეთის მიზნით მოპასუხისათვის სსიპ „112-ის“ სპეციალური სადგომიდან (მის.: ქ. თბილისი, დიდმის სასწავლო საცდელი მეურნეობა) ავტომანქანის (სახ. ნომრით: ...) საკუთარი ხარჯებით დაუყონებლივ გაყვანის დავალება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2014 წლის მაისიდან ახორციელებს ევაკუატორით მომსახურების სერვისს, რომლის ფარგლებშიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციასთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, უზრუნველყოფს კანონმდებლობის შესაბამისად ჩამორთმეული სატრანსპორტო საშუალებების გადაყვანას და მათ შენახვას სპეციალურ სადგომზე. 2017 წლის 6 მარტს, ე. ე-ოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი მოსამსახურის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-0-0 მუხლის შესაბამისად, დროებით ჩამოერთვა მის მფლობელობაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალება. სსიპ „112-ის“ მიერ ავტომანქანა გადაყვანილ იქნა სპეციალურ დაცულ სადგომზე, სადაც განთავსებულია დღემდე. სარჩელის შეტანის მომენტისთვის მოპასუხეს სსიპ „112-ის“ მიმართ ერიცხება მომსახურების საფასური 4786,6 ლარი, რომელიც გაანგარიშებულია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №489 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ მომსახურების საფასურის, მისი განაკვეთისა და გადახდის წესით“ დადგენილი განაკვეთების შესაბამისად. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მოპასუხის სატრანსპორტო საშუალების მიმართ დასრულებულია ყველა საჭირო პროცედურა, რის გამოც არ არსებობს მისი სპეციალურ სადგომზე დატოვების საჭიროება. ამასთანავე, სპეციალური სადგომის ტერიტორია სსიპ „112-ს“ კანონიერ სარგებლობაში გადაცემული აქვს სახელმწიფოსაგან კონკრეტული მიზნით. საჭიროების გასვლის შემდეგ ავტომანქანის სადგომზე დგომა უარყოფითად აისახება სსიპ „112-ის“ სერვისზე, რადგან იზღუდება სადგომის ფაქტობრივი გამოყენების რესურსი. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 161-ე, 172-ე მუხლებიდან გამომდინარე სსიპ „112-ს“, როგორც სადგომის მართლობიერ მფლობელს, შეუძლია მოითხოვოს მფლობელობის უკანონო ხელშემშლის აღკვეთა. რაც შეეხება, ტრანსპორტირებისა და

შენახვის ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრებას, მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე მუხლების მიხედვით ვალდებულება შესაძლოა წარმოიშვას ხელშეკრულებიდან, დელიქტიდან ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. განსახილველ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების სადგომზე გადაყვანისა და შენახვის ხარჯების მოპასუხის მიერ გადახდის ვალდებულება კანონისმიერია და წარმოიშობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის პირველი შენიშვნის საფუძველზე, რომელიც განეული ხარჯის ანაზღაურებას დამრღვევს აკისრებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 4 დეკემბრის განჩინებით სსიპ „112-ის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან 2017 წლის 6 მარტს ე. ეოსათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-0-0 მუხლის შესაბამისად, დროებით ჩამორთმეული სატრანსპორტო საშუალება, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ სპეციალურად დაცულ (საჯარიმო) სადგომზე გადაყვანა განხორციელდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 20 თებერვლის №18 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა დაცვით, ხოლო ავტომობილის სსიპ – „112-ის“ ევაკუატორით ტრანსპორტირებისა და სპეციალურ დაცულ (საჯარიმო) სადგომზე დგომისათვის შესაბამისი საფასურის გაანგარიშება მოხდა საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №489 დადგენილების მე-4 მუხლით დადგენილი სსიპ „112-ის“ მომსახურების საფასურის განაკვეთების შესაბამისად და საჯარიმო სადგომზე განთავსებული ავტომობილის გაყვანას ესაჭიროება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური უწყების ნებართვა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ მიერ აღძრული სარჩელის დავის საგანი გამომდინარეობს ადმინისტრაციული და არა სამოქალაქო კანონმდებლობიდან.

სასამართლომ, ასევე განმარტა, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს

მოპასუხის მხრიდან საჯარო მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღძრული დავა განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ კატეგორიას და შესაბამისად, მის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოდ მიიჩნია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ არ გაიზიარა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის პოზიცია განსჯადობის თაობაზე და 2019 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით სსიპ „112-ის“ სარჩელი სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია განსახილველი საქმის ძირითადი მოთხოვნის სამართლებრივი ბუნების დადგენა და აღნიშნა, რომ სასარჩელო მოთხოვნა სსიპ „112-ის“ სპეციალურად დაცულ სადგომზე გადაყვანისა და შენახვის შედეგად წარმოშობილი მომსახურების საფასურის დაკისრების თაობაზე, არ წარმოადგენს ძირითადი მოთხოვნისაგან დამოუკიდებელ საგანს, არამედ მოსარჩელის სარგებლობაში არსებული უძრავი ნივთის ფაქტობრივი მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნის თანმდევი შედეგია. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მოცემული დავის ფარგლებში შესაფასებელია არა ავტომანქანის საჯარიმო სადგომზე გადაყვანის კანონიერება, არამედ, სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების საფასურის დაკისრება. აღნიშნულზე მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №489 დადგენილების მე-4 მუხლის სათაურიც, რომლის 3¹ პუნქტით განსაზღვრულია მოთხოვნილი საფასურის ოდენობაც. ამდენად, მხოლოდ ის გარემოება, რომ მოთხოვნილი თანხის დაანგარიშების წესი განსაზღვრულია ნორმატიული აქტით, მოცემულ დავას არ სძენს ადმინისტრაციულ ხასიათს და ვერ იქნება განხილული ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ სსიპ „112-ის“ სარჩელი

განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს იმ საქმეთა კატეგორიას, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულია, თუ რა შეიძლება იყოს სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი. აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვა საქმეები იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის კანონმდებლობიდან. ამდენად, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქმის განსჯადობის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს არა სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტური შემადგენლობა, არამედ სადავო სამართალურთიერთობის ბუნება. დავის საჯარო-სამართლებრივად მიჩნევისათვის საკმარისი არ არის სადავო სამართალურთიერთობაში საჯარო სამართლის სუბიექტის მონაწილეობა, ვინაიდან, ადმინისტრაციული ორგანო შესაძლოა მხარედ გამოვიდეს კერძო-სამართლებრივ ურთიერთობაშიც. კერძოდ, საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების განსჯადობის საკითხის განსაზღვრისას, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს და ხელშეკრულების მიზანს, რომელიც მისი შინაარსიდან დგინდება.

განსახილველ შემთხვევაში სადავო სამართალურთიერთობის ერთ-ერთ მხარედ მონაწილეობს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირი „112“, ხოლო დავის საგანია სსიპ „112-სათვის“ სახელმწიფოსგან სარგებლობის უფლებით გადაცემული ავტოსადგომის მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთა და აღნიშნული ავტოსადგომით სარგებლობისათვის დარიცხული დავალიანების ანაზღაურება. მართალია, სსიპ „112-ის“ მომსახურების საფასურის ოდენობის დადგენა და მოთხოვნილი თანხის დაანგარიშების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბერის №489 დადგენილებით, რომელიც ადმინისტრაციულ კანონმდებლობას მიეკუთვნება, თუმცა აღნიშნული საკითხის მთავრობის დადგენილებით მოწესრიგება არ არის საკმარისი ურთიერთობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიისადმი კუთვნილების გადასაწყვეტად. თა-

ვის მხრივ, მხოლოდ ვალდებულებითი ურთიერთობის ფორმალურად სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის მოთხოვნებისადმი შესაბამისობა, საჯარო-სამართლებრივი მოთხოვნის სამოქალაქო კოდექსის ნორმაზე დაფუძნება ასევე არ ადასტურებს სადავო სამართალურთიერთობის სამოქალაქო-სამართლებრივ ხასიათს.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის ძირითადი მოთხოვნაა ფაქტობრივი მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთის მიზნით მოპასუხისათვის ავტოსადგომიდან სატრანსპორტო საშუალების გაყვანის დავალება, რომელიც სამოქალაქო კანონმდებლობის მოწესრიგების სფეროს განეკუთვნება. კერძოდ, სსიპ „112-ის“ სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად მითითებულია ის გარემოებები, რომ 2017 წლის 6 მარტს ე. ე-ო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-0-0 მუხლის შესაბამისად, დროებით ჩამოერთვა მის მფლობელობაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალება და სსიპ „112-ის“ მიერ ავტომანქანა გადაყვანილ იქნა სპეციალურ დაცულ სადგომზე, სადაც დღემდეა განთავსებული, საჭიროების გასვლის მიუხედავად. სსიპ „112-ის“ მიერ სარჩელით მოთხოვნილი თანხა მოიცავს ევაკუატორის გამოძახების ღირებულებას (30ლ.), სატრანსპორტო საშუალების ევაკუატორით გადაადგილების საფასურს (39 ლ.), დამატებით შესრულებული სამუშაო (433.6ლ) და საჯარიმო სადგომზე დგომის ღირებულებას (3 668 ლ.).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ დებულების“ მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით, სსიპ „112-ის“ ფუნქციებს შორის მითითებული იყო სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული სამართალდარღვევების შემთხვევაში ჩამორთმევას დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალებების სპეციალურად დაცული სადგომის მონყობა-ორგანიზების და სატრანსპორტო საშუალებათა ევაკუატორით ან თავისი სვლით გადაადგილების უზრუნველყოფის ფუნქცია (ასეთივე მოწესრიგებას ითვალისწინებს ამჟამად მოქმედი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 20 თებერვლის №18 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ დებულების 2.2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი), რომელიც სსიპ-ის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. ამდენად, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილების საფუძველ-

ზე დამრღვევის ავტომანქანის ე.წ. „საჯარიმო“ სადგომზე გადაყვანა სწორედ სსიპ „112-მა“ განახორციელა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის პირველი შენიშვნის თანახმად, ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯები ეკისრება დამრღვევს, აღნიშნული ხარჯი ფაქტობრივად აღსრულების ღირებულებაა, რომლის მიღების უფლებაც სსიპ „112-ს“ აქვს გადაცემული, ხოლო ანაზღაურების განაკვეთები განსაზღვრულია ნორმატიულად – საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №489 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ მომსახურების საფასურის, მისი განაკვეთისა და გადახდის წესით“ (მე-4 მუხ.).

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ სსიპ „112-ის“ კუთვნილ სპეციალურ დაცულ სადგომზე განთავსებული ავტომანქანის მიმართ დასრულებულია სამართალდარღვევაზე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება. შესაბამისად, საჭიროების გასვლის გამო დასრულებულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა.

რაც შეეხება განსახილველი დავის კერძო-სამართლებრივი ხასიათის, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მართალია, სასარჩევლო მოთხოვნები წარმომოხილია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ქმედებების შედეგად, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველ სამართალურთიერთობაში აღარ მონაწილეობს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, ასევე დავის საგანს არ წარმოადგენს სამართალდარღვევის ჩადენა და მასზე რეაგირების ფარგლებში შესრულებული ოპერაციები, გამოირიცხება საჯარო ელემენტის არსებობა და დავის ადმინისტრაციული წესით განხილვის შესაძლებლობა. სადავო ურთიერთობა ეხება უკვე განუღებელი მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას და მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთას. კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში დადასტურებულია საჭიროების გასვლის შემდეგ დამრღვევის მიერ სატრანსპორტო საშუალების სსიპ „112-ის“ ავტოსადგომზე დატოვება. ამდენად, ერთი მხრივ ფაქტობრივი უმოქმედობით მფლობელმა გამოხატა სსიპ-ის ავტოსადგომზე სატრანსპორტო საშუალების დგომის ნება, ხოლო მეორე მხრივ – ქმედითი წინააღმდეგობის გაუწევლობით, დუმილით სსიპ „112“ კონკლუდენტურად დაეთანხმა სატრანსპორტო საშუალების მის სადგომზე დატოვებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის წარმოიშვა სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება.

საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ვინაიდან, დავის საგანს წარმოადგენს მხარეთა შორის სამართალდარღვევის ამონურვის შემდგომ დადებული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო, მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხისათვის თანხის დაკისრება და მის მფლობელობაში არსებული ნივთის ფაქტობრივი მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთა, ხელშეკრულების კონკრეტული სახის მიუხედავად, სამართალდარღვევის ამონურვის შემდგომ დადებული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ნაწილში ხელშეკრულების ბუნება კერძო-სამართლებრივია, რამდენადაც, აღნიშნული ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯარო-სამართლებრივი უფლებამოვალეობებით და არ შეიცავს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას სსიპ „112-ის“ მხრიდან. ამდენად, კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის, აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25¹ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65¹ მუხლების საფუძველზე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას დავის სამოქალაქო კატეგორიისადმი კუთვნილების შესახებ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სსიპ „112-ის“ სასარჩელო მოთხოვნა, მხარეთა შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით და საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ „112-ის“ სარჩელი, მოპასუხე – ე. ე-ოს მიმართ, განსჯა-

დობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნივთიერი მტკიცებულებების კუთვნილების საკითხზე დავის განსჯა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-1382(გ-19) 5 თებერვალი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ა. წულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. ქადაგიძე**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა გ. კ-ის სარჩელის, განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებს შორის წარმოშობილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

გ. კ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართ, უკანონო მფლობელობიდან ნივთის – ცეცხლსასროლი იარაღის გამოთხოვის მოთხოვნით. საქმის პირველ ინსტანციაში განხილვისას, მოპასუხედ, ასევე, მიეთითა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2014 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობით მიიღო ანტიკვარული იარაღი (ოქროს დეტალებით) – „SAUER SOHN, SEHL“, სერიული ნომრით მოსარჩელე აღნიშნულ ნივთს ინახავდა საცხოვრებელ სახლში, დაცულ ადგილას. ვინაიდან იარაღი არ იყო რეგისტრირებული, მოსარჩელემ

გადანყვიტა, მიემართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის. 2018 წლის 8 აგვისტოს მოსარჩელემ მიმართა შსს მომსახურების სააგენტოს იარაღის რეგისტრაცია-გადაფორმების მიზნით. იმავე დღეს გ. კ-ს უარი ეთქვა იარაღის რეგისტრაციაზე, ვინაიდან იარაღს აღენიშნებოდა სავარაუდო ფიზიკური ზემოქმედებისა და გადაკეთების კვალი. შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მე-2 განყოფილებაში დაინყო გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექენა-შენახვის ფაქტზე. გამოძიებლის მიერ, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, გ. კ-ისგან ამოღებულ იქნა რეგისტრაციის მიზნით წარდგენილი ცეცხლსასროლი იარაღი.

გამოძიების ფარგლებში ჩატარებული კომპლექსური ბალისტიკური და ფიზიკო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით ექსპერტიზაზე წარდგენილი იარაღი – „SAUER SOHN, SEHL“-ის ფირმის შტუცერი მიეკუთვნებოდა გლუვფულიან სანადირო ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას. ექსპერტიზის დასკვნით, ასევე, დადგინდა, რომ იარაღი იყო სახეშეცვლილი, რეგისტრირებული არასდროს ყოფილა და არც ძებნილი იარაღის მონაცემთა ბაზაში იმყოფებოდა აღრიცხვაზე.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის 2018 წლის 30 აგვისტოს დადგენილებით გ. კ-ის მიმართ შეწყდა გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ნიშნების არარსებობის გამო. ამავე დადგენილებით ცეცხლსასროლი იარაღი ჩამოერთვა გ. კ-ს და გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილებით გ. კ-ის სარჩელი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა გ. კ-ის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 1 მაისის განჩინებით გ. კ-ის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიუთითა, რომ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს კანონმდებლობას, რომლის საფუძველზეც არის აღმოცენებული დავა, დავის არსს და საგანს, სადავო სამართალურთიერთობის ხასიათს. ადმინისტრაციული საქმეების განსჯადობის მთავარ ფაქტორს, გარდა იმ ფაქტისა, რომ ერთ-

ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო, ასევე, წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების საჯარო-სამართლებრივი მიზანი. იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთობის მონაწილე სუბიექტი არის სახელმწიფოს, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი და ურთიერთობა საჯარო-სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვს, სახეზეა საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობა. ამდენად, სამოქალაქო საქმეთა პალატამ მოცემულ შემთხვევაში მიიჩნია, რომ ვინაიდან საგამოძიებო ორგანოს ქმედება ვერ მოექცა სისხლის სამართლის კანონმდებლობით რეგულირებულ სფეროში, ხოლო სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს საჯარო, კერძოდ კი, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, დავა ექვემდებარება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 2 დეკემბრის განჩინებით საქმე, გ. კ-ის სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ განმარტა, რომ დავის შინაარსის განსაზღვრის მიზნებისათვის აუცილებელია სამართალსუბიექტობის პრინციპის დაცვა, თუმცა ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის უმთავრესი და აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

სააპელაციო სასამართლომ, ასევე, მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში სარჩელის მოთხოვნაა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, მოპასუხე მხარედ მითითებულია ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი გამომდინარეობს როგორც სისხლის საპროცესო (81-ე მუხ.), ასევე სამოქალაქო საპროცესო/მატერიალური კანონმდებლობიდან და საკითხზე მსჯელობისას გადაწყვეტილება უნდა დაეფუძნოს სწორედ სამოქალაქო კოდექსის მარეგულირებელ ნორმებს. ამდენად, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის წარმოშობილი დავა ნივთიერი მტკიცებულების კუთ-

ვნილების თაობაზე სწორედ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვას ექვემდებარება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებების გაცნობის შედეგად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ საქმე განსჯადობის მიხედვით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსჯადობა განსაზღვრავს სასამართლოთა შორის საქმეების განაწილების წესს, ანუ ადგენს, სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებული საქმე კონკრეტულად რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვეტოს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი განსაზღვრავს სასამართლოს ქვემდებარე სამოქალაქო დავების კატეგორიებს, ხოლო უწყებრივად სასამართლოს ქვემდებარე ადმინისტრაციული დავების რეგლამენტაცია მოცემულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში. მოცემულ ზოგად წესებთან ერთად, კანონმდებლობა, გარკვეული კატეგორიის დავების თავისებურებებიდან გამომდინარე, ითვალისწინებს განსჯადობის არაერთ სპეციალურ წესს. განსჯადობის სპეციალური წესები საერთო განსჯადობასთან მიმართებით ექსკლუზიური (გამომრიცხავი) ხასიათისაა, რაც გულისხმობს სპეციალური წესის დამდგენი ნორმების უპირატესობის მინიჭებით განსჯადობის საერთო წესების გამორიცხვას. სპეციალური ანუ განსაკუთრებული განსჯადობის შემთხვევაში იმპერატიულად განისაზღვრება კონკრეტული დავის განმხილველი განსჯადი სასამართლო. სწორედ ასეთ სპეციალურ წესს ადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლი. ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ დასახელებული მუხლით კონკრეტულად მონესრიგებულია ნივთიერი მტკიცებულების საკითხი სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შემთხვევაში. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დავა ნივთიერი მტკიცებულების გამო წყდება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლო-

ბა ნივთიერი მტკიცებულების შესახებ დავის შემთხვევაში ითვალისწინებს განსჯადობის სპეციალურ წესს, რომელიც პირდაპირ მიუთითებს დავის სამოქალაქო სამართლის რეგულირების ფარგლებში მოქცევას, თუკი იგი სისხლისსამართლებრივი დევნის ან გამოძიების შეწყვეტის შედეგად ნივთიერი მტკიცებულების პირისათვის მიკუთვნებასთან არის დაკავშირებული.

მოცემულ შემთხვევაში კი უდავოა, რომ შესაბამის სამსახურს სადავო ნივთი შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მე-2 განყოფილებაში ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვის ფაქტზე დაწყებული გამოძიების შეწყვეტის შედეგად გადაეცა. ასევე, ცალსახაა, რომ დავის საგანი მოსარჩელისათვის გამოძიების ფარგლებში ჩამორთმეული ნივთის – ცეცხლსასროლი იარაღის დაბრუნებაა. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო დავის სხვადასხვა ასპექტის სინთეზური ანალიზისა და სპეციალური რეგულირების გათვალისწინებით, მიიჩნევს, რომ სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს კერძო-სამართლებრივი ურთიერთობიდან, რომელიც რეგულირებულია სამოქალაქო კოდექსით და ექვემდებარება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვას. შესაბამისად, მოცემული დავა საგნობრივი (გვარეობითი) განსჯადობის თვალსაზრისით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯადია. აქედან გამომდინარე, საქმე განსახილველად უნდა გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს დავა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, მე-2 მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქმე, გ. კ-ის სარჩელისა გამო, საქართველოს გენერალური პროკურატურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ, განსჯადობით დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**პარტნიორის მიერ ქონების კერძო სამართლის
იურიდიული პირის კავიტალში შეტანის
მართლზომიერების თაობაზე დავის განსჯადობა**

**განჩინება
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-541(გ-19)

12 მარტი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა მ. მ-ის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შორის წარმოშობილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

მ. მ-ემ 26.07.2016წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა თავის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობის გადაფარვის ნაწილში სსიპ სანარმოთა მართვის სააგენტოს 17.07.2007წ. №1-3/490 ბრძანების მე-3 და მე-5 პუნქტების, ასევე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 12.09.2007წ. და 25.03.2009წ. გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა. 03.05.2017წ. გამართულ სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელემ დამატებით მოითხოვა საადვოკატო ხარჯის ანაზღაურება – 2378 ლარის ოდენობით და აზომვითი ნახაზის მომზადებისათვის განეული ხარჯის – 100 ლარის ანაზღაურება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მის საკუთრებაშია ქ.თბილისში, ...ის ქ. №14-ში მდებარე უძრავი ქონება: 1648 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობები. სს „...ის“ სახელზე აღრიცხული ქონება ზედდებშია მოსარჩელის საკუთრებასთან, მიწისა და შენობა-ნაგებობის ნაწილთან. მოსარჩელის საკუთრების ნაწილი სს „...ის“ საკუთრებაში აღმოჩნდა სსიპ სანარმოთა მართვის სააგენ-

ტოს 17.07.2007წ. ბრძანების საფუძველზე, რომლითაც რკინიგზის კაპიტალში იქნა შეტანილი ქ.თბილისსა და სხვადასხვა რაიონებში მდებარე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ დაუყოვნებლივ განახორციელა რეგისტრაცია ისე, რომ არ გამოუკვლევია დაინტერესებული პირების არსებობა, არ გაუთვალისწინებია მ. მ-ის საკუთრების უფლების დაცვის საჭიროება. მოსარჩელე სარგებლობს თავისი უძრავი ქონებით, ნაკვეთზე გაშენებულია ვაზი და ხეხილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.05.2017წ. განჩინებით დაკმაყოფილდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შუამდგომლობა, მ. მ-ის სარჩელი მოპასუხეების – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ, სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტოს 17.07.2007 წ. №1-3/490 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობის ნაწილში, ცალკე წარმოებად გამოეყო №3/5531-16 ადმინისტრაციულ საქმეს და განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითებული სასარჩელო მოთხოვნა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ვინაიდან სადავოდ გამხდარი სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტოს 17.07.2007 წ. №1-3/490 ბრძანების მე-3 და მე-5 ნაწილებით შპს „...ის“ საწინააღმდეგო კაპიტალში განხორციელდა ცვლილება და კაპიტალში შეტანილ იქნა საზოგადოების ადმინისტრაციული შენობის და საინფორმაციო გამოთვლითი ცენტრის მიერ დაკვეთებული 8 127,50 კვ.მ. მიწის ფართობი და ასევე ქ. თბილისის ტერიტორიაზე და საქართველოს 34 რაიონში განთავსებული მიწის ნაკვეთები. სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის. ამდენად, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ განსახილველი დავა, მითითებული სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში, წარმოადგენს სამოქალაქო კატეგორიის დავას.

დავის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში განხილვისას სარჩელზე მოპასუხედ დამატებით მი-

ეთითა სს „...ა“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 02.07.2018წ. გადაწყვეტილებით მ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ნაწილობრივ ბათილად იქნას ცნობილი სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტოს 17.07.2007წ. №1-3/490 ბრძანება მ. მ-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთისა და შენობა ნაგებობის გადაფარვის – 709 კვ.მ. ფართის ნაწილში, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრდა სს „...ის“ მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 02.07.2018 წ. განჩინებით საქმე განსჯადობის შესახებ საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. პალატამ აღნიშნა, რომ მ. მ-ის სარჩელის აღძვრის წინაპირობა გახდა ის გარემოება, რომ მან ვერ შეძლო საკუთარი ქონების საჯარო რეესტრში დარეგისტრირება, რადგან მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საკადასტრო მონაცემებს და შპს „...ის“ საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონების საკადასტრო მონაცემს შორის არსებობდა ზედდება. აღნიშნული უსწორობის გამომწვევი მიზეზი იყო ერთი მხრივ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც მოხდა შპს „...ის“ საკუთრების უფლების რეგისტრაცია, ხოლო მეორე მხრივ – სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტოს 17.07.2007 წ. №1-3/490 ბრძანება. ამდენად, მ. მ-ემ თავისი საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით მოითხოვა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტოს გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა. პალატამ აღნიშნა, რომ საგნობრივად განსჯადი სასამართლოს განსაზღვრის მიზნით აუცილებელია დადგინდეს დავის გადაწყვეტისათვის საჭირო ნორმათა ერთობლიობის სამართლის კონკრეტული სფეროსადმი კუთვნილება. მ. მ-ე სასარჩელო მოთხოვნას აფუძნებს იმ გარემოებებს, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მოხდა წარმოების წესების დარღვევა, არ იქნა გამოკვლეული საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები. ამდენად, საქმის განხილვისას სასამართლომ უნდა იმსჯელოს ადმინისტრაციული წარმოების პერიოდში დაშვებული ხარვეზების, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებებისა და უფლებამოსილებების შესახებ. პალატამ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას ადმინისტრაციული წარმოების წესების დაცვის შემომწევა შესაძლებელია მხოლოდ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმების გამოყენებით, რაც დავის ადმინისტრაციულ ხასიათს ადასტურებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თა-

ობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე მართლმსაჯულება, უკვე თვით თავისი არსებობის ფაქტით, განაპირობებს სასამართლოებს შორის განსჯადობის თაობაზე დავის წარმოქმნის შესაძლებლობას, რომელსაც საკასაციო სასამართლო წყვეტს. განსჯადობის შესახებ დავის მონაწილეთა თანაბრობის პრინციპიდან გამომდინარე, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დადგენილი წესი სარჩელის განსჯად სასამართლოში გადაგზავნის შესახებ (სასკ-ის 26-ე მუხ.) ეხება არა მხოლოდ ადმინისტრაციული, არამედ სამოქალაქო საქმის განმხილველ მოსამართლეთა, სასამართლოებს შორის დავა საქმის საგნობრივ განსჯადობაზე მხოლოდ ასეთი დაშვების პირობებშია შესაძლებელი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსჯადობის საკითხი არ არის დამოკიდებული მხარეთა მოსაზრებებზე, დავა განსჯადობის თაობაზე წარმოიშობა სასამართლოებსა და არა სასამართლოსა და მხარეთა შორის. ამდენად, სააპელაციო პალატის მითითება იმაზე, რომ მოსარჩელე მოთხოვნას აფუძნებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმოების წესების დარღვევაზე არ ადასტურებს დავის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი კუთვნილებას.

საქმის მასალების მიხედვით, განსახილველ შემთხვევაში სადავოა სსიპ სანარმოთა მართვის სააგენტოს 17.07.2007წ. №1-3/490 ბრძანების მე-3 და მე-5 პუნქტების ბათილად ცნობის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის განსჯადობის საკითხი. სანარმოთა მართვის სააგენტო, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, სზაკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოა, ამდენად სასარჩელო მოთხოვნა მიმართულია ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუმცა საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიიჩნევა არა იმის გამო, რომ მოსარჩელის მოთხოვნის ადრესატი ადმინისტრაციული ორგანოა, არამედ სადავო სამართალურთიერთობის იმანენტური ბუნების გამო, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამართალურთიერთობის ხასიათს. სზაკ-ის 2.1 მუხლი შეიცავს ადმინისტრაციული

დავის საგნის ჩამონათვალს (ტაქსაცია). ამდენად, კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული (ენუმერაცია). სასკ-ის 2.3 მუხლის დებულება იმის შესახებ, რომ საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა, ასახავს განსჯადობის გარეგან ნიშანს. სამართალურთიერთობის კუთვნილების გარეგანი ნიშანი ეხება სადავო სამართალურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების ადგილს კანონმდებლობაში. ამდენად, საგნობრივი განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტისთვის მნიშვნელობა ენიჭება სადავო ბრძანების გამოცემის საფუძველს, სამართალურთიერთობის სუბიექტის მოქმედების ფორმას. უკეთუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო აქტი გამოცემულია საჯარო კანონმდებლობის საფუძველზე, სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, სახეზე იქნება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო თუ აქტის გამოცემის საფუძველი კერძო-სამართლებრივია, იგი არ ჩაითვლება ადმინისტრაციულ აქტად. სადავო აქტის სახელწოდება იმთავითვე არ ადასტურებს მისი ადმინისტრაციულ აქტად მიჩნევის შესაძლებლობას, ორგანიზაციული და სხვა საკითხების მოწესრიგების პროცესში დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ ბრძანების ფორმით გამოცემული ყველა გადაწყვეტილება ავტომატურად არ უნდა გაუთანაბრდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, მსგავს შემთხვევებში ყურადღება უნდა მიექცეს გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველებს, მის შინაარსს, კონკრეტული აქტის გამოცემისას საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას.

განსახილველ შემთხვევაში სსიპ სანარმოთა მართვის სააგენტოს 17.07.2007წ. №1-3/490 ბრძანების მე-3 და მე-5 პუნქტებით განხორციელდა შპს „...ის“ სანესდებო კაპიტალში თბილისსა და საქართველოს სხვა რაიონებში მდებარე მიწის ნაკვეთების შეტანა. ბრძანება გამოცემულია „მენარმეთა შესახებ“ და „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონების, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 22.06.2006წ. №1-1/550 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ სანარმოთა მართვის სააგენტოს დებულების“, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 07.06.2007წ. №1-1/875 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფოს

50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხვული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ დებულების“ საფუძველზე.

სადავო აქტის 17.07.2007წ. №1-3/490 ბრძანების გამოცემისას მოქმედი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონის 1-ლი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ქონება მოიცავდა არა მხოლოდ უძრავ და მოძრავ ქონებას, არამედ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ აქციებს და წილს (მართალია 11.07.2007წ. №5295-რს კანონით „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონში შეტანილ იქნა ცვლილებები და დამატებები, მათ შორის შეიცვალა კანონის სათაურიც, თუმცა აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, ცვლილებების ამოქმედება უნდა მომხდარიყო გამოქვეყნებისთანავე. კანონის გამოქვეყნება განხორციელდა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ 03.08.2007წ.. ამდენად, სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედებდა „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონის 11.08.2007წ. ცვლილებებამდე არსებული რედაქცია). კანონის 3.7 მუხლის თანახმად, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების პარტნიორის, აქციონერის უფლებამოსილებებს, გარდა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული აქციებისა და წილების პრივატიზებასთან ან/და განკარგვასთან დაკავშირებული უფლებამოსილებებისა, ასრულებდა სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტო. სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 22.06.2006წ. №1-1/550 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტოს დებულების“ თანახმად, სააგენტოს მიზანს შეადგენდა სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში პარტნიორის (აქციონერის) უფლებამოსილების განხორციელება, გარდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციებისა და წილების პრივატიზებასთან ან/და განკარგვასთან დაკავშირებული უფლებამოსილებებისა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილებისა და აქციების მართვის კოორდინაცია და სრულყოფა „მენარმეთა შესახებ“ კანონის, მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად; საწარმოებში სახელმწიფოს წარმომადგენლობის მეშვეობით სახელმწიფო ინტერესების დაცვა, სახელმწიფოსათვის განკუთვნილი დივიდენდების ზრდის ხელშეწყობა (მე-2 მუხ.). სააგენტოს ფუნქციები ორიენტირებული იყო კონკრეტულ საწარმოებში სახელმწიფოს, როგორც პარტნიორის, უფლებებისა და ინტერესების დაცვაზე, დივიდენდების გაზრდაზე, მისი წარმომადგენლობის უზრუნველყოფაზე (დებულების 3.2 მუხ.), ამასთანავე, მართალია დებულების 4.3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააგენტოს თავმჯდომარე

თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე გამოსცემდა სააგენტოს გადამწყვეტილებებსა და ბრძანებებს, თუმცა დებულება შეიცავდა ერთმნიშვნელოვან დათქმას, რომ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებულ სანარმოებში პარტნიორის (აქციონერის) უფლებამოსილებებს სააგენტო ახორციელებდა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ფარგლებში (3.1 მუხ.).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს საქმიანობა მოიცავს არა მხოლოდ საჯარო-სამართლებრივი, არამედ კერძო-სამართლებრივი, მათ შორის სამენარმეო ურთიერთობის სფეროსაც, სახელმწიფოს აქვს ნორმატიული შესაძლებლობა იღებდეს მონაწილეობას კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში, ჰქონდეს წილი სანარმოში, იღებდეს მოგებას სამენარმეო ურთიერთობებიდან, უკეთუ აღნიშნული არ აბრკოლებს მისი საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებების განხორციელებას და არ ეწინააღმდეგება შესაბამის ნორმატიულ დანაწესებს. სამოქალაქო კოდექსის 24.4 მუხლის თანახმად, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები, სახელმწიფოს უფლებამოსილებებს ამ დროს ახორციელებენ მისი ორგანოები (უნებები, დანესებულებები და ა. შ.). სახელმწიფო ორგანოების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძოსამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან წესრიგდება სამოქალაქო კანონებით (სკ-ის 8.2 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში სსიპ სანარმოთა მართვის სააგენტომ, როგორც შპს-ს პარტნიორის – სახელმწიფოს წარმომადგენელმა, პარტნიორის საკუთრებაში არსებული ქონება შეიტანა შპს-ს კაპიტალში, ამდენად, სახელმწიფომ სამენარმეო საქმიანობაში მონაწილეობა მიიღო როგორც კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა, როგორც ერთ-ერთმა პარტნიორმა და არა საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელმა, მარეგულირებელმა ან მაკონტროლებელმა ორგანომ. საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი მაშინ არის სახეზე, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს მისთვის კანონით განსაზღვრული ძირითადი უფლებამოსილების ფარგლებში და ამ უკანასკნელის შესრულების მიზნით. კერძო სამართლის იურიდიული პირის დაარსება და მისი კაპიტალის ფორმირება არ განეკუთვნება სახელმწიფოს ძირითად, საჯარო უფლებამოსილებათა რიგს. სახელმწიფოს კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის მიზნით თავისი წამომადგენლობა შეუძლია დაავალოს, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, თუმცა აღნიშნული არ ადასტურებს სსიპ-ის მიერ განხორციელებული ყველა ქმედების სახელ-

წმიფოს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით შესრულებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამენარმეო საქმიანობა „მენარმეთა შესახებ“ კანონით მოწესრიგებული კერძო-სამართლებრივი საქმიანობის ფორმაა, „მენარმეთა შესახებ“ კანონი არის კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი საკანონმდებლო აქტი (სუსგ 12.10.2011წ. №ბს-733-727(გ-11)). „მენარმეთა შესახებ“ კანონის 2.1 მუხლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და სააქციო საზოგადოება წარმოადგენენ საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს. ვინაიდან სახელმწიფო კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი, იგი შპს-ში პარტნიორად, ხოლო სს-ში აუქციონერად მონაწილეობს კერძო სამართლის იურიდიული პირის სახით და თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით. ამდენად, სადავო სამართალურთიერთობაში სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტო ასრულებს არა საჯარო უფლებამოსილებას, არამედ წარმოადგენს სახელმწიფოს, როგორც პარტნიორს, გამოდის პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძოსამართლებრივ, ჰორიზონტალურ ურთიერთობაში კერძო სამართლის სუბიექტის სახით და როგორც პარტნიორი ახორციელებს სამენარმეო საქმიანობას „მენარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად.

„...ის ინსტიტუციური მოწყობის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 08.12.1998წ. №929 განკარგულების პირველი პუნქტის მიხედვით, სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ქონების ბაზაზე დაფუძნდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „...ა“, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი. საქმის მასალების მიხედვით, სადავო აქტის გამოცემისას, „...ა“ საქმიანობდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით (ამჟამად „...ა“ სააქციო საზოგადოებაა). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) ე.წ. კაპიტალური ტიპის საზოგადოებაა. სადავო აქტის გამოცემისას მოქმედი „მენარმეთა შესახებ“ კანონის 45.1 მუხლის მიხედვით, შპს-ს საწესდებო კაპიტალი უნდა ყოფილიყო სულ მცირე 200 ლარი. ამასთანავე, შპს-ში მინიმალური საწესდებო კაპიტალის ფორმირების შემდეგ, შესაძლებელი იყო კაპიტალში შენატანის სხვა მატერიალური და არამატერიალური ქონებრივი ობიექტების სახით განხორციელება, გარდა სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების განევისა, არაფულადი შესატანი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში უნდა შეეფასებინა დამოუკიდებელ ექსპერტს (კანონის 3.3 მუხ.). განსახილველ შემთხვევა-

ში, სსიპ სანარმოთა მართვის სააგენტომ, სადავო 17.07.2007წ. ბრძანებით, შპს-ს პარტნიორის – სახელმწიფოს სახელით შპს „...ის“ კაპიტალში განახორციელა არაფულადი შენატანი – შპს „...ის“ კაპიტალში შეტანილ იქნა შენობა-ნაგებობები და მიწის ნაკვეთები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სანარმოს კაპიტალი არის მის საკუთრებაში არსებული ქონების ერთობლიობა. სანარმოს საქმიანობიდან გამომდინარე, ქონების ოდენობა ცვალებადია, სანარმოს კაპიტალის გაზრდა შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა გზით, მათ შორის პარტნიორის მიერ სანარმოს კაპიტალში გარკვეული შენატანის განხორციელებით, კონკრეტულ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემით, რაც მოხდა კიდევ განსახილველ შემთხვევაში. ამდენად, სადავო აქტის გამოცემა განხორციელდა სახელმწიფოს, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირის პარტნიორის საქმიანობის ფარგლებში, „მენარმეთა შესახებ“ და სხვა ნორმატიული აქტების იმ დებულებების საფუძველზე, რომლებიც სახელმწიფოს, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირის პარტნიორის უფლება-მოვალეობების განხორციელების წესებს შეეხება. ამდენად, გასაჩივრებული აქტი გამოცემული არ არის სახელმწიფოს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, სსიპ სანარმოთა მართვის სააგენტო მოქმედებდა სახელმწიფოს, როგორც კერძო სამართლის სუბიექტის პარტნიონის წარმომადგენელი. ამდენად, სახელწოდების მიუხედავად სსიპ სანარმოთა მართვის სააგენტოს 17.07.2007წ. გასაჩივრებული ბრძანება არ არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და უფრო მეტად კერძო-სამართლებრივი, განკარგვითი გარიგების მახასიათებელი ნიშნების მატარებელია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ სანარმოთა მართვის სააგენტოს 17.07.2007წ. ბრძანების მართლზომიერების შემოწმებისას სასამართლომ უნდა იმსჯელოს კაპიტალში შეტანილი ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში არსებობაზე, სახელმწიფოს მიერ თავისი სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში კონკრეტული ქონების განკარგვის უფლებამოსილებაზე. დავის განმხილველმა სასამართლომ უნდა იმსჯელოს სახელმწიფოს მიერ არა საჯარო-სამართლებრივი ფუნქციების განხორციელების უფლებამოსილებასა და მართლზომიერებაზე, არამედ პარტნიორის მიერ კერძო სამართლის იურიდიული პირის კაპიტალში კონკრეტული ქონების შეტანის შესახებ გადაწყვეტილების მართლზომიერებაზე, რაც არსობრივად სამოქალაქო შინაარსის დავაა და არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

ის, რომ მოსარჩელე სადავო ბრძანების გაუქმების საფუძველად ადმინისტრაციული წარმოების წესისა და სზაკ-ის ნორმების დარღვევაზე მიუთითებს, არ ასაბუთებს დავის ადმინისტრაციულ ხა-

სიათს, რადგან მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის დასადასტურებლად კონკრეტულ ნორმებზე მითითება მხოლოდ მისი მოსაზრებაა. მოსარჩელე თავად წყვეტს სარჩელის აღძვრის საჭიროებას, განსაზღვრავს მოპასუხეს, სასარჩელო მოთხოვნას და ფაქტებს, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს მისი მოთხოვნის დასაბუთებას, თუმცა ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებას სასამართლო ახდენს. მხარის მიერ მითითებული სამართლებრივი დასაბუთება არ ზღუდავს სასამართლოს განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტაში. საქმის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი კუთვნილებას არ ადასტურებს სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებაში მითითება დავის გადაწყვეტისათვის ადმინისტრაციული წარმოების წესების დაცულობის გარკვევის საჭიროებაზე, რაც სააპელაციო პალატის აზრით, სზაკ-ის ნორმების გაანალიზების შედეგადაა შესაძლებელი. აღნიშნულის დასადასტურებლად სააპელაციო პალატა უთითებს სზაკ-ის 60¹ მუხლის პირველ ნაწილს, რომლის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სზაკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოება არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის, აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით. საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს ადმინისტრაციული წარმოების არც ერთ სახეობას (მარტივი, ფორმალური, საჯარო), ვინაიდან სადავო აქტი – სსიპ სანარმოთა მართვის სააგენტოს 17.07.2007წ. გასაჩივრებული ბრძანება არ უკავშირდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, ან ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 11.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო განიხილავს სამოქალაქო საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის. სასკ-ის 2.1 მუხლის მიხედვით, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს, აღნიშნული მუხლი შეიცავს ადმინისტრაციული დავის საგ-

ნის ჩამონათვალს. კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. სასკის 2.3 მუხლის დებულება იმის შესახებ, რომ საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა, ასახავს განსჯადობის გარეგან ნიშანს. სამართალურთიერთობის კუთვნილების გარეგანი ნიშანი ეხება სადავო სამართალურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების ადგილს კანონმდებლობაში. კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის იმ სამართალურთიერთობიდან წარმოშობა, რომელიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. განსახილველ შემთხვევაში დავა არ არის წარმოშობილი ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და ეხება პარტნიორის მიერ კერძო სამართლის იურიდიული პირის კაპიტალში ქონების შეტანის მართლზომიერებას, რაც დავის სამოქალაქო ხასიათს ადასტურებს.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სახეზეა პარტნიორის მიერ ქონების კერძო სამართლის იურიდიული პირის კაპიტალში შეტანა, დავა არ ეხება სახელმწიფო ქონების პრივატიზაციას, პრივატიზაციის პროცედურის კანონიერებას, რაც თავისი ბუნებით ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა რიგს განეკუთვნება. სადავო პერიოდში მოქმედი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონის მიხედვით, სახელმწიფო ქონების პრივატიზებას ახდენდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო (3.6 მუხ.), კონკურსის, აუქციონის, იჯარა-გამოსყიდვის ან პირდაპირი მიყიდვის ფორმით (6.1 მუხ.). სახელმწიფო ქონების პრივატიზების ფორმების გამოყენებაზე გადანყვეტილებას იღებდა სამინისტრო ან მისი ტერიტორიული ორგანო, ხოლო პირდაპირი მიყიდვის საკითხს წყვეტდა საქართველოს პრეზიდენტი (6.6 მუხ.). პრივატიზების თითოეული ფორმის შემვეობით სახელმწიფო ქონების განკარგვა საჭიროებდა შესაბამისი ნორმატიული პროცედურის ზედმინეწვით დაცვას. ამასთანავე, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების დროს ქონების განსახელმწიფოებრიობა ხორციელდებოდა შემძენის მიერ სათანადო სასყიდლის გადახდის და ხშირ შემთხვევებში გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ. სახელმწიფო ქონების პრივატიზაციისას სახელმწიფო ცალმხრივად ადგენს სახელ-

მნიფო ქონების საპრივატიზებო პირობებს, მაშინაც კი, როდესაც სახელმნიფო ქონების პრივატიზაციის ინიცირება ხდება დაინტერესებული პირისაგან, რაც განაპირობებს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის დომინირებულ მდგომარეობას. განსახილველ შემთხვევაში სადავო აქტის გამოცემით ქონების პრივატიზების ღონისძიებები არ განხორციელებულა, უფრო მეტიც, სადავო აქტი გამოცემულია სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტოს მიერ, რომელსაც არ ჰქონდა მინიჭებული ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება („სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტოს დებულების“ მე-2 მუხ. „ა“ ქვ.პ, „სახელმნიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონის 3.7 მუხ.).

ის გარემოება, რომ სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტოს 17.07.2007წ. აქტი გახდა საჯარო რეესტრში შპს „...ის“ საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველი, არ ადატურებს მისი კანონიერების ადმინისტრაციული წესით შემონმების საჭიროებას, რადგან რეგისტრაციის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებისა და რეგისტრაციის საფუძლად არსებული უფლებადამდგენი დოკუმენტის სამართლებრივი ბუნება შესაძლოა სრულიად განსხვავებული იყოს. სადავო აქტის გამოცემისას მოქმედი „უძრავ ნივთზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი შესაძლოა ყოფილიყო არა მარტო ნორმატიული ან/და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან სასამართლო (საარბიტრაჟო) აქტი, არამედ აგრეთვე გარიგება ან სხვა სამართლებრივი აქტი, რომელიც წარმოშობდა უძრავ ნივთზე უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას. ამდენად, სრულებით შესაძლებელია, რომ უფლებადამდგენი დოკუმენტის მართლზომიერების შესახებ დავა სამოქალაქო დავათა კატეგორიას განეკუთვნებოდეს მაშინ, როდესაც რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების კანონიერების შემონმება ადმინისტრაციული კატეგორიის დავების განმხილველ სასამართლოთა განსჯადია (მაგ.: ნასყიდობის ხელშეკრულება და მის საფუძველზე განხორციელებული რეგისტრაცია). მოცემულ შემთხვევაში საჯარო რეესტრში უძრავი ქონების რეგისტრაცია დეტერმინირებულია კერძო-სამართლებრივი აქტით, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.05.2017წ. განჩინებით №3/5531-16 ადმინისტრაციულ საქმეს ცალკე წარმოებად გამოეყო მხოლოდ სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტოს 17.07.07წ. №1-3/490 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობის ნაწილში, სახელდობრ გამოყოფილ ნაწილთან და-

კავშირებით წარმოიშვა დავა განსჯადობის შესახებ. ამდენად, სარჩელის გამოყოფილი ნაწილი სამოქალაქო სასამართლოწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

რაც შეეხება სადავო ბრძანების გამოცემის ერთ-ერთ სამართლებრივ საფუძვლად საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 07.06.2007წ. №1-1/875 ბრძანებით დამტკიცებულ „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ დებულების“ მითითებას, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ აღნიშნული დებულება აწესრიგებს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესს და არ ეხება პარტნიორის მიერ საწარმოს კაპიტალში უძრავი ქონების შეტანის საკითხებს. დებულება მითითებულია სადავო ბრძანების იმ პუნქტების გამოცემის საფუძვლად, რომლითაც განხორციელდა შპს „...ის“ ბალანსზე არსებული გარკვეული ქონების კაპიტალიდან ამოღება, რაც არ შეადგენს მ. მ-ის სარჩელის გამო მიმდინარე წარმოების დავის საგანს, მ. მ-ეს ბრძანება გასაჩივრებული აქვს ნაწილობრივ და არა მთლიანად.

ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, მე-2, 26-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. მ-ის სარჩელი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**პარტნიორის მიერ ქონების კერძო სამართლის
იურიდიული პირის კავშირალში შეტანის
მართლზომიერების თაობაზე დავის განსჯადობა**

**განჩინება
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-1183(გ-19)

16 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. თ-მა 2016 წლის 19 მარტს სარჩელი აღძრა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში მოპასუხეების საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზესტაფონის სარეგისტრაციო სამსახურის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, შპს „...ისა“ და შპს „ჯ...ის“ მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზესტაფონის სარეგისტრაციო სამსახურის 2016 წლის 18 იანვრის №... და 2016 წლის 19 თებერვლის №... გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა; სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 7 მარტის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2008 წლის 14 აპრილის №... და 2014 წლის 21 თებერვლის №... გადაწყვეტილებების ზედდების ნაწილში ნაწილობრივ ბათილად ცნობა, სსიპ „სანარმოთა მართვის სააგენტოს“ 2009 წლის 13 აპრილის №1-3/175 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზესტაფონის სარეგისტრაციო სამსახურის დავალეზა მოსარჩელის საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე.

ზესტაფონის რაიონული სასამართლო 2016 წლის 16 ივნისის სასამართლო სხდომაზე სასარჩელო მოთხოვნა – ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ „სანარმოთა მართვის სააგენტოს“ 2009 წლის №1-3/175 ბრძანება ნაწილობრივ, კერძოდ, მე-2 პუნქტი შპს „...ის კავშირალში შესული საკუთრება, მდებარე ზესტაფონში, ...ის ქ. №35-ში საცხოვრებელი სახლი ფართით 48 კვ.მ მასზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთი 415,33 კვ.მ – გამოეყო ადმინისტრაციული საქმიდან და

განსახილველად გადაეცა სამოქალაქო საქმეთა კატეგორიის საქმეთა განმხილველ სასამართლოს.

სასამართლომ მიუთითა, რომ სსიპ სანარმოთა მართვის სააგენტო ამ შემთხვევაში მოქმედებდა, როგორც პარტნიორი, შესაბამისად, აღნიშნული სახის ურთიერთობები რეგულირდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე და სრულად მოიცავს სამოქალაქო სამართლის რეგულირების სფეროს.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 27 ივნისის განჩინებით ვ. თ-ის სამოქალაქო სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით მოწესრიგებულია სარჩელის განსჯადობასთან დაკავშირებული საკითხები, თუ რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს სასამართლოსადმი დაქვემდებარებული კონკრეტული საქმე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, საერთო განსჯადობის წესი ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით დადგინდია განსხვავებული წესი. გამოყოფილ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით მოპასუხეა სსიპ „სანარმოთა მართვის სააგენტო“, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ჭოველიძის ქ. №10ა-ში.

ვ. თ-მა 2019 წლის 19 მარტს დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა, მან მოპასუხეებად მიუთითა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“ და სს „...ა“. მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს სსიპ „სანარმოთა მართვის სააგენტოს“ 2009 წლის 13 აპრილის №1-3/175 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, კერძოდ ბრძანების მე-2 პუნქტი, რომლის შესაბამისადაც სს „...ის“ კაპიტალშია შესული მისი საკუთრება საკადასტრო კოდით ..., ასევე, 415 კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ ცნობა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის საკუთრების უფლების რეგისტრაციის დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 ივნისის განჩინებით სამოქალაქო საქმიდან №2-16839-16 ვ. თ-ის სარჩელის გამო მოპასუხეების სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, სს „...ის“ და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, ცალკე წარმოებად გამოეყო ვ. თ-ის მოთხოვნა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული

სააგენტოსა და სს „...ის“ მიმართ, 2009 წლის 13 აპრილის საწარმოთა მართვის სააგენტოს №1-3/175 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით, ვ. თ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 ივნისის განჩინებით სამოქალაქო საქმე №2/17035-19 (სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტოს 2009 წლის 13 აპრილის №1-3/175 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე) განსჯადობის საკითხის გასარკვევად გადაიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია განჩინებაში აღნიშნავს, რომ ვ. თ-ის მოთხოვნას სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ 2009 წლის 13 აპრილის №1-3/175 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე ეფუძნება იმ გარემოებას, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ სათანადოდ არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სადავო ბრძანებით, სს „...ის“ კაპიტალში მოსარჩელის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ნივთი შეიტანა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. ზემოაღნიშნული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასების და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველი დავის გადაწყვეტისას, მნიშვნელოვანია დადგინდეს, სახეზე არის თუ არა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დასახელებული ნორმების დარღვევა, რაც ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად საქმეს წარმოადგენს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის შესახებ, ზესტაფონის რაიონული სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის გან-

სჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ ვ. თ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია კანონიერ სასამართლოზე ადამიანის უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხლი). კანონიერი სასამართლოს უფლება კი სასამართლოს განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას მოითხოვს.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო განხილვის ობიექტს წარმოადგენს საგნობრივი განსჯადობის განსაზღვრა. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში ასახულ პირის კონსტიტუციურ უფლებაზე, რომლის ძალითაც ყოველი პირისთვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. ამდენად, პირი, რომელიც მიიჩნევს, რომ კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში მისი უფლება სხვა პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით დარღვეულია, უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს თავისი უფლების დასაცავად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დამკვიდრებული დისპოზიციურობის პრინციპი, მხარეებს აძლევს სრულ თავისუფლებას თავად განსაზღვრონ დავის საგანი და სარჩელის ფაქტობრივი გარემოებები.

მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს სსიპ „სანარმოთა მართვის სააგენტოს“ 2009 წლის 13 აპრილის №1-2/175 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, კერძოდ ბრძანების მე-2 პუნქტი, რომლითაც ზესტაფონში, ...ის ქ. №35-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი ფართით 48 კვ.მ. შეტანილ იქნა შპს „...ის“ კაპიტალში საქართველოს სხვადასხვა რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთებთან ერთად. საჯარო რეესტრის 2014 წლის 21 თებერვლის ამონაწერიდან ირკვევა, რომ შპს „...ის“ საკუთრებად აღირიცხა მიწის ნაკვეთი, რასაც საფუძვლად დაედო სსიპ „სანარმოთა მართვის სააგენტოს“ 2009 წლის 13 აპრილის №1-3/175 ბრძანება.

განსახილველ შემთხვევაში, სადავოა სსიპ „სანარმოთა მართვის სააგენტოს“ 2009 წლის 13 აპრილის №1-3/175 ბრძანების მე-2 პუნქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის განსჯადობის საკითხი. იდენტურ სასარჩელო მოთხოვნაზე დავის განსჯადობის საკითხი საკასაციო პალატამ გადაწყვიტა 2020 წლის 12 მარტს გამოტანილ განჩინებაში, რომელშიც პალატამ გან-

მარტა, რომ „სანარმოთა მართვის სააგენტო, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, სზაკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოა, ამდენად სასარჩელო მოთხოვნა მიმართულია ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუმცა საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიიჩნევა არა იმის გამო, რომ მოსარჩელის მოთხოვნის ადრესატი ადმინისტრაციული ორგანოა, არამედ სადავო სამართალურთიერთობის იმანენტური ბუნების გამო, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამართალურთიერთობის ხასიათს. სზაკ-ის 2.1 მუხლი შეიცავს ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს (ტაქსაცია). ამდენად, კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული (ენუმერაცია). სასკ-ის 2.3 მუხლის დებულება იმის შესახებ, რომ საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა, ასახავს განსჯადობის გარეგან ნიშანს. სამართალურთიერთობის კუთვნილების გარეგანი ნიშანი ეხება სადავო სამართალურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების ადგილს კანონმდებლობაში. ამდენად, საგნობრივი განსჯადობის შესახებ დავის გადანყვეტისთვის მნიშვნელობა ენიჭება სადავო ბრძანების გამოცემის საფუძველს, სამართალურთიერთობის სუბიექტის მოქმედების ფორმას. უკეთუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო აქტი გამოცემულია საჯარო კანონმდებლობის საფუძველზე, სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, სახეზე იქნება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო თუ აქტის გამოცემის საფუძველი კერძო-სამართლებრივია, იგი არ ჩაითვლება ადმინისტრაციულ აქტად. სადავო აქტის სახელწოდება იმთავითვე არ ადასტურებს მისი ადმინისტრაციულ აქტად მიჩნევის შესაძლებლობას, ორგანიზაციული და სხვა საკითხების მოწესრიგების პროცესში დანესებულების ადმინისტრაციის მიერ ბრძანების ფორმით გამოცემული ყველა გადანყვეტილება ავტომატურად არ უნდა გაუთანაბრდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, მსგავს შემთხვევებში ყურადღება უნდა მიექცეს გადანყვეტილების გამოტანის საფუძველს, მის შინაარსს, კონკრეტული აქტის გამოცემისას საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას“.

განსახილველ შემთხვევაში, სსიპ „სანარმოთა მართვის სააგენტ-

ტოს“ 2009 წლის 13 აპრილის №1-2/175 ბრძანების მე-2 პუნქტით განხორციელდა შპს „...ის“ სანესდებო კაპიტალში საქართველოს სხვადასხვა რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთების შეტანა. ბრძანება გამოცემულია „მენარმეთა შესახებ“ და „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონების, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 22 ივნისის №1-1/550 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ სანარმოთა მართვის სააგენტოს დებულების“, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2008 წლის 22 ოქტომბრის №15/1054/7-8, 2009 წლის 12 იანვრის №15/1265/7-8, 2009 წლის 1 აპრილის №15/278/7-9 და 2009 წლის 16 თებერვლის №16/317/6-9 წერილების, შპს „...ის“ 2009 წლის 26 თებერვლის №1086 და 2009 წლის 2 თებერვლის №ად-516 წერილების, შპს „...ის“ დირექტორთა საბჭოს 2009 წლის 30 იანვრის №1/5, 2008 წლის 3 ოქტომბრის №2/31 და 2008 წლის 26 სექტემბრის №1/30 დადგენილების, შპს „...ის“ სამეთვალყურეო საბჭოს 2008 წლის 3-8 ოქტომბრის სხდომის (ოქმი №10) და 2009 წლის 4 თებერვლის სხდომის (ოქმი №2) გადაწყვეტილებების, შპს ...ა „ი...ის“ 2009 წლის 25 თებერვალს გამოცემული №1/სრ-69 აუდიტორული დასკვნის საფუძველზე.

საკასაციო პალატის მითითებით, „სახელმწიფოს საქმიანობა მოიცავს არა მხოლოდ საჯარო-სამართლებრივი, არამედ კერძო-სამართლებრივი, მათ შორის სამენარმეო ურთიერთობის სფეროსაც, სახელმწიფოს აქვს ნორმატიული შესაძლებლობა იღებდეს მონაწილეობას კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში, ჰქონდეს წილი სანარმოში, იღებდეს მოგებას სამენარმეო ურთიერთობებიდან, უკეთუ აღნიშნული არ აბრკოლებს მისი საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებების განხორციელებას და არ ეწინააღმდეგება შესაბამის ნორმატიულ დანაწესებს. სამოქალაქო კოდექსის 24.4 მუხლის თანახმად, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები, სახელმწიფოს უფლებამოსილებებს ამ დროს ახორციელებენ მისი ორგანოები (უწყებები, დაწესებულებები და ა. შ.). სახელმწიფო ორგანოების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძო-სამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან წესრიგდება სამოქალაქო კანონებით (სკ-ის 8.2 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში სსიპ სანარმოთა მართვის სააგენტომ, როგორც შპს-ს პარტნიორის – სახელმწიფოს წარმომადგენელმა, პარტნიორის საკუთრებაში არსებული ქონება შეიტანა შპს-ს კაპიტალში, ამდენად, სახელმწიფომ სამენარმეო საქმიანობაში მონაწილეობა მიიღო როგორც კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა, როგორც ერთ-ერთმა პარტნიორმა და არა საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელმა, მარე-

გულირებელმა ან მაკონტროლებელმა ორგანომ. საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი მაშინ არის სახეზე, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს მისთვის კანონით განსაზღვრული ძირითადი უფლებამოსილების ფარგლებში და ამ უკანასკნელის შესრულების მიზნით. კერძო სამართლის იურიდიული პირის დაარსება და მისი კაპიტალის ფორმირება არ განეკუთვნება სახელმწიფოს ძირითად, საჯარო უფლებამოსილებათა რიგს. სახელმწიფოს კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის მიზნით თავისი წარმომადგენლობა შეუძლია დაავალოს, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, თუმცა აღნიშნული არ ადასტურებს სსიპ-ის მიერ განხორციელებული ყველა ქმედების სახელმწიფოს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით შესრულებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამენარმეო საქმიანობა „მენარმეთა შესახებ“ კანონით მონესრიგებული კერძო-სამართლებრივი საქმიანობის ფორმაა, „მენარმეთა შესახებ“ კანონი არის კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი საკანონმდებლო აქტი (იხ. სუსგ 12.10.2011წ. №ბს-733-727(გ-11)). „მენარმეთა შესახებ“ კანონის 2.1 მუხლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და სააქციო საზოგადოება წარმოადგენენ სანარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს. ვინაიდან სახელმწიფო კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი, იგი შპს-ში პარტნიორად, ხოლო სს-ში აუქციონერად მონაწილეობს კერძო სამართლის იურიდიული პირის სახით და თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით. ამდენად, სადავო სამართალურთიერთობაში სსიპ სანარმოთა მართვის სააგენტო ასრულებს არა საჯარო უფლებამოსილებას, არამედ წარმოადგენს სახელმწიფოს, როგორც პარტნიორს, გამოდის პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო-სამართლებრივ, ჰორიზონტალურ ურთიერთობაში კერძო სამართლის სუბიექტის სახით და როგორც პარტნიორი ახორციელებს სამენარმეო საქმიანობას „მენარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად.

„...ის ინსტიტუციური მოწყობის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 08.12.1998წ. №... განკარგულების პირველი პუნქტის მიხედვით, ...ის დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ქონების ბაზაზე დაფუძნდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „...ა“, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი. საქმის მასალების მიხედვით, სადავო აქტის გამოცემისას, „...ა“ საქმიანობდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით (ამჟამად „...ა“ სააქციო საზოგადოებაა). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შეზ-

ლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) ე.წ. კაპიტალური ტიპის საზოგადოებაა. სადავო აქტის გამოცემისას მოქმედი „მენარმეთა შესახებ“ კანონის 45-ე მუხლის მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით.

განსახილველ შემთხვევაში, სსიპ სანარმოთა მართვის სააგენტომ, სადავო 2009 წლის 13 აპრილის ბრძანებით, შპს-ს პარტნიორის – სახელმწიფოს სახელით შპს „...ის“ კაპიტალში განახორციელა არაფულადი შენატანი – შპს „...ის“ კაპიტალში შეტანილ იქნა შენობა-ნაგებობები და მიწის ნაკვეთები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სანარმოს კაპიტალი არის მის საკუთრებაში არსებული ქონების ერთობლიობა. სანარმოს საქმიანობიდან გამომდინარე, ქონების ოდენობა ცვალებადია, სანარმოს კაპიტალის გაზრდა შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა გზით, მათ შორის პარტნიორის მიერ სანარმოს კაპიტალში გარკვეული შენატანის განხორციელებით, კონკრეტულ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემით, რაც მოხდა კიდევ განსახილველ შემთხვევაში. ამდენად, სადავო აქტის გამოცემა განხორციელდა სახელმწიფოს, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირის პარტნიორის საქმიანობის ფარგლებში, „მენარმეთა შესახებ“ და სხვა ნორმატიული აქტების იმ დებულებების საფუძველზე, რომლებიც სახელმწიფოს, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირის პარტნიორის უფლება-მოვალეობების განხორციელების წესებს შეეხება. ამდენად, გასაჩივრებული აქტი გამოცემული არ არის სახელმწიფოს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, სსიპ სანარმოთა მართვის სააგენტო მოქმედებდა სახელმწიფოს, როგორც კერძო სამართლის სუბიექტის პარტნიორის წარმომადგენელი. ამდენად, სახელწოდების მიუხედავად, სსიპ სანარმოთა მართვის სააგენტოს 2009 წლის 13 აპრილის გასაჩივრებული ბრძანება არ არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და უფრო მეტად კერძო-სამართლებრივი, განკარგვითი გარიგების მახასიათებელი ნიშნების მატარებელია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ სანარმოთა მართვის სააგენტოს 2009 წლის 13 აპრილის ბრძანების მართლზომიერების შემოწმებისას სასამართლომ უნდა იმსჯელოს კაპიტალში შეტანილი ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში არსებობაზე, სახელმწიფოს მიერ თავისი სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში კონკრეტული ქონების განკარგვის უფლებამოსილებაზე. დავის განმხილველმა სასამართლომ უნდა იმსჯელოს სახელმწიფოს მიერ არა საჯარო-სამართლებრივი ფუნქციების განხორციელების უფლებამოსილებასა და მართლზომიერებაზე, არამედ პარტნიორის მიერ კერძო სამართლის იურიდიული პირის კაპიტალში

კონკრეტული ქონების შეტანის შესახებ გადაწყვეტილების მართლობიერებაზე, რაც არსობრივად სამოქალაქო შინაარსის დავაა და არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან“ (იხ. სუსგ. საქმე №ბს-541(გ-19) 12.03.2020წ.).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველ შემთხვევაში დავა არ არის წარმოშობილი ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და ეხება პარტნიორის მიერ კერძო სამართლის იურიდიული პირის კაპიტალში ქონების შეტანის მართლობიერებას, რაც დავის სამოქალაქო ხასიათს ადასტურებს. რამდენადაც, სახეზეა პარტნიორის მიერ ქონების კერძო სამართლის იურიდიული პირის კაპიტალში შეტანა, დავა არ ეხება სახელმწიფო ქონების პრივატიზაციას, პრივატიზაციის პროცედურის კანონიერებას, რაც თავისი ბუნებით ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა რიგს განეკუთვნება. ამასთან, საგულისხმოა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 ივნისის განჩინებით №2/16839-16 ადმინისტრაციულ საქმეს ცალკე წარმოებად გამოეყო მხოლოდ სსიპ სანარმოთა მართვის სააგენტოს 2009 წლის 19 ივნისის №1-3/175 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობის ნაწილში, სახელდობრ, გამოყოფილ ნაწილთან დაკავშირებით წარმოიშვა დავა განსჯადობის შესახებ. ამდენად, სარჩელის გამოყოფილი ნაწილი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემული საქმის იდენტური დავის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის დაქვემდებარების ვრცელი სამართლებრივი დასაბუთება მოცემულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 12 მარტს №ბს-541(გ-19) საქმეზე გამოტანილ განჩინებაში. ასევე, საგულისხმოა, რომ ანალოგიური სასარჩელო მოთხოვნების განხილვა წარმოებს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით (იხ. სუსგ. საქმე №ას-640-606-2015 23.07.2015წ.). ამგვარად, პროცესის ეკონომიურობის, ოპერატიულობისა და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოს იდენტურ სამართლებრივ საკითხზე მიღებული აქვს გადაწყვეტილება, დავა განსჯადობით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ქვემდებარეა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით,

26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ვ. თ-ის სარჩელი – მოპასუხე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

აღნაგობის ხელშეკრულების გათილად ცნობისა და გადახდილი ქირის უკან დაბრუნების თაობაზე დავის განსჯადობა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-1134(ბ-19)

16 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „...ომ“ 2019 წლის 15 მარტს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიმართ, შპს „...ოსა“ და ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს შორის 2013 წლის 08 ნოემბერს გაფორმებული აღნაგობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და შპს „...ოს“ სასარგებლოდ მოპასუხისათვის 176 930 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 08 ნოემბრის №01-4/135 ბრძანე-

ბით შპს „...ოს“ პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით გადაეცა ქ. თბილისში, ...ის ქუჩაზე, ქუჩის გამყოლი ზოლის მიერ დაკავებული 1 100 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს.კ. ...). აღნაგობის ვადა განისაზღვრა 49 წლით. შპს „...ოს“ მიწის ნაკვეთი გადაეცა ...ის მშენებლობისათვის. ამასთან, განისაზღვრა, რომ მიწის ნაკვეთზე უნდა განხორციელებულიყო მხოლოდ ქ. თბილისის მერიის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტით ან/და სხვა ფორმის თანხმობით გათვალისწინებული ნაგებობის მშენებლობა/მონტაჟი. მოსარჩელის განმარტებით, ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ აღმოჩნდა, რომ აღნაგობის უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის უფლების მოპოვება შეუძლებელია, რის გამოც ხსენებული ხელშეკრულება წარმოადგენს შეცდომით დადებულ გარიგებას. ამდენად, არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი. ამასთან, მოსარჩელეს უკან უნდა დაუბრუნდეს ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხისათვის გადახდილი თანხა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 ივნისის განჩინებით შპს „...ოს“ სარჩელი ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიმართ განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლზე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლზე და აღნიშნა, რომ განსახილველი დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რადგან მოთხოვნა დაკავშირებულია ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასთან. სასამართლოს მითითებით, სადავო სამართალურთიერთობის ერთ-ერთ მხარეს ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს, რაც განსახილველი დავის საჯარო-სამართლებრივი ხასიათის დავად მიჩნევის ერთ-ერთი საფუძველია. ამასთან, მნიშვნელოვანია დავა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობდეს. მოცემულ შემთხვევაში, აქტები, რომელთა საფუძველზეც დაიდო სადავო ხელშეკრულება, საჯარო სამართლის ნორმებით მოწესრიგებულ სამართალურთიერთობას ეფუძნება. სასამართლომ აღნიშნა, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 08 ნოემბრის №01-4/135 ბრძანება თავისი სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით, წარმოადგენს ადმინისტრაციულ კანონმდებლობის საფუძველზე, საჯარო ინტერესის გათვალისწინებით (მათ შორის მოსახვედელი სივრცის მოწყობის ვალდებულება) მხარეთა შორის დადებულ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, მისი დადების მიზანს წარმოადგენდა ინვესტიციის განხორციელება, რაც სარგე-

ბელს მოუტანდა მუნიციპალიტეტსაც. ამდენად, სახეზეა სამართლებრივი ურთიერთობის საჯარო ინტერესი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 ივლისის განჩინებით, შპს „...ოს“ სარჩელი ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიმართ, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტზე მითითებით აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლებამოვალეობებით. საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულებების გამიჯვნისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს, კერძოდ, ხელშეკრულება დადებული უნდა იყოს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსის მიხედვით განისაზღვრება. სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ისარგებლოს კერძო სამართლით გათვალისწინებული საშუალებებით.

სასამართლომ საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებით აღნიშნა, რომ სადავო საკითხი ფორმალურად ადმინისტრაციული დავის მსგავსია, თუმცა გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა ფორმალურ მხარეს, არამედ დავის შინაარსს. კონკრეტულ შემთხვევაში, ხელშეკრულება მოსარჩელეს არ აღჭურავს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით. სადავო ხელშეკრულების დადებისას ადმინისტრაციულმა ორგანომ მოახდინა კერძო-სამართლებრივი უფლების რეალიზაცია და კერძო პირს სარგებლობაში გადასცა ქონება. სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ შპს „...ოსათვის“ მინის ნაკვეთის სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება არ გულისხმობს მხარეებს შორის ვერტიკალური, ქვემდებარეობითი ურთიერთობის არსებობას. მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანო არ წარმოადგენს საჯარო უფლებამოსილების იმპერატიული ნების გამოხატველ სუბიექტს. სასამართლომ აღნიშნა, რომ დავა ეხება სახელმწიფო ქონების კერძო პირისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემას და არა სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობას, კერძო პირისათვის საკუთრებაში გადაცემას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქ-

მის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი კი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ად-

მინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 08 ნოემბრის №01-4/135 ბრძანების ბათილად ცნობა და შპს „...ოს“ სასარგებლოდ მოპასუხისათვის 176 930 ლარის გადახდის დაკისრება. ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 08 ნოემბრის №01-4/135 ბრძანების თანახმად, შპს „...ოს“ პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით გადაეცა ქ. თბილისში, ...ის ქუჩაზე მდებარე 1 100 კვ.მ მიწის ნაკვეთი. ბრძანების მე-4 პუნქტის შესაბამისად, ბრძანება გათანაბრებულია ხელშეკრულებასთან, რომლის განუყოფელ ნაწილს შეადგენს თანდართული აღნაგობის პირობები. აღნაგობის პირობების თანახმად, აღნაგობის უფლების მიმღებ პირს ქ. თბილისში, ...ის ქუჩაზე მდებარე 1 100 კვ.მ. მიწის ნაკვეთი გადაეცა ...ის აშენების მიზნით. ამასთან, შპს „...ოს“ ვალდებული იყო ქ. თბილისში, ...ის ქუჩაზე მდებარე 155 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და ამავე ქუჩაზე, ქუჩის გამყოლი ზოლის მიერ დაკავებული 245 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მოეწყო მოსასვენებელი სივრცე. მოსარჩელის განმარტებით, სსიპ ქონების მართვის სააგენტოსთან აღნაგობის ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ აღმოჩნდა, რომ აღნაგობის უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის უფლების მოპოვება შეუძლებელია, რის გამოც ხსენებული ხელშეკრულება წარმოადგენს შეცდომით დადებულ გარიგებას. ამდენად, არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი. ამასთან, მოსარჩელეს უკან უნდა დაუბრუნდეს ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხისათვის გადახდილი თანხა. მოსარჩელე, სასარჩელო მოთხოვნის საფუძველად უთითებს სამოქალაქო კოდექსის 73-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტსა და სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დავის საგნობრივი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად, უნდა დადგინდეს სადავო ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული

ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირებთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად მიჩნევის განმსაზღვრელ ძირითად ელემენტს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი.

საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი გულისხმობს არა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტას, არამედ ძირითადი, უშუალო ფუნქციის განსახორციელებლად ხელშეკრულების დადებას. სხვაგვარად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ ნებისმიერ ხელშეკრულებას მიენიჭებოდა ადმინისტრაციული ხელშეკრულების სტატუსი, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. მხარეთა შორის არსებული სადავო სამართალურთიერთობა უკავშირდება ხელშეკრულებას, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებათა რიგს განეკუთვნება. შესაბამისად, მის შეწყვეტასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65¹ მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას წარმოადგენს. ამასთან, მოთხოვნა დაფუძნებულია სამოქალაქო სამართლის ნორმებზე. სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კანონმდებლობით მონესრიგებული ურთიერთობანი.

კონკრეტულ შემთხვევაში, აღნაგობის ხელშეკრულების საფუძველზე კერძო სამართლის იურიდიულ პირს – შპს „...ოს“ სათანადო საფასურის სანაცვლოდ აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაეცა უძრავი ქონება, მოსარჩელემ იკისრა ვალდებულება გადაეხადა შესაბამისი საფასური უძრავი ქონებით სარგებლობის სანაცვლოდ. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს, ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობით. მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარე ადმინისტრაციულ ორგანოს არ მოუხდენია მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული საჯარო-სა-

მართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებისაგან გამიჯვნისათვის, ხელშეკრულების მიზნის და საგნის ანალიზის გარდა, მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების დადებას ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ხელშეკრულების დადების შედეგად ადმინისტრაციული ორგანოსათვის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან ქმედების (რეალაქტის) განხორციელების მოვალეობის წარმოქმნას, ხელშეკრულების დადების შედეგად მხარის საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით აღჭურვას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულმა ორგანომ შპს „...ოს“, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ, აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადასცა უძრავი ქონება. ამდენად, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ წარმოქმნის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას. ამასთან, მოსარჩელე მოთხოვნის საფუძველად უთითებს სამოქალაქო კოდექსის 73-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტსა და სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტს. ამდენად, სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

სადავო ბრძანების (რომელიც გათანაბრებულია ხელშეკრულებასთან) გამოცემის საფუძველად მითითებულია ქ. თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 აგვისტოს №9-65 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის“ მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი და მე-5 მუხლი. აღნიშნული წესის მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ვალდებულების შესრულების ან/და შესრულების მიღება ხორციელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით. აღნიშნულს აგრეთვე ითვალისწინებს დღეს მოქმედი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის“ მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტიც. ამდენად, აღნაგობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და შპს „...ოსათვის“ მის მიერ გადახდილი აღნაგობის ქირის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებული ურთიერთობა კერძოსამართლებრივი ხასიათისაა და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა გადაწყდეს. საკასაციო პალატა იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას, რომ შპს „...ოსათვის“ ...თან

ერთად მოსასვენებელი სივრცის მოწყობის ვალდებულების დაკისრება, თავისთავად არ ნიშნავს სადავო სამართალურთიერთობის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების პირობას. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის კერძო-სამართლებრივი ფორმები და შესაბამისად, დადოს კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულება, რომელშიც ადმინისტრაციული ორგანო არ არის აღჭურვილი საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებით. ამასთან, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილია პრაქტიკა (სუსგ 29.06.2017წ., №ბს-73-72(კ-17); 29.06.2017წ. №ბს-959-950(კ-16)).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს. სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ დავა განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „...ოს“ სარჩელი ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე
ვალდებულებით ურთიერთობებთან დაკავშირებით
დავის განსჯადობა**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-807(გ-19)

09 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ა. წულაძე**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ 05.02.2019წ. სარჩელით მიმართა თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ჯ. ა-ის მიმართ 15.09.2015წ. იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საიჯარო ქირის 3085,20 ლარის, ხელშეკრულების შეწყვეტამდე არსებული პირგასამტეხლოს – 1401,30 ლარისა და 1000 ლარის, ჯამში 5486,5 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და ჯ. ა-ს შორის 15.09.2015წ. დაიდო იჯარის ხელშეკრულება, თეთრიწყაროს რაიონში, ...ის საკრებულოს მიწებში მდებარე 89 180 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) დანიშნულების მიწის ნაკვეთზე. ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 10 წელი, ხელშეკრულებით განისაზღვრა მიწის ნაკვეთით სარგებლობისათვის ყოველწლიური საიჯარო ქირის – 1472 ლარის გადახდის საჭიროება ყოველი წლის 31 დეკემბრამდე, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ხელშეკრულებით დადგინდა პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 19.10.2017წ. ბრძანებით შეწყდა აღნიშნული ხელშეკრულება ჯ. ა-ის მიერ იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო. სააგენტოს არაერთგზის წერილობითი მოთხოვნის მი-

უხედავად ჯ. ა-მა არ მოახდინა ხელშეკრულების შეწყვეტამდე არსებული საიჯარო ქირის დავალიანებისა და დაკისრებული პირგა-სამტეხლოს ანაზღაურება. მოსარჩელე თვლის, რომ ხელშეკრუ-ლების დებულებების, ასევე სკ-ის 361-ე და 417-ე მუხლების სა-ფუძველზე, ჯ. ა-ს უნდა დაეკისროს აღნიშნული თანხის ანაზღაუ-რება.

თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს 23.05.2019წ. განჩინე-ბით დადგინდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელის განხილვა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. სა-სამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ურთიერთობა არ გამომდინარე-ობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, მოსარჩელის მოთ-ხოვნა დაფუძნებულია სამოქალაქო სამართლის ნორმებზე და სარ-ჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი სამოქალა-ქო კანონმდებლობით მოწესრიგებული ურთიერთობაა. სასამარ-თლომ აღნიშნა, რომ მოცემული საქმის ადმინისტრაციული სამარ-თალწარმოების პროცედურით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას. სასკ-ის 26-ე მუხ-ლის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რო-მელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე, ხო-ლო არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვე-ვაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამარ-თლოს. ამასთან, ვინაიდან განსჯადობის ზოგადი წესიდან გამომ-დინარე საქმე თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს განსჯადია, ხოლო ამ სასამართლოში არ არის შექმნილი სპეციალიზებული კო-ლეგიები, სასამართლომ მიიჩნია, რომ მართლმსაჯულების სწრა-ფად და ეფექტურად განხორციელების ინტერესებიდან გამომდი-ნარე, უნდა შეიცვალოს საქმის წარმოების წესი.

თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს 03.06.2019წ. განჩინე-ბით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქარ-თველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პა-ლატას. სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული საქმეე-ბის განსჯადობის მთავარ ფაქტორს, გარდა იმისა, რომ ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო, წარმოადგენს ად-მინისტრაციული ორგანოს ქმედების საჯარო-სამართლებრივი მი-ზანი, სადავო სამართალურთიერთობის შინაარსი. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის 1.6 მუხლის და საქართველოს მთავრო-ბის 17.09.2012წ. №391 დადგენილებით დამტკიცებულ „სსიპ სახელ-მწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების“ მე-3 მუხლის საფუძველზე სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო ქონების

მართვას და განკარგვას, სახელმწიფო ქონების სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ფორმით, სასყიდლით, აუქციონის ფორმით გადაცემას, ასევე სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულებების მონიტორინგს ახორციელებს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ დავაში მხარეთა შორის დადებული იჯარის ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განსახორციელებლად დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება. სააგენტოს ქმედებები უშუალოდ არის დაკავშირებული თავისი საჯარო ფუნქციების შესრულებასთან, შესაბამისად, 15.09.2015წ. იჯარის ხელშეკრულება ადმინისტრაციული ხელშეკრულებაა, რის გამოც დავა განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო საქმის წარმოების წესით შემდეგ გარემოებათა გამო:

კომპეტენციის გამიჯვნის პოზიტიური ტაქსაციის მეთოდის გამოყენებით სზაკ-ის 2.1 მუხლი იძლევა ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს. ამასთანავე, კომპეტენციის განსაზღვრის ზოგადი ნიშნის გამოყენებით (ენუმერაციის მეთოდი) კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის იმ სამართალურთიერთობიდან წარმოშობა, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული (იხ. სუს 11.09.2014 წ. განჩინება საქმეზე №350-316(გ-14)). განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს შეადგენს იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა, საქმის მასალებით დასტურდება, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და ჯ. ა-ს შორის 15.09.2015წ. დაიდო იჯარის ხელშეკრულება თეთრინყაროს რაიონში, ...ის საკრებულოს მიწებში არსებული 89180 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) მიწის ნაკვეთზე, 10 წლის ვადით (ხელშეკრულების 1-ლი მუხ.). მოიჯარემ ხელშეკრულებით იკისრა ყოველწლიური საიჯარი ქირის – 1472 ლარის გადახდა ყოველი წლის 31 დეკემბრამდე, უნაღდო ანგარიშ-

სწორების გზით (ხელშეკრულების 2.1, 2.2 მუხ.). ხელშეკრულების მიხედვით, იჯარით გაცემული ქონება რჩებოდა სახელმწიფო საკუთრებაში, ხოლო ქონების ბუნებრივი და იურიდიული ნაყოფი ეკუთვნოდა მოიჯარეს (5.1 მუხ.). ხელშეკრულება არ შეიცავდა გაცემულ მინის ნაკვეთთან დაკავშირებით რაიმე სპეციფიურ პირობებს (მაგ.: ინვესტიციის განხორციელება, ნაგებობის მოწყობა და სხვ.), ხელშეკრულება ითვალისწინებდა მხოლოდ ნაკვეთით სარგებლობის უფლების გადაცემას სათანადო ანაზღაურების გადახდის სანაცვლოდ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დავის საგანს შეადგენს იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა. ხელშეკრულების საფუძველზე ფიზიკურმა პირმა იკისრა ვალდებულება გადაეხადა შესაბამისი საფასური მინის ნაკვეთით დროებით სარგებლობის სანაცვლოდ. მართალია, 15.09.2015წ. იჯარის ხელშეკრულების საგანი სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთის ფიზიკური პირის სარგებლობაში გადაცემა იყო, თუმცა ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას იმთავითვე არ განსაზღვრავს გარიგების მხარეთა ან/და ხელშეკრულების საგნის მესაკუთრის სტატუსი. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან თუ კერძო პირთან დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს არ ქმნის მხოლოდ ის გარემოება, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ადმინისტრაციული ორგანოა. დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიიჩნევა არა იმის გამო, რომ მოსარჩელის მოთხოვნის ადრესატი ადმინისტრაციული ორგანოა, არამედ სადავო სამართალურთიერთობის იმანენტური ბუნების გამო. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის კერძო-სამართლებრივი ფორმები და შესაბამისად, დადოს კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულება, რომელშიც ადმინისტრაციული ორგანო არ არის აღჭურვილი საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებით. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძო-სამართლებრივ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ხოლო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით (სასკ-ის 25¹ მუხ, სზაკ-ის 65.2, 65¹ მუხ.). საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფი-

ნიციის (სზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი) ძირითად ელემენტს შეადგენს ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსით განისაზღვრება. ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს (იხ. სუს 26.12.2013წ. განჩინება საქმეზე №ბს-31-27(კ-13)). ხელშეკრულების დადებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს არ მოუხდენია ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებული საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება, მან მოახდინა მხოლოდ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადება. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ ჯ. ა-ისაგან საიჯარო ქირის დავალიანებისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურების მოთხოვნა არ გულისხმობს მხარეებს შორის ვერტიკალური, ქვემდებარეობითი ურთიერთობის არსებობას, ორგანო ჯ. ა-ისაგან მოითხოვს ვალდებულების შესრულებას როგორც საიჯარო ხელშეკრულების კრედიტორი და არა, როგორც საჯარო უფლებამოსილების იმპერატიული ნების გამომხატველი სუბიექტი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ქონების მართვა და განკარგვა შესაძლებელია არა მხოლოდ საჯარო-სამართლებრივი, არამედ კერძო-სამართლებრივი ფორმებით (მაგ.: იჯარა, ქირავნობა), სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს საქმიანობის კერძო-სამართლებრივი ფორმები. ქონების იჯარით გაცემის საკითხები კერძო-სამართლებრივი კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. ქონების იჯარით გადაცემა არ უკავშირდება სახელისუფლებო უფლებამოსილებას, მისი დადების შედეგად არ ხდება მოიჯარის საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებით აღჭურვა (იხ. სუს 15.11.2018წ. განჩინება საქმეზე №ბს-1138-1132(გ-17)). სადავო პერიოდში მოქმედი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებდა სახელმწიფო ქონების განკარგვას, მათ შორის პრევატიზებას (მე-2 მუხ. „ბ“ ქვ.პ) და სარგებლობის უფლებით გადაცემას (მე-2 მუხ. „დ“ ქვ.პ.). სახელმწიფოს უძრავი ქონების განკარგვა იმთავითვე მოიაზრებდა ქონებაზე მესაკუთრის ცვლილებას, ხოლო ქონების სარგებლობაში გადაცემისას სახელმწიფო ინარჩუნებდა ნივთზე მესაკუთრის უფლებებს, ხდებოდა მხოლოდ სარგებლობის უფლების გადაცემა. სახელმწიფო ქონება სარგებლობაში გადაიცემოდა ვადით ან უვადოდ, სასყიდლით ან უსასყიდლოდ, აუქციონის ფორმით ან მის გარეშე (33.1 მუხ.) სხვადასხვა სუბიექტებზე, მათ შორის ფიზიკურ და კერძო

სამართლის იურიდიულ პირებზე (33.2 მუხ.). ფიზიკურ პირს სახელმწიფო ქონებას სასყიდლით გადასცემდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის ფორმებით, აუქციონის საფუძველზე, ქონების მმართველის თანხმობით, ის სახელმწიფო ორგანო, რომელსაც ეს ქონება სარგებლობაში ჰქონდა გადაცემული, ხოლო უკეთეს სახელმწიფო ქონება არ იყო სარგებლობაში გადაცემული, მას ფიზიკურ პირს სარგებლობაში გადასცემდა ქონების მმართველი დადგენილი წესით (36.1 მუხ.). ქონების მმართველად მიიჩნეოდა სამინისტრო, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, მათ მიერ უფლებამოსილი ორგანო ან სახელმწიფო ქონებით მოსარგებლე პირი სათანადო წინაპირობების არსებობისას (მე-2 მუხ. „პ“ ქვ.პ.). საქართველოს მთავრობის 17.09.2012წ. №390 დადგენილებით დამტკიცებული „ქონების მმართველის უფლებამოსილებების და მათი განხორციელების ფორმის“ მიხედვით, სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ფორმებით, სასყიდლით, აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემაზე და სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულებების მონიტორინგის განმახორციელებელ უფლებამოსილ ორგანოდ დასახელდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (2.1 მუხ. „მ“ ქვ.პ.; საქართველოს მთავრობის 17.09.2012წ. №391 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების“ მე-3 მუხ. „მ“, „ძ“ ქვ.პ.). ამდენად, დგინდება, რომ სათანადო პროცედურის დაცვით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო უფლებამოსილი იყო ფიზიკური პირისათვის სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ფორმით სარგებლობაში გადაეცა სახელმწიფო საკუთრების სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი. სწორედ აღნიშნული განხორციელდა განსახილველ შემთხვევაში, როდესაც სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და ჯ. ა-ს შორის დაიდო სასოფლო-სამეურნეო მიწის (სათიბის) იჯარის ხელშეკრულება. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული ხელშეკრულების დადების საფუძველად „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონთან ერთად მითითებულია სამოქალაქო კოდექსი, ხოლო ჯ. ა-ის მიერ ვალდებულებათა არაჯეროვანი შესრულების გამო იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველად მითითებულია იჯარის ხელშეკრულების შესაბამისი მუხლები, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამსახურებრივი ბარათი და სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი, რომელიც ვალდებულების დარღვევისას მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესაძლებლობას ითვალისწინებს. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სამოქალაქო კოდექსით

გათვალისწინებული ფორმით და მის საფუძველზე მიწის (სათიხის) დროებითი სარგებლობის მიზნით ფიზიკურ პირთან დადებული იჯარის ხელშეკრულება სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებაა. შესაბამისად, აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე საიჯარო ქირისა და პირგასამტეხლოს გადახდის საკითხთან დაკავშირებულ სამართალურთიერთობას კერძო-სამართლებრივი ბუნება აქვს და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს გადანყვეტილი.

დავის ადმინისტრაციული კატეგორგიისადმი კუთვნილებას არ ადასტურებს სახელმწიფო ქონების ფიზიკური პირისათვის ვადიანი, სასყიდლიანი სარგებლობის უფლების გადაცემის შესახებ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილების ნორმატიულად განსაზღვრა საჯარო კანონმდებლობით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო (სზაკ-ის მე-2 მუხ. „ა“ ქვ.პ.), მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, შესაძლოა ერთგვობდეს კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში სათანადო ხელშეკრულებების დადების გზით. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს აქვს სპეციალური უფლებაუნარიანობა („საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის 3.1 მუხ.), იგი უფლებამოსილია განახორციელოს არა ყველა სახის, არამედ მხოლოდ შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან/და თავისი წესდებით (დებულებით) გათვალისწინებული საქმიანობა, თუ კანონითვე სხვა რამ არ არის განსაზღვრული (3.2 მუხ.), გარიგებები, რომლებიც საჯარო სამართლის იურიდიული პირის ნორმატიულად განსაზღვრულ საქმიანობის სფეროს არ ეხება და სსიპ-ის სპეციალური უფლებაუნარიანობის ფარგლებს ცდება, ბათილია (3.4 მუხ.). ამდენად, იმისათვის, რომ საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა დადოს კონკრეტული შინაარსის გარიგება, მას აღნიშნულის უფლებამოსილება ნორმატიულად უნდა ჰქონდეს მიანიჭებული. ამასთან, სსიპ-ის მიერ ხელშეკრულების დადება იმთავითვე არ ადასტურებს ხელშეკრულების დადებას საჯარო-სამართლებრივი მიზნით და შესაბამისად, გარიგების ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად მიჩნევის საფუძვლიანობას. საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი გულისხმობს არა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას მიკუთვნილებული ნებისმიერი საკითხის გადანყვეტას, არამედ ხელშეკრულების დადებას ძირითადი, უშუალო ფუნქციის განსახორციელებლად. სხვაგვარად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ ნებისმიერ ხელშეკრულებას მიენიჭებოდა ადმინისტრაციული ხელშეკრულების სტატუსი, რადგან სზაკ-ის 5.1 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული ორ-

განო უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება. ამდენად, ხელშეკრულების საჯარო-სამართლებრივად მიჩნევისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების მიზანს, ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო პალატა თვლის, რომ ხელშეკრულების შინაარსიდან მისი საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით დადება, მხარეთა საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით აღჭურვა არ იკვეთება, რაც ხელშეკრულების ადმინისტრაციულ ხასიათს გამორიცხავს. ამასთანავე მხედველობაშია მისაღები, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს არ შეადგენს სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულების დადების, ამ მიზნით აუქციონის დანიშვნისა და ჩატარების პროცედურა. დავა ეხება მხოლოდ შესაბამისი პროცედურების ჩატარების შედეგად დადებული საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთით სარგებლობის საფასურის – საიჯარო ქირის და პირგასამტეხლოს გადახდის დაკისრების საკითხებს, რაც დამატებით ადასტურებს დავის კერძო-სამართლებრივ ხასიათს. გასათვალისწინებელია, რომ მოსარჩელეც სწორედ სამოქალაქო კოდექსის 317-ე, 361-ე, 417-ე, 581-ე მუხლებზე მითითებით ითხოვს მოპასუხისათვის თანხის დაკისრებას, ხოლო სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის სახელმწიფო ქონებაზე იჯარის ხელშეკრულების დადების უფლებამოსილების მიმნიჭებელი ნორმატიული აქტები მიუთითებენ სწორედ სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ფორმით სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის სარგებლობაში გადაცემის შესაძლებლობაზე („სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის 36.1 მუხ., საქართველოს მთავრობის 17.09.2012წ. №390 დადგენილებით დამტკიცებული „ქონების მმართველის უფლებამოსილებების და მათი განხორციელების ფორმის“ 2.1 მუხ. „მ“ ქვ.პ.; საქართველოს მთავრობის 17.09.2012წ. №391 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების“ მე-3 მუხ. „მ“ ქვ.პ.).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან (სასკ-ის 2.3 მუხ.). მხარეთა შორის არსებული სადავო სამართალურთიერთობა უკავშირდება ხელშეკრულებას, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებათა რიგს განეკუთვნება, შესაბამისად, მის შეუსრულებასთან დაკავშირე-

ბით წარმოშობილი დავა, სსკ-ის მე-11 მუხლის, აგრეთვე სზაკ-ის 25¹ მუხლის, 65.2, 65¹ მუხლების საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას წარმოადგენს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2 მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით, 390-ე მუხლით, 399-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი მოპასუხე ჯ. ა-ის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თეთრინყაროს რაიონულ სასამართლოს და განხილულ იქნეს სამოქალაქო საქმის წარმოების წესით;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. ტერიტორიული განსჯადობა

განსჯადობა იურიდიული პირების აღვილსაგყოფლის მიხედვით

განჩინება საქართველოს სასჯელით

№ბს-1189(გ-19)

28 იანვარი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

გ. კ-მა 2019 წლის 27 სექტემბერს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მოპასუხეების – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს პრეზიდენტის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 27 აგვისტოს №04/45340 აქტის; დანართში №872 ნომრად მითითებულ გ. კ-ისთვის ქონების გადაცემის ნაწილში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 10 სექტემბრის №10/09/03 განკარგულებს; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გ. კ-ს შორის 2012 წლის 14 სექტემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალოს ცვლილების შეტანა დევნილთა ელექტრონულ ბაზაში, კერძოდ, დევნილთა მონაცემთა ბაზაში გაუქმდეს მონიშნა გ. კ-ის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით გ. კ-ის სარჩელი, მოპასუხეების – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს პრეზიდენტის მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობისა და

ახალი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე, გადაეგზავნა განსჯად – ხაშურის რაიონულ სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ განჩინებაში მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 თავით მონესრიგებულია სარჩელის განსჯადობასთან დაკავშირებული საკითხები, თუ რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს სასამართლოსადმი დაქვემდებარებული კონკრეტული საქმე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულდეს. მოცემულ შემთხვევაში, 2012 წლის 14 სექტემბერს, გ. კ-სა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, გამყიდველმა გადასცა, ხოლო მყიდველმა საკუთრებაში მიიღო მიწის (უძრავი ქონების) ს/კ ... რეგისტრირებულ 52 კვ.მ ფართი. საქმეზე წარმოდგენილი ამონაწერი დგინდება, რომ უძრავი ქონება – საკადასტრო კოდით: ... მდებარეობს ქარელის რაიონში, დაბა ...ში. წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელე ითხოვს სწორედ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას, რის გამოც დავა ატარებს სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი დავის ხასიათს და სასამართლოს განსჯადობაც ამ ხელშეკრულების შესრულების ადგილის – ქარელის მიხედვით უნდა განსაზღვრულიყო.

სასამართლომ მიუთითა „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებაზე, რომლის შესაბამისად, განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოებისა და თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. ამავე გადაწყვეტილების 53-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ხაშურის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს ხაშურის, ქარელისა და თილვის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით ადმინისტრაციული საქმე: მოსარჩელე – გ. კ-ი; მოპასუხეები

– საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო; დავის საგანი – ადმინისტრაციული აქტებისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, დევნილთა ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში ცვლილების შეტანის დავალება, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ხაშურის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლით დადგენილია განსჯადი სასამართლოს მიერ დავის განხილვის და გადაწყვეტის პრინციპი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი წესი. ამ ნორმის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილი თავისი ხასიათით, შინაარსით და იურიდიული ბუნებით არის ზოგადი და ამავე დროს იმპერატიული ნორმა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად ადგენს განსჯად საერთო სასამართლოს ტერიტორიული ნიშნის, ანუ მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით. გ. კ-ის სარჩელზე მოპასუხედ მითითებული ყველა დაწესებულება მდებარეობს თბილისში. ამდენად, განსჯადობის ზოგადი წესის მიხედვით, ამ სარჩელის განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლოა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

ხაშურის რაიონული სასამართლო არ ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას, რომ რადგან სადავოდ არის გამხდარი ნასყიდობის ხელშეკრულება, ამიტომ სახეზეა სახელშეკრულებო დავა, რომლის შესრულების ადგილია ქარელის ტერიტორია და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, სარჩელი ხაშურის რაიონული სასამართლოს განსჯადია. ხაშურის რაიონულ სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა. მოსარჩელე მხარე ითხოვს ბათილად იქნეს ცნობილი მასსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრუ-

ლება იმ საფუძვლით, რომ ხელშეკრულებაზე მისი ხელმოწერა არ არის – იგი გაყალბებულია. ამდენად, დავის საგანი ხელშეკრულების პირობებიდან კი არ გამომდინარეობს, მოსარჩელე მეორე მხარეს ხელშეკრულების რომელიმე პირობის დარღვევას კი არ ედავება, არამედ უთითებს, რომ ასეთი ხელშეკრულება ბუნებაში არ არსებობს. თავისი შინაარსით ეს მოთხოვნა წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლით გათვალისწინებულ აღიარებით სარჩელს, კერძოდ, მოსარჩელე ითხოვს დადასტურდეს კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის (ნასყიდობის ხელშეკრულების) არარსებობა, რადგან აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ამოღებულ იქნეს მონაცემთა ბაზიდან ჩანაწერი მის შესახებ, როგორც საცხოვრებელი სადგომით დაკმაყოფილებული დევნილის. ამასთან, მოცემულ საქმეზე დავის საგანს ასევე წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოების აქტების ბათილად ცნობა და ახალი აქტის გამოცემის დავალება. რომლებზეც მოპასუხე მხარეებს წარმოადგენენ ქ. თბილისში მდებარე ადმინისტრაციული ორგანოები (საქართველოს პრეზიდენტი, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო). შესაბამისად, განსჯადობის ზოგადი წესიდან გამომდინარე, მათ მიმართ აღძრული სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს განსჯადია. ხაშურის რაიონული სასამართლო ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში რომც ჩაითვალოს განსჯად სასამართლოდ, ასეთ შემთხვევაში გვექნება საქმის განმხილველი რამდენიმე სასამართლო – თბილისის საქალაქო და ხაშურის რაიონული სასამართლო. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის მიხედვით, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, სასამართლოს არჩევის უფლება ეკუთვნის მოსარჩელეს. გ. კ-მა გამოიყენა კანონით მისთვის მინიჭებული უფლება სასამართლოს არჩევის შესახებ და დავის გადასაწყვეტად მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოსა და ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ გ. ნ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ ხაშურის რაიონულმა სა-

სამართლომ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახულია ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში / მუხლი 26/, კერძოდ, უფლებამოსილი სასამართლოს მიერ დავის განხილვისა და გადაწყვეტის აუცილებლობაში.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სარჩელის განსჯად სასამართლოში წარდგენის ვალდებულებას, იმპერატიული შინაარსის ნორმაა, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან და მათი გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმარტავს, რომ იმ მომენტიდან, როცა სასამართლო არაგანსჯადი ხდება, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილი სასამართლოს ავალდებულებს საქმე გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კო-

დექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად. ადმინისტრაციული სასამართლო, განსხვავებით სამოქალაქო სასამართლოსაგან, საქმის განსჯადობას ამონიშნავს მოპასუხის მოთხოვნის გარეშეც, თავისი ინიციატივით, როგორც აღინიშნა, სასამართლო ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, შეამოწმოს, განიხილა თუ არა საქმე უფლებამოსილმა სასამართლომ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი. მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს: სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 27 აგვისტოს №04/45340 აქტის; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ გ. კ-ისთვის ქონების გადაცემის ნაწილში საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 10 სექტემბრის №10/09/03 განკარგულების; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გ. კ-ს შორის 2012 წლის 14 სექტემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების კანონიერება და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის ცვლილების შეტანის დავალება დევნილთა ელექტრონულ ბაზაში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში სადავო არ არის დავის საგნობრივი – ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსჯადობის საკითხი, თბილისის საქალაქო და ხაშურის რაიონულ სასამართლოებს შორის მოცემული სარჩელის ტერიტორიულ განსჯადობაზე დავის წარმოშობა განპირობებულია სადავო აქტებითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ნივთის – ს/კ ... ქარელის რაიონის, დაბა ...ში მდებარეობით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოებმა სადავო აქტების სასამართლო წესით განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დაადგინონ არა ის ფაქტი, თუ რას ეხება სადავო ხელშეკრუ-

ლება და სად მდებარეობს სადავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება, არამედ აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გამოარკვიონ, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად.

განსახილველ შემთხვევაში მოპასუხეებს წარმოადგენენ: საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო. საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იურიდიულ მისამართს წარმოადგენს – ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა №51, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის – ქ. თბილისი, ათონელის ქუჩა №25. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეები არ წარმოადგენენ ერთი სისტემის ადმინისტრაციულ ორგანოებს და ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სუბიექტები არიან და დამოუკიდებლად მონაწილეობენ სამართალწარმოებაში. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით მოცემული საქმის განსჯად სასამართლოს წარმოადგენს მოპასუხე იურიდიული პირების ადგილსამყოფლის მიხედვით – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გ. კ-ის სარჩელი განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. კ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განსჯადობა მოპასუხის (სააღსრულებო ორბანოს)
აღკვეთვით**

**განჩინება
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-85(გ-20)

4 მარტი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ა. ნულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. ქადაგიძე**

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირ-ველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა საქართველოს სპს „...ის“ სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე რუსთავის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის წარმოშობილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

სპს „...ამ“ 2019 წლის 12 დეკემბერს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა მოპასუხის – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს მიმართ და მოითხოვა: სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროსათვის მოსარჩელის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის – 4900 ლარის ოდენობით ანაზღაურების დაკისრება; 2015 წლის მარტის თვიდან 2019 წლის ოქტომბრის თვის ჩათვლით – 8400 ლარის, ხოლო 2019 წლის ნოემბრის თვიდან წინამდებარე საქმეზე მიღებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებამდე – 150 ლარის მატერიალური ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლის სახით; ადვოკატის მომსახურებისათვის გადახდილი თანხის – 1700 ლარის ოდენობით ანაზღაურება; მოსარჩელის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის გადასახდელი თანხის ანაზღაურება სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული თანხის 10%-ის ოდენობით, საშემოსავლო გადასახადის გარეშე; მოსარჩელის მიერ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ექსპერტიზის ჩატარებისთვის გადახდილი თანხის – 150 ლარის, შპს „...ი“ ექსპერტიზის ჩატარებისთვის გადახდილი თანხის – 480 ლარისა და მო-

სარჩელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის საკომისიოს – 0.9 ლარის ანაზღაურება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2011 წლის 24 ოქტომბერს შემოსავლების სამსახურის ბრძანების საფუძველზე ყადაღა დაედო სპს „...ის“ ქონებას. მოსარჩელეს საკუთრებაში გააჩნდა ავტომობილი, სახელმწიფო ნომრით ..., რომელიც 2013 წლის 12 სექტემბერს საპატრულო პოლიციამ გადაიყვანა საჯარიმო სადგომზე, ზესტაფონში. ქვემო ქართლის აღსრულების ეროვნულმა ბიურომ 2013 წლის 28 ოქტომბერს მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა 2013 წლის 24 სექტემბრის დაყადაღების აქტში ჩამოთვლილი ქონების რეალიზაცია. აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილდა. ამასთანავე, ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს 2014 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით სპს „...ის“ ადმინისტრაციული საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და შემოსავლების სამსახურს დაევალა ადმინისტრაციული წარმოების დაწყება გადასახადის გადამხდელის მიმართ დავალიანების ჩამოწერასთან დაკავშირებით. მოსარჩელემ 2015 წლის 13 იანვარს განცხადებით მიმართა სსიპ შემოსავლების სამსახურს, საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის მოთხოვნით. სსიპ შემოსავლების სამსახურის 2015 წლის 16 თებერვლის №4083 ბრძანებით სპს „...ის“ პირადი აღრიცხვის ბარათზე, საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განხორციელდა 2014 წლის 24 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული, 2005 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი საგადასახადო დავალიანებისა და მასზე დარიცხული საურავის ჩამოწერა.

მოსარჩელის განმარტებით, 2015 წლის აპრილის დასაწყისში კომპანიის დირექტორისათვის – გ. ც-ისათვის ცნობილი გახდა, რომ მიუხედავად შემოსავლების სამსახურის მიერ დავალიანების ჩამოწერისა, რის თაობაზეც ინფორმირებული იყო სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიურო, იძულებითი აღსრულება საზოგადოების ქონების მიმართ მაინც განხორციელდა და ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს 2015 წლის 04 მარტის №A15000202-010/001 განკარგულებით მოსარჩელის საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთი – ... სატვირთო ფურგონი ნატურით გადაეცა სახელმწიფოს საკუთრებაში.

მოსარჩელემ ასევე მიუთითა, რომ მართალია, მისი სარჩელის საფუძველზე რუსთავის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2015 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილებით სადავო საკითხის გადაუწყვეტად ბათილად არის ცნობილი აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს 2015 წლის 4 მარტის №A15000202-010/001 განკარგულება და მოპასუ-

ხის მიერ განხორციელდა შესაბამისი მიმართვა მოძრავი ნივთის მესაკუთრისათვის დაბრუნების მოთხოვნით, მაგრამ მან ვერ მოახერხა ავტომობილის დაბრუნება. ზესტაფონის საჯარიმო სადგომის ადმინისტრაციამ უარი განაცხადა ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრისათვის დაბრუნებაზე მომსახურების საფასურის (20 972 ლარი) გადაუხდელობის გამო. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეს მიაჩნია, რომ მოპასუხის უკანონო გადაწყვეტილებით მიადგა მატერიალური ზიანი და ითხოვს მის ანაზღაურებას.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ განიხილა რა ზემოაღნიშნული სასარჩელო მოთხოვნები და მათი სამართლებრივი საფუძველი, 2019 წლის 17 დეკემბრის განჩინებით სპს „...ის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაუგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, შემდეგი მოტივაციით: სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიურო წარმოადგენს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიულ ორგანოს, შესაბამისად, ტერიტორიული ორგანოს მიერ შესრულებული ქმედებებიდან გამომდინარე შესაძლო ვალდებულებების წარმოშობასთან დაკავშირებით ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს არა აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანო, არამედ თავად სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, რომლის ადგილსამყოფელია ქალაქი თბილისი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 24 დეკემბრის განჩინებით სპს „...ის“ სარჩელი, მოპასუხის – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს მიმართ, საქმის მასალებთან ერთად, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია დავის ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ისეთი კრიტერიუმების შეფასება, როგორცაა მოპასუხე სუბიექტი, ვის მიმართაც წარდგენილია სასარჩელო მოთხოვნა და მისი ადგილმდებარეობა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიურო აღსრულებას უზრუნველყოფს თავისი სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების – სააღსრულებო ბიუროების მეშვეობით. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის

მიხედვით, ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ აღსასრულებელ გადაწყვეტილებებს აღსრულების ეროვნული ბიუროს სახელით უშუალოდ აღასრულებენ სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლები და აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე – აგრეთვე აღსრულების ეროვნულ ბიუროში დასაქმებული პირები და აღსრულების ეროვნული ბიუროს სტაჟიორები. სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიურო არ არის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეული, არამედ იგი არის ტერიტორიული ორგანო, რომელიც ახორციელებს სააღსრულებო წარმოებას. შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულ საქმეზე მოპასუხე სუბიექტი არის არა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, არამედ – ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიურო, რომლის ადგილსამყოფელია ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზ. №29, რის გამოც საქმეზე განსჯად სასამართლოდ დაასახელა რუსთავის საქალაქო სასამართლო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით სპს „...ის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება რუსთავის საქალაქო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად დადგენილია სარჩელის წარდგენის ვალდებულება განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს. აღნიშნული დანაწესის შესრულება უზრუნველყოფს არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვის თავიდან არიდებას და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პრო-

ცესუალური საფუძვლების გამორიცხვას.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სასამართლოებს შორის განსჯადობის წესების მიხედვით დავების განაწილება უზრუნველყოფს როგორც პროცესის ეკონომიურობისა და ოპერატიულობის პრინციპთა რეალიზაციას, ასევე სასამართლოების თანაბარ დატვირთვას, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს განსახილველი დავის თავისებურებები. მათ შორის, ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადაწყვეტის ზოგადი წესი მოწესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, რომლის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

მოცემულ შემთხვევაში სარჩელზე მოპასუხედ დასახელებულია სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიურო, რომელიც წარმოადგენს აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიულ ორგანოს. ერთი ადმინისტრაციული ორგანოს შემადგენლობაში არსებული ტერიტორიული სამსახურის მიერ განხორციელებული ქმედების ან/და ადმინისტრაციული აქტის კანონიერების თაობაზე წარდგენილ სარჩელზე ტერიტორიული განსჯადობის საკითხის განხილვისას კი, ყურადღება უნდა მიექცეს საჯარო მმართველობის განხორციელების ფორმასა და პრინციპებს, ადმინისტრაციული ორგანოს ტერიტორიული დაყოფის მიზნებს და ამ ორგანოს შემადგენლობაში არსებული ტერიტორიული სამსახურისათვის მისივე დებულებით დაკისრებულ უფლებამოსილებებს, რაც კონკრეტული დავის თავისებურებების გათვალისწინებით, წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას განსჯადი სასამართლოს განსაზღვრისათვის.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის პირველი წინადადების თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიურო აღსრულებას უზრუნველყოფს თავისი სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების – სააღსრულებო ბიუროების მეშვეობით. ანალოგიურ დათქმას შეიცავს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 6 მაისის №24 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულების“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტი. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ტერიტორიული ორგანოების – სააღსრულებო ბიუროების სისტემას, დებულებებს და საშტატო ნუსხას განსაზღვრავს აღ-

სრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე მინისტრთან შეთანხმებით. აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს დებულების მე-9 მუხლის თანახმად, ბიუროს ძირითადი მიზანია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლში მითითებული აღსასრულებელი აქტების აღსრულების უზრუნველყოფა და მოქმედი კანონმდებლობით ან ამ დებულებით განსაზღვრული სხვა ისეთი დამატებითი საქმიანობის განხორციელება, რომელიც თავსებადია მის ძირითად ფუნქციასთან, მიმართულია პირთა უფლებების დადასტურებისა და დაცვის უზრუნველყოფისაკენ და მიზნად ისახავს მართლმსაჯულების განტვირთვის, ხოლო ამავე დებულების მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს ადგილსამყოფელია ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზ. 29.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, ზემოაღნიშნული ნორმები სასამართლოს აძლევს საფუძველს დასკვნისათვის, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შემადგენლობაში არსებული ტერიტორიული ორგანოები სრულად არიან აღჭურვილი სააღსრულებო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილებით. ტერიტორიული ორგანოების ამგვარი ფუნქციური დატვირთვა, ერთი მხრივ, განპირობებულია სწორედ პირთა უფლებების დადასტურებისა და დაცვის აუცილებლობით, რათა შესაძლებელი იყოს აღსასრულებელი აქტების დროული და ეფექტური აღსრულება. მეორე მხრივ კი, ემსახურება იმ მიზანს, რომ მხოლოდ სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში (თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-10 კმ.) არ მოხდეს დავების თავმოყრა, არ შეფერხდეს მართლმსაჯულების განხორციელება როგორც უშუალოდ სააღსრულებო საქმიანობის განხორციელების პროცესში, ასევე – სასამართლოში, იმ სარჩელებთან დაკავშირებით, რომლებიც მიმართულია ტერიტორიული ორგანოს მიმართ და დავის საგანია მისი უკანონო ქმედებიდან გამომდინარე წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება.

საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გაკეთებულ განმარტებაზე, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონიდან გამომდინარე დავების განსჯადობის განსაზღვრისას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დაადგინონ თუ რას ხდის სადავოდ მოსარჩელე – აღმასრულებლის ქმედებას, თუ უშუალოდ იძულებით აუქციონს ან/და განკარგულებას აუქციონზე შექენილ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ, რაც არსებითად ცვლის სასამართლოს განსჯადობას, რამეთუ პირველ შემთხვევაში მოპასუხე მხარეს წარმოადგენს აღმასრულებელი, რომლის ადგილსამყოფელი ემთხვევა ტერიტორიული ორგანოს ადგილსამყოფელს და მასზე

ვრცელდება იმ სასამართლოს იურისდიქცია, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანო. მე-2 შემთხვევაში მოპასუხეა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო, რომლის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, რაც განაპირობებს აღნიშნული კატეგორიის დავების თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის დაქვემდებარებას“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 27 იანვრის განჩინება საქმეზე №ბს-2(გ-20)).

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ წარმოდგენილი სარჩელით სპს „...ა“ ითხოვს მისთვის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს უკანონო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. როგორც საქმიდან მასალებიდან ირკვევა, მოსარჩელის ინტერესს წამოადგენს საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთის – ავტოსატრანსპორტო საშუალების მისი მფლობელობიდან უსაფუძვლოდ გასვლით მიყენებული ზიანის ანაზღაურება ნივთის ღირებულები-სა და მიუღებელი შემოსავლის მოპასუხისათვის დაკისრებით. სპს „...ა“ ზიანის მიყენების ფაქტს უკავშირებს იმ გარემოებას, რომ ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს მიერ განხორციელებული უკანონო ქმედებით მოსარჩელის საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთი ამ დრომდე იმყოფება საჯარიმო სადგომზე და ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიურომ ვერ უზრუნველყო მისი დაბრუნება, ავტოსატრანსპორტო საშუალების საჯარიმო სადგომზე დგომის ხარჯის გადაუხდელობის გამო.

ამდენად, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მითითებას იმის თაობაზე, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოს მიერ შესრულებული საქმიანობიდან გამომდინარე, შესაძლო ვალდებულების წარმოშობის ადრესატს კონკრეტულ შემთხვევაში წარმოადგენს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო. საკასაციო პალატა ითვალისწინებს, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიულმა ორგანომ – ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიურომ, მისი დებულების შესაბამისად, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების შედეგად განახორციელა სააღსრულებო წარმოება და მოსარჩელე სწორედ ტერიტორიული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების უკანონობაზე მითითებით ითხოვს ზიანის ანაზღაურებას. შესაბამისად, საქმეზე დასახელებული მოპასუხის, მოსარჩელის ინტერესის, სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად მითითებული ფაქტობრივ-სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს იმ სასა-

მართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიურო (იურიდიული მისამართია: რუსთავი, მეგობრობის გამზ. №29), რომელსაც მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს რუსთავის საქალაქო სასამართლო.

საკასაციო პალატა ასევე მართებულად მიიჩნევს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 7 ოქტომბრის №ბს-301-297(გ-14) განჩინებაზე მითითებით გაკეთებულ შეფასებას, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ განჩინებაში განვითარებული მსჯელობა გამოიწვევს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ნებისმიერი ტერიტორიული სააღსრულებო ორგანოს მიმართ დაწყებული დავების თბილისის საქალაქო სასამართლოსადმი დაქვემდებარებას, რაც გულისხმობს დედაქალაქში დავების კონცენტრირებას, აღნიშნული კი, საკასაციო პალატის მოსაზრებით, ხელს შეუშლის ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას დავის რუსთავის საქალაქო სასამართლოსადმი კუთვნილების შესახებ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სპს „...ის“ სასარჩელო მოთხოვნები ზიანის ანაზღაურების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სპს „...ის“ სარჩელი, მოპასუხე – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს მიმართ, ზიანის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განსჯადობა მოპასუხის (სააღსრულებო ორგანოს)
აღკვეთვით მისჯვის**

**განჩინება
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-1298(გ-19)

16 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 12 სექტემბერს შ. ჩ-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მოპასუხის – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებელ მ. ბ-ის მიმართ. მოსარჩელემ მოპასუხისათვის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით შ. ჩ-ის სარჩელი მოპასუხე მ. ბ-ის მიმართ, მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 22 აპრილის განჩინებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს შორის განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად, საქმე შ. ჩ-ის სარჩელისა გამო მ. ბ-ის მიმართ, გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 4 ივნისის განჩინებით შ. ჩ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებარა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას; საქმე გადაეგზავნა განსჯად სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით შ. ჩ-ის სარჩელი განსჯადობის წესის დაცვით განსახილველად გადაეგზავნა ბა-

თუმის საქალაქო სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ ამავე სასამართლოს 2019 წლის 9 სექტემბრის განჩინებით, მოსარჩელეს დაუდგინდა ხარვეზი, დაევალა მოპასუხისა და მოთხოვნის დაზუსტება. 2019 წლის 18 სექტემბერს შ. ჩ-მა განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 სექტემბრის განჩინებით შ. ჩ-ს გაუგრძელდა ხარვეზის შევსების მიზნით დადგენილი საპროცესო ვადა და დაევალა მოპასუხე პირთა წრის დაზუსტება, სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტება.

2019 წლის 3 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა შ. ჩ-მა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით შ. ჩ-ს გაუგრძელდა ხარვეზის შევსების მიზნით დადგენილი საპროცესო ვადა და დაევალა მოპასუხე პირთა წრის დაზუსტება. 2019 წლის 24 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა შ. ჩ-მა და მოპასუხედ მიუთითა აღმასრულებელი მ. ბ-ი.

სასამართლომ მიიჩნია, რომ შ. ჩ-ის სარჩელის განსჯადი სასამართლო იყო ბათუმის საქალაქო სასამართლო, რადგან საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადობა, ასევე მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობა განისაზღვრება კანონით. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამავე ნორმის მე-2 ნაწილით, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს, ხოლო მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული გან-

ჩინებით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მესამე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლებამოვალეობებით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) განისაზღვრა დავათა ტერიტორიული განსჯადობის წესი. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის პირველი ნაწილის (საერთო განსჯადობა) თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით სხვა განსხვავებული წესია დადგენილი.

მოცემულ შემთხვევაში, სარჩელზე მოპასუხედ დასახელებულია: აჭარის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელი მ. ბ-ი. მოპასუხის მისამართია: ქ. ბათუმი, ხიმშიაშვილის ქ. №7 (მოსარჩელე უთითებს 2019 წლის 3 ოქტომბრის განცხადებაში). საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ საქმეებს, გარდა ამ კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საქმეებისა. ამავე ნორმის მე-2 ნაწილით, რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს ასევე ადმინისტრაციულ საქმეებს იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ წინამდებარე სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს მოპასუხის – აჭარის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელ მ. ბ-ის მიმართ, ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, სარჩელი გადაეგზავნა განსჯად სასამართლოს – ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 ოქტომბრის განჩინებას და 2019 წლის 18 ნოემბრის განჩინებით წამოიწყო დავა განსჯადობის თაობაზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს მოპასუხისათვის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება. მოსარჩელე მხარეს წარმოადგენს ფიზიკური პირი შ. ჩ-ი, მოსარჩელის მიერ მოპასუხედ დასახელებულია მ. ბ-ი, რომელიც არის იურიდიული პირის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებელი (იმავდროულად აჭარის რეგიონალური სტრუქტურული დანაყოფის აღმასრულებელი). მოპასუხე მ. ბ-ი მოსარჩელეს თავდაპირველ სარჩელში მოხსენიებული ჰყავს, როგორც საქართველოს სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელი, მისამართი ქ. თბილისი. ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 17 სექტემბრის განჩინებით დადგენილი ხარვეზის შევსების მიზნით, 2018 წლის 5 ოქტომბერს წარდგენილ სარჩელში მოსარჩელეს მოპასუხედ მ. ბ-თან ერთად მითითებული ყავს თბილისის სააღსრულებო ბიუროც. ამასთან, მოგვიანებით საბოლოო დაზუსტებულ განცხადებაში მოპასუხედ მითითებულია მხოლოდ აღმასრულებელი მ. ბ-ი. მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნება იმ გარემოებებს, რომ კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების აღსრულებისას აღმასრულებელმა მ. ბ-მა დაარღვია მოცემული გადაწყვეტილების სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნები, კერძოდ, ნაცვლად 400 ლარისა, მოსარჩელეს დაურიცხა 133 ლარი, შესაბამისად, მოსარჩელის მიერ სადავოდაა ქცეული გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში აღმასრულებლის მოქმედება, რაც საჯარო, კონკრეტულად კი ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ხასიათს ატარებს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველი სამართლებრივი დავა არ არის ბათუმის საქალაქო სასამართლოს განსჯადი საქმე და წინამდებარე სარჩელი ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით უნდა განიხილოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ, რადგან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია ადმინისტრაციული წესით განსახილველ დავათა სახეები, კერძოდ, მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არ-

სებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლით, რაიონული სასამართლო პირველი ინსტანციის წესით განიხილავს სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ საქმეებს, გარდა ამ კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საქმეებისა. რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს ადმინისტრაციულ საქმეებს იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლით, მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ საქმეებს; ა) (ამოღებულია) ბ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების თაობაზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით; ბ) სასამართლოში წარდგენილი შესაბამისი ოქმის საფუძველზე, სასამართლოს მიერ განხილული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით; გ) სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხების თაობაზე; დ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების თაობაზე.

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კანონით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ მე-4 მუხლის პირველი ნაწილით აღსრულების ეროვნული ბიურო არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ამავე კანონის მე-5 მუხლით აღსრულების ეროვნული ბიურო აღსრულებას უზრუნველყოფს თავისი სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების-სააღსრულებო ბიუროების მეშვეობით. სააღსრულებო ბიუროების სისტემას განსაზღვრავს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე საქართველოს იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული აღსასრულებელი გადაწყვეტილებების აღსრულებას ეროვნული ბიუროს სახელით უშუალოდ აღასრულებენ სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლები და აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე – აგრეთვე აღსრულების ეროვნული ბიუროს

სტაჟიორები (შემდგომში აღმასრულებლები).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 თავით (განსჯადობა) განსაზღვრულია დავათა ტერიტორიული განსჯადობის წესი. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის პირველი ნაწილის (საერთო განსჯადობა) თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და იგი ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამავე კოდექსით სხვა განსხვავებული წესია დადგენილი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლით განსაზღვრულია სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის პასუხიმგებლობის განსაკუთრებული წესი. კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილით სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმების ანალიზით, ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებებზე, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მხარეს წარმოადგენს ფიზიკური პირი – შ. ჩ-ი, ხოლო მის მიერ მოპასუხედ დასახელებულია მ. ბ-ი, რომელიც არის აჭარის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელი, დავის საგანია მოპასუხისათვის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება. აღნიშნული მოცემულობის გათვალისწინებით, სასამართლომ შეაფასა რა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მიიჩნია, რომ სარჩელი მიმართულია მ. ბ-ის, როგორც აღსრულების ეროვნული ბიუროს აჭარის აღმასრულებლის და არა, როგორც ფიზიკური პირის წინააღმდეგ, კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელის მხრიდან სადავოა, საჯარო მოხელის აღმასრულებელ მ. ბ-ის ქმედება, რასაც მოსარჩელის აზრით, შედეგად მოჰყვა მატერიალური და მორალური ზიანი. დავის შინაარსიდან, თავად მოსარჩელის მოთხოვნიდან, ზემოთ გაანალიზებული ნორმატიული მასალიდან და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის დათქმიდან გამომდინარე, იმის მხედველობაში მიღებით, რომ მოთხოვნა უშუალოდ მიმართულია საჯარო მოსამსახურის მიერ, საჯარო უფლებამოსილების განხორ-

ციელებისას მიყენებულ შესაძლო მატერიალურ და მორალურ ზიანზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ აჭარის სააღსრულებო ბიურო და მისი აღმასრულებელი მ. ბ-ი ამ შემთხვევაში ვერ იქნება მოპასუხე სახელმწიფოს სახელით და მოპასუხე იურიდიული პირი, სსიპ საქართველოს აღსრულების ეროვნული ბიურო, რომელმაც პასუხი უნდა აგოს მის დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო მოხელის შესაძლო გადაცდომაზე (იურიდიული მისამართი და ადგილსამყოფელია ქალაქი თბილისი). აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული დავა წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად დავას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ შ. ჩ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე. განსახილველ შემთხვევაში, შ. ჩ-ის სარჩელის საგნობრივი განსჯადობით ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საკითხი გადანყვეტილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 4 ივნისის განჩინებით და ამ ეტაპზე სასამართლოებს შორის სადავო საქმის ტერიტორიული განსჯადობა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოებს შორის განსჯადობის წესების მიხედვით დავების განაწილება ემსახურება მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობას, პროცესის ეკონომიურობას და ოპერატიულობას, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების უზრუნველყოფას, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე საჯარო მმართველობის განხორციელების ფორმა, პრინციპები, კონკრეტული დავის თავისებურებები. ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვით, მოსარჩელე მიმართავს მოპასუ-

ხის სასამართლოს. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (სსსკ-ის მე-15 მუხლი). ამდენად, საერთო წესის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც არის საქმეზე მოპასუხედ დასახელებული ფიზიკური ან იურიდიული პირის, ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელი.

საკასაციო სასამართლომ №ბს-2(გ-20) საქმეზე 2020 წლის 27 იანვარს გამოტანილ განჩინებაში განმარტა, რომ სააღსრულებო წარმოების სპეციფიკა და აღსრულების მრავალეტაპიანი პროცედურა, გამორიცხავს სააღსრულებო წარმოებიდან გამომდინარე დავებთან მიმართებით ცალსახა მიდგომის განვითარების შესაძლებლობას და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა უნდა მოხდეს დავის საგნიდან გამომდინარე, იმ გარემოების გათვალისწინებით, თუ რას ხდის მოსარჩელე სადავოდ. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აღსრულების ეროვნული ბიურო არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. იმავე კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიურო აღსრულებას უზრუნველყოფს თავისი სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების – სააღსრულებო ბიუროების მეშვეობით. ერთიანი, ცენტრალიზებული მონყობის მიუხედავად, სააღსრულებო წარმოება, კანონის საფუძველზე და კანონისავე შესაბამისად, ხორციელდება ცალკეულ ეტაპებად, რაც განაპირობებს ინდივიდუალურად აღმასრულებლის და აღსრულების ეროვნული ბიუროს უფლებამოსილებათა დისტანცირებას და შესაძლებელს ხდის, აღსრულების მრავალსაფეხურიანი ციკლიდან, ერთ-ერთი მათგანი გამოიყოს ცალკე და დაექვემდებაროს დამოუკიდებელ სამართლებრივ კონტროლს. აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი, რომელიც ადგენს კრედიტორისა და მოვალის უფლებას გაასაჩივრონ აღმასრულებლის ქმედება აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან - ასეთი ქმედების განხორციელებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში ან პირდაპირ სასამართლოში – ასეთი ქმედების განხორციელებიდან 1 თვის ვადაში. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლი განსაზღვრავს ქვემდებარეობის საკითხს და ადგენს, რომ აღსრულებას ახორციელებს ის სააღსრულებო ბიურო, რომლის სა-მოქმედო ტერიტორიაზედაც იმყოფება უძრავი ქონება.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მნიშვნელოვანია იმავე ზემოაღნიშნული კანონის მოთხოვნა, რომელიც ადგენს, რომ სა-აღსრულებო წარმოებისას ქონების შემძენისათვის საკუთრების უფლების მინიჭების შესახებ განკარგულება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და იგი გასაჩივრდება სასამართლოში. კანონის 75-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ ქონების ფასის სრულად გადახდის შემდეგ აღსრულების ეროვნული ბიურო გამოსცემს განკარგულებას აუქციონზე შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების შესახებ. ამდენად, აღმასრულებლის ცალკეული ქმედების მიღმა, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემა მიეკუთვნება უშუალოდ აღსრულების ეროვნული ბიუროს უფლებამოსილებას, ისევე როგორც აღსრულების ეროვნული ბიუროს და არა აღმასრულებლის კომპეტენციაა იძულებით აუქციონის ჩატარება (69-ე მ.), მათ შორის, კერძო აღმასრულებლის წარმოებაში არსებულ საქმეზე სა-აუქციონო მომსახურების განევა (147-ე მ.). იძულებითი აუქციონის ჩატარებას, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს კომპეტენციას მიაკუთვნებს ასევე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის №21 ბრძანებით დამტკიცებული წესი, რომლის 1.1 მუხლი ადგენს: 1. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული იძულებითი აუქციონი ტარდება ელექტრონული (ინტერნეტაუქციონის) გზით. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო, რომელიც უზრუნველყოფს აუქციონის ჩატარებას და განსაზღვრავს აუქციონზე გასატან ქონებას, საჭიროების შემთხვევაში ყოფს მას ლოტებად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ განმარტა: სასამართლოებმა „სა-აღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონიდან გამომდინარე დავების განსჯადობის განსაზღვრისას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დაადგინონ თუ რას ხდის სადავოდ მოსარჩელე – აღმასრულებლის ქმედებას, თუ უშუალოდ იძულებით აუქციონს ან/და განკარგულებას აუქციონზე შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ, რაც არსებითად ცვლის სასამართლოს განსჯადობას, რამეთუ პირველ შემთხვევაში მოპასუხე მხარეს წარმოადგენს აღმასრულებელი, რომლის ადგილსამყოფელი ემთხვევა ტერიტორიული ორგანოს ადგილსამყოფელს და მასზე ვრცელდება იმ სასამართლოს იურისდიქცია, რომლის სამოქმედო

ტერიტორიაზეც მდებარეობს აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანო. მე-2 შემთხვევაში მოპასუხეა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო, რომლის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, რაც განაპირობებს აღნიშნული კატეგორიის დავების თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის დაქვემდებარების აუცილებლობას.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარეს წარმოადგენს ფიზიკური პირი – შ. ჩ-ი, ხოლო თავად მოსარჩელის მიერ მოპასუხედ დასახელებულია მ. ბ-ი, რომელიც არის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აჭარის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელი; დავის საგანია მოპასუხისათვის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება. ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის საფუძველია ის გარემოება, რომ კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების აღსრულებისას აღმასრულებელმა მ. ბ-მა დაარღვია გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გაცემული სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნები, კერძოდ, ნაცვლად 400 ლარისა, მოსარჩელეს ჩაურიცხა 133 ლარი, შესაბამისად, მოსარჩელის მიერ სადავოდაა ქცეული გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში აღმასრულებლის მოქმედება, რომელმაც მოსარჩელის მოსაზრებით გამოიწვია მისთვის ზიანის მიყენება.

შ. ჩ-ის სარჩელი აღძრულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დავის საგანზე – ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულების ზიანის ანაზღაურების თაობაზე. საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას მის მიერ №ბს-747(გ-19) საქმეზე 2019 წლის 4 ივნისის განჩინებაში გაკეთებულ განმარტებაზე, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის შესაბამისად, ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ აღსასრულებელ გადაწყვეტილებებს აღსრულების ეროვნული ბიუროს სახელით უშუალოდ აღსრულებენ სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლები და აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, აგრეთვე აღსრულების ეროვნულ ბიუროში დასაქმებული პირები და აღსრულების ეროვნული ბიუროს სტაჟიორები (შემდგომ – აღმასრულებელი). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღმასრულებელს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსაგან მინიჭებული აქვს გარკვეული უფლებამოსილებები, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს იგი და აღნიშნული მოქმედებები ემსახურება საჯარო-სამარ-

თლებრივ მიზანს. ამასთან, აღმასრულებლის მოქმედებები გამომდინარეობს საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. ამდენად, აღმასრულებელი მ. ბ-ი განიხილება, როგორც საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირი, რომელიც აღსრულებასთან დაკავშირებული მოქმედებების განხორციელებისას მოქმედებს აღსრულების ეროვნული ბიუროს სახელით.

ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა დადგენილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავით, რომელის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით თუ სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, სახელმწიფო (მუნიციპალიტეტი) ან ის ორგანო, რომელშიც აღნიშნული მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე სახელმწიფოსთან (მუნიციპალიტეტთან) ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დავის ტერიტორიული განსჯადობის შესახებ საკითხს განსაზღვრავს სწორედ აღმასრულებელი მ. ბ-ის სამართლებრივი სტატუსი და ის გარემოება, რომ სამართლომ ზემოაღნიშნული ნორმების გამოყენებით, სარჩელის საფუძვლიანობის დასადგენად უნდა შეაფასოს მ. ბ-ის ქმედება, რომელსაც მოსარჩელე უკავშირებს მისთვის შესაძლო ზიანის მიყენების ფაქტს. საქმის მასალების თანახმად, მოპასუხედ დასახელებული მ. ბ-ი არის აჭარის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელი. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2004 წლის 16 სექტემბრის №1132 ბრძანებით დამტკიცებული „აჭარის სააღსრულებო ბიუროს“ დებულების მე-2 მუხლის შესაბამისად, აჭარის სააღსრულებო ბიურო წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს. დებულების მე-3 მუხლით ბიურო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს ნორმატიული აქტებით და წინამდებარე დებულებით. მე-6 მუხლის შესაბამისად ბიუროს სამოქმედო ტერიტორიაა ქ. ბათუმი, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ხულოს, ქედის და შუახევის რაიონები. მე-10 მუხლის თანახმად, ბიურო უფლებამოსილია ა) თავის სამოქმედო ტერიტორი-

აზე ორგანიზაცია გაუკეთოს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ გადანაცვტილებათა აღსრულებას; ბ) აწარმოოს სააღსრულებო წარმოებათა აღრიცხვა, სტატისტიკა და ანალიზი; გ) განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საქმიანობა.

ადმინისტრაციული პროცესის ინკვიზიციური ხასიათის მიუხედავად, თავად სარჩელი დისპოზიციურია, რაც ნიშნავს იმას, რომ განმცხადებელი სარგებლობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით რეგლამენტირებული უფლებით და დისპოზიციურობის პრინციპის შესაბამისად, თავად ასახელებს მოპასუხე მხარეს. განმცხადებელი მოპასუხედ ამ შემთხვევაში ასახელებს მ. ბ-ს, როგორც სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს აჭარის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელს, რაც უკვე ქმნის სარჩელის იმ სასამართლოსათვის განსჯადობით გადაგზავნის საფუძველს, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც მდებარეობს მოპასუხე.

ამდენად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დავის ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც არის საქმეზე მოპასუხედ დასახელებული პირი (სსსკ-ის 15.1 მუხ.) და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2004 წლის 16 სექტემბრის №1132 ბრძანებით დამტკიცებული „აჭარის სააღსრულებო ბიუროს“ დებულების მე-8 მუხლის შესაბამისად ბიუროს ადგილსამყოფელია: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №6, შ. ჩ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შ. ჩ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განსჯადობა პროკურატურის ორგანოსთან დავის
საგნის კავშირისა და წარმომადგენლობის
ექსკლუზიურად მინიჭებული უფლებამოსილების
გათვალისწინებით**

**განჩინება
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-86(გ-20)

18 მარტი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განიხილა ნ. ნ-ის სარჩელთან დაკავშირებით წარმომოხილი დავა განსჯადობაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 24 ოქტომბერს ნ. ნ-ემ სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – ბათუმის რაიონული პროკურატურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ბათუმის რაიონული პროკურატურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის უკანონო დაკავების, უკანონო ბრალდებისა და უკანონო პატიმრობაში ყოფნის გამო მიუღებელი ხელფასის დაკისრება 9839 ლარის ოდენობით, ასევე ზიანის სახით 10 000 ლარის და იურიდიული მომსახურებისათვის განეული ხარჯის დაკისრება, 1800 ლარის და 1000 ლარის ოდენობით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით აღნიშნული სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მართალია, მხარის მიერ მოპასუხედ მითითებულია ბათუმის რაიონული პროკურატურა, რომლის ადგილსამყოფელია ქალაქი ბათუმი, თუმცა მოპასუხე მხარის წარმომადგენლობას სასამართლო-

ში ახორციელებს საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის იურიდიული სამართველოს პროკურორი, რომლის ადგილსამყოფელიც არის ქალაქი თბილისი. ამასთან, საქმეში მოპასუხედ მითითებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, რომლის ადგილსამყოფელია ქალაქი თბილისი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და 2020 წლის 20 იანვრის განჩინებით, ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად, საქმე გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლზე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლზე და განმარტა, რომ როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში განმტკიცებულია დისპოზიციურობის პრინციპი. მოსარჩელე თავად იღებს გადაწყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ. ამ პრინციპის გამოხატულებაა ასევე მოსარჩელის უფლება, თავად აირჩიოს მოპასუხე სუბიექტი, ვის მიმართაც წარადგენს სასარჩელო მოთხოვნას. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხეებად დასახელებულნი არიან ბათუმის რაიონული პროკურატურა და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ბათუმის რაიონული პროკურატურის მისამართია: ბათუმი, ხიმშიაშვილის ქუჩა №7, ხოლო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მდებარეობს თბილისში, გორგასლის ქუჩა №16-ში.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 16.1 მუხლის თანახმად, სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამავე კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს. სასამართლოს განმარტებით, მითითებული ნორმა, დისპოზიციურობის პრინციპის მოქმედების ფარგლებში, მოსარჩელეს ანიჭებს უფლებას, თავად აირჩიოს სასამართლო, რომელსაც მიმართავს. თუ კანონით დადგენილი განსჯადობის ნესების მიხედვით, ერთზე მეტი სასამართლოს იურისდიქციას ექვემდებარება საქმე, თითოეული მათგანი შეიძლება წარმოადგენდეს განსჯად სასამართლოს. არჩევანის უფლება ენიჭება მოსარჩელეს. განსახილველ შემთხვევაში, ნ. ნ-ემ სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, ამდენად, კანონით შეთავაზებული ალტერნატივიდან მოსარჩელემ ერთ-ერთი მოპასუხის – ბათუმის რაიონული პროკურატურის ადგილმდებარეობის მიხედვით აირჩია სასამართლო. ეს

არჩევანი დაადასტურეს მოსარჩელის წარმომადგენლებმა და აფიქსირეს მოსაზრება, რომ საქმე უნდა განიხილოს ბათუმის საქალაქო სასამართლომ. ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხოლოდ მოპასუხედ დასახელებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადგილმდებარეობის გამო სარჩელის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ, ეწინააღმდეგება კანონის დანაწესს (ამ მოტივით არც მომხდარა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ საქმის გადაგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის).

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, არ უნდა იქნეს გაზიარებული ბათუმის საქალაქო სასამართლოს მთავარი არგუმენტი, დავის თბილისის საქალაქო სასამართლოსადმი დაქვემდებარების თაობაზე. მართალია, ბათუმის საქალაქო სასამართლოში დავის განხილვისას ბათუმის რაიონული პროკურატურის წარმომადგენლობა ხორციელდებოდა საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ გაცემული შესაბამისი მინდობილობით, მაგრამ იმ პირობებში, როდესაც საქმეში მოპასუხედ მონაწილეობს ადმინისტრაციული ორგანო – ბათუმის რაიონული პროკურატურა, გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს ადგილმდებარეობას არ უნდა მიენიჭოს გადაამწყვეტი მნიშვნელობა.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელის წარმომადგენელმა ცალსახად მიუთითა, რომ ზიანის მიმყენებელ ორგანოს წარმომადგენს ბათუმის რაიონული პროკურატურა და მან ამ მოტივით დაიწყო დავა სწორედ ბათუმის რაიონული პროკურატურის მიმართ. საქმის მასალებითაც დგინდება, რომ ბათუმის რაიონულ პროკურატურას აქვს უშუალო შემხებლობა დავის საგანთან და მოპასუხის სათანადოობის საკითხი სასამართლოს მხრიდან ეჭვქვეშ არ დამდგარა. ნ. ნ-ის მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეში სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებდა და სახელმწიფო ბრალდების მხარეს წარმომადგენდა სწორედ ბათუმის რაიონული პროკურატურა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 14.1 მუხლის თანახმად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებული პირების გარდა, ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილეობს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მქონე რაიმე ქმედება. ამავე კოდექსის 15.1 მუხლის თანახმად, თუ მხარე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოა, სასამართლოში მას წარ-

მოადგენს მისი ხელმძღვანელი ან ის თანამდებობის პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული აქვს წარმომადგენლობის უფლება. „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 8.1 მუხლის თანახმად, პროკურატურის სისტემას ქმნიან: ა) საქართველოს გენერალური პროკურატურა; ბ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურები; გ) თბილისის პროკურატურა; დ) საოლქო პროკურატურები; ე) რაიონული პროკურატურები; ე) სპეციალიზებული პროკურატურები – ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ორგანული კანონის 13.1 მუხლის თანახმად, რაიონული პროკურატურები პროკურატურის ორგანოებია, რომლებსაც ხელმძღვანელობენ რაიონული პროკურორები. საქალაქო სასამართლოს განმარტებით, დასახელებული ნორმებიდან და ამავე ორგანული კანონის 10.4 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, რაიონული პროკურატურა წარმოადგენს პროკურატურის სისტემაში მოქმედ ორგანოს და არა საქართველოს გენერალური პროკურატურის სტრუქტურულ დანაყოფს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ „პროკურატურის შესახებ“ ორგანული კანონის 15.2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, გენერალური პროკურორი საქართველოს ხელისუფლების ორგანოებში, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა სახელმწიფოების სამართალდამცავ სტრუქტურებთან ურთიერთობებში წარმოადგენს პროკურატურას და საჭიროების შემთხვევაში ანიჭებს პროკურატურის წარმომადგენლობის უფლებამოსილებას. ამავე ორგანული კანონის 31-ე მუხლის თანახმად, აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებასთან ურთიერთობაში პროკურატურას წარმოადგენს გენერალური პროკურორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი. საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, დასახელებული ნორმა საჭიროებს განმარტებას სასამართლოს მხრიდან, კერძოდ, უნდა განიმარტოს, გულისხმობს თუ არა სასამართლო ხელისუფლებასთან ურთიერთობაში პროკურატურის წარმომადგენლობა გენერალური პროკურორის მხრიდან იმას, რომ ნებისმიერ სასამართლო დავაზე, რომელიც წარმართება პროკურატურის საქმიანობიდან გამომდინარე, მხარეს უნდა წარმოადგენდეს გენერალური პროკურატურა და არა უშუალოდ ქმედების განმახორციელებელი ტერიტორიული ორგანო (საოლქო, ქალაქის, რაიონული). სასამართლოს მოსაზრებით, თუკი საკითხი ამგვარად გადაწყდება, სასამართლომ უნდა დაამკვიდროს ერთიანი პრაქტიკა, სადაც დაუშვებელი იქნება რაიონული პროკურატურის მოპასუხედ დასახელება და სათანადო მოპასუხედ მსგავსი კატეგორიის დავებისთვის ჩაითვლება მხოლოდ გენერალური პროკურატურა. ამ ეტაპზე, სასამართლოში განიხილება დავები,

რომლებზეც მოპასუხეს რაიონული პროკურატურა წარმოადგენს და საქმეს განიხილავს სასამართლო რაიონული პროკურატურის მდებარეობის მიხედვით. მაგალითისთვის: №1407891-3/086-166. საქმეზე, სადაც მოპასუხე იყო სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურა, საქმე განიხილა ახალციხის რაიონულმა სასამართლომ და 04.10.2016წ. გამოიტანა გადაწყვეტილება. სასამართლოს განსჯადობა ეჭვქვეშ არ დამდგარა აღნიშნულ საქმეზე მიღებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.07.2017წ. №3ბ/2117-16 გადაწყვეტილებით და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.03.2018წ. №ბს-1010-1006(კ-17) განჩინებით. ასევე, №3-8/17 საქმე განიხილა და გადაწყვიტა ბათუმის საქალაქო სასამართლომ, მოპასუხის – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის მიმართ. საქმე ამჟამად განიხილება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. საქმე №2442039-3/069-18, მოპასუხის – სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის მიმართ, განიხილა ახალციხის რაიონულმა სასამართლომ და 09.08.2018წ. მიიღო გადაწყვეტილება. სასამართლოს განსჯადობა ეჭვქვეშ არ დამდგარა აღნიშნულ საქმეზე მიღებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს 28.02.2019წ. 3ბ/2608-18 გადაწყვეტილებით, რომელიც გასაჩივრებულია საკასაციო სასამართლოში. საქმე №020310017002131776 (3/207-17) განხილული და გადაწყვეტილია ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ, სადაც მოპასუხეს, საქართველოს მთავარ პროკურატურასთან ერთად, წარმოადგენდა ზუგდიდის რაიონული პროკურატურა. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 07.02.2018წ. გადაწყვეტილებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.07.2018წ. №3/ბ-164-18 გადაწყვეტილებით და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.11.2018წ. №ბს-1034(კ-18) განჩინებით ზუგდიდის რაიონული სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობა ეჭვქვეშ არ დამდგარა.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, ზემოთ მითითებული მაგალითები ცხადყოფს, რომ ამჟამად მოქმედი სასამართლო პრაქტიკით, დასაშვებია ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის, საოლქო და რაიონული პროკურატურის, როგორც მოპასუხე სუბიექტების მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე დავის განხილვა, მათი ადგილმდებარეობის მიხედვით მოქმედი სასამართლოს მიერ. ამდენად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 10.10.2019წ. №3/734-2017 განჩინებაში ასახული განმარტება წინააღმდეგობაში მოდის აღნიშნულ სასამართლო პრაქტიკასთან. შესაბამისად, ერთიანი პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით, მიზანშეწონილია, ტერიტო-

რიული განსჯადობისა და პროკურატურის ტერიტორიული ორგანოების საპროცესო ქმედუნარიანობის საკითხი გახდეს უზენაესი სასამართლოს მსჯელობის საგანი. ამ მიზნით, სასამართლოს მოსაზრებით, უნდა დაინყოს დავა განსჯადობის თაობაზე.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილი სასამართლოს ავალდებულებს, საქმე გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების დარღვევას და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოშობს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავა ბათუმის საქალაქო სასამართლოს განსჯადია. სასამართლომ მიუთითა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილზე და განმარტა, რომ ვინაიდან სასამართლომ ერთხელ უკვე განსაზღვრა საქმის ტერიტორიული განსჯადობით სხვა სასამართლოსთვის გადაგზავნის საკითხი, ამ პროცედურის განმეორებით გამოყენება დაუშვებელია, შესაბამისად, სახეზეა განსჯადობის თაობაზე დავის დაწყების საფუძველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. ნ-ის სარჩელი, მოპასუხეების – ბათუმის რაიონული პროკურატურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად უნდა გადაეგზავნოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის და ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინებებს და მიჩნევს, რომ საქმე განსჯადობის მიხედვით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის

განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

ასკ-ის 26.3 მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. ამასთან, მითითებული მუხლით გათვალისწინებულ სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვებაში იგულისხმება სასამართლოებს შორის დავა არა მხოლოდ საგნობრივი, არამედ ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებული დავა შეეხება ტერიტორიული განსჯადობის საკითხს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ როგორც წესი, სარჩელი, საერთო პრინციპის თანახმად, წარედგინება იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო. ტერიტორიული განსჯადობის პრინციპი მომდინარეობს სსსკ-ის მე-15 მუხლიდან და მდგომარეობს შემდეგში: სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამრიგად, მითითებული მუხლის საფუძველზე, საერთო წესის მიხედვით, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული პროცესის ინკვიზიციური ხასიათის მიუხედავად, თავად სარჩელი დისპოზიციურია, რაც ნიშნავს იმას, რომ მოსარჩელე სარგებლობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით რეგლამენტირებული უფლებით და დისპოზიციურობის პრინციპის შესაბამისად, თავად ასახელებს მოპასუხე მხარეს. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელზე მოპასუხეებად დასახელებულნი არიან საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და ბათუმის რაიონული პროკურატურა. ამავდროულად, მოსარჩელემ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 16.1 მუხლით გათვალისწინებული უფლება და სარჩელის წარსადგენად აირჩია ის სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს ერთ-ერთი დასახელებული მოპასუხე – ბათუმის რაიონული პროკურატურა.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემული სარჩელის განსჯად სასამართლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიჩნევის შესაძლებლობა არ უნდა დაუკავშირდეს მხოლოდ იმ გარემოებას, რომ მოპასუხე მხარედ დასახელებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, რომლის ადგილსამყოფელსაც თბილისი წარმოადგენს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზიანის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნა უკავშირდება პროკუ-

რატურის ორგანოს მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას, რასაც შედეგად მოჰყვა მოსარჩელის უკანონო მსჯავრდება. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, თუ ვისკენ არის მიმართული სასარჩელო მოთხოვნა, სარჩელის განსჯადი სასამართლო უნდა განისაზღვროს პროკურატურის ორგანოსთან დავის საგნის კავშირის გათვალისწინებით. ამავდროულად, უნდა შეფასდეს, შესაძლებელია თუ არა დავის განხილვის დაქვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოსათვის, იმ პირობებში, როდესაც მოპასუხე მხარედ დასახელებულია ბათუმის რაიონული პროკურატურა და მისი ადგილსამყოფელია ქალაქი ბათუმი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „პროკურატურის შესახებ“ 30.11.2018წ. ორგანულ კანონზე, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს პროკურატურის უფლებამოსილებას, სტრუქტურას და საქმიანობის წესს. აღნიშნული ორგანული კანონის მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროკურატურის საქმიანობის პრინციპია ერთიანობა და ცენტრალიზაცია, ყველა ქვემდგომი პროკურორისა და პროკურატურის სხვა თანამშრომლის გენერალური პროკურორისადმი დაქვემდებარება. ორგანული კანონის 8.1 მუხლის შესაბამისად, პროკურატურის სისტემას ქმნიან: ა) საქართველოს გენერალური პროკურატურა; ბ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურები; გ) თბილისის პროკურატურა; დ) საოლქო პროკურატურები; ე) რაიონული პროკურატურები; ვ) სპეციალიზებული პროკურატურები – ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. მითითებული ორგანული კანონის 10.1 მუხლის თანახმად, გენერალური პროკურატურა არის პროკურატურის ორგანო, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური პროკურორი, ხოლო 15.1 მუხლის შესაბამისად, საქართველოს პროკურატურას ხელმძღვანელობს გენერალური პროკურორი, რომელიც ამავე მუხლის მეორე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, პასუხისმგებელია პროკურატურის საქმიანობაზე.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურა სათავეში უდგას პროკურატურის ორგანოების სისტემას და წარმართავს ქვემდგომი პროკურატურების საქმიანობას. პროკურატურა არის ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვემდგომი პროკურორი ემორჩილება ზემდგომს და ყველა პროკურორი ერთ ცენტრს – გენერალურ პროკურორს (ქვემდგომი პროკურორის დაქვემდებარება ზემდგომისადმი შეიძლება გულისხმობდეს ქვემდგომი პროკურორისათვის ზემდგომის მიერ მიცემულ მითითებათა სავალდებულო შესრულებას; ქვემდგომი პროკურორის პასუხისმგებლობას ზემდგომის წინაშე, სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას; ზემდგომი

პროკურორის უფლებას, თავის თავზე აიღოს ქვემდგომი პროკურორის უფლებამოსილებათა განხორციელება ან დააკისროს ქვემდგომ პროკურორს თავისი ცალკეული ფუნქციის შესრულება და სხვ.).

„პროკურატურის შესახებ“ ორგანული კანონის მე-15 მუხლი შეიცავს საქართველოს გენერალური პროკურორის უფლებამოსილებათა ჩამონათვალს. მათ შორის, 15.2 მუხლის, „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს გენერალური პროკურორი, საქართველოს ხელისუფლების ორგანოებში, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა სახელმწიფოების სამართალდამცავ სტრუქტურებთან ურთიერთობებში წარმოადგენს პროკურატურას და საჭიროების შემთხვევაში ანიჭებს პროკურატურის წარმომადგენლობის უფლებამოსილებას. ამავე ორგანული კანონის 31-ე მუხლის თანახმად, აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებასთან ურთიერთობაში პროკურატურას წარმოადგენს გენერალური პროკურორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი. ორგანული კანონის 10.4 მუხლი მიუთითებს ასევე გენერალურ პროკურატურაში სტრუქტურული დანაყოფების – დეპარტამენტების და სამმართველოების არსებობაზე, რომელთა მეშვეობითაც გენერალური პროკურატურა ახორციელებს თავის საქმიანობას, ხოლო დეპარტამენტებისა და სამმართველოების ცალკეულ უფლებამოსილებათა ჩამონათვალს შეიცავს საქართველოს გენერალური პროკურორის 29.10.2019წ. №4 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს გენერალური პროკურატურის დებულება“. აღნიშნული დებულების 5.2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, გენერალური პროკურატურის ერთ-ერთი სტრუქტურული დანაყოფია სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი, რომელიც ამავე დებულების 6.9 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უზრუნველყოფს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე სასამართლოში პროკურატურის წარმომადგენლობას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „პროკურატურის შესახებ“ ორგანული კანონიდან გამომდინარე, გენერალურ პროკურატურას სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეზე გააჩნია სასამართლოში წარმომადგენლობის უფლებამოსილება იმ შემთხვევაშიც, როდესაც უშუალოდ მისი ქმედებიდან არ გამომდინარეობს პირისათვის მიყენებული შესაძლო ზიანი. ამასთან, სასამართლოში წარმომადგენლობას (მათ შორის – ქვემდგომი პროკურატურების სახელით წარმომადგენლობას) გენერალური პროკურატურა უზრუნველყოფს მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულის – სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მეშვეობით. რაც შეეხება რაიონული პროკურატურებისათვის მინიჭებული უფლე-

ბამოსილებების ფარგლებს, აღნიშნული მოიცავს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების შესაძლებლობას შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში და ისინი, როგორც პროკურატურის ერთიან სისტემაში შემავალი ორგანოები, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ საპროცესო მოქმედებათა განხორციელებისას მოქმედებენ საქართველოს პროკურატურის სახელით.

მნიშვნელოვანია, რომ „პროკურატურის შესახებ“ ორგანული კანონის დანაწესთან შესაბამისობაშია საქმეში არსებული გენერალური პროკურორის 17.12.2018წ. ბრძანება, რომლითაც გენერალური პროკურორი მის მოადგილეს ანიჭებს უფლებამოსილებას, წარადგინოს საქართველოს პროკურატურა საერთო სასამართლოებში, სამოქალაქო და ადმინისტრაციული დევების განხილვასთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესებზე. ამავე ბრძანებით გენერალური პროკურორის მოადგილეს მინიჭებული აქვს შესაბამისი უფლებამოსილების საქართველოს პროკურატურის სხვა თანამშრომლისათვის გადაცემის შესაძლებლობა. საქმეში წარმოდგენილი, საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ 30.07.2019წ. გაცემული №13/55121 მინდობილობით დგინდება, რომ გენერალური პროკურორის მოადგილე ანიჭებს უფლებამოსილებას გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს პროკურორს, წარადგინოს საქართველოს პროკურატურა საერთო სასამართლოებში, ნ. ნ-ის საქმის განხილვასთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესებზე.

საქალაქო სასამართლომ, საქმის ტერიტორიული განსჯადობის სადავოდ მიჩნევის დასაბუთებისას, საყურადღებოდ მიიჩნია ის გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში, ზიანის მიმყენებელ ორგანოს წარმოადგენს ბათუმის რაიონული პროკურატურა, ბათუმის რაიონულ პროკურატურას აქვს უშუალო შემხებლობა დავის საგანთან, ნ. ნ-ის მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეში სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებდა და სახელმწიფო ბრალდების მხარეს წარმოადგენდა სწორედ ბათუმის რაიონული პროკურატურა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის იმ ტერიტორიის სასამართლოსათვის დაქვემდებარება, სადაც პროკურატურის ცალკეულმა ტერიტორიულმა ორგანომ განხორციელა ცალკეული საპროცესო მოქმედებები, გამომდინარეობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პრინციპებიდან. ასეთ შემთხვევებში, შესაბამისი რაიონის პროკურატურა გვევლინება, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე უფლებამოსილი ორგანო და სასამართლოში მიმდინარე სისხლის სამართლის საქ-

მეზე სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერი. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობა საჯარო სამართლის კანონმდებლობის ნაწილია, თუმცა იგი არ განეკუთვნება ადმინისტრაციულ კანონმდებლობას, წარმოადგენს სამართლის დამოუკიდებელ დარგს და წესრიგდება სისხლის სამართლის კანონმდებლობით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საფუძველზე პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას, პროკურატურის ორგანოების მიერ განხორციელებული ცალკეული საპროცესო ქმედებები, მათ მიერ მიღებული ცალკეული გადაწყვეტილებები, სასამართლო კონტროლს ექვემდებარება არა ადმინისტრაციული, არამედ სისხლის სამართალწარმოების მეშვეობით.

ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები განსხვავდება სისხლის სამართალწარმოების პრინციპებისაგან. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.1 მუხლით განმტკიცებული საქმის უფლებამოსილი სასამართლოს მიერ განხილვის პრინციპი უკავშირდება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლში ჩამოთვლილ ადმინისტრაციულ საქმეთა სახეებს, შესაბამისად, ცალკეულ შემთხვევებში, ამ ჩამონათვალში მითითებულ საქმეთა ინდივიდუალურობის, მათი თავისებურების გათვალისწინებით უნდა დადგინდეს, რომელ ტერიტორიაზე მდებარე სასამართლოა უფლებამოსილი საქმის განხილვაზე.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანი უკავშირდება მოსარჩელის უკანონო დაკავებით, უკანონო ბრალდებითა და უკანონო პატიმრობაში ყოფნით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას, ხოლო პროკურატურა, აღნიშნულ ადმინისტრაციულ დავაზე დასახელებულია მოპასუხედ, არა როგორც მოსარჩელის მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერი ორგანო, არამედ, სახელმწიფოს ინტერესების წარმომადგენელი ადმინისტრაციული ორგანო, მოსარჩელის სასარგებლოდ სახელმწიფოსათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების შესახებ მოთხოვნასთან მიმართებაში. მნიშვნელოვანია, რომ სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლი, რომელიც ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას ადგენს მისი მიმყენებლის ბრალის მიუხედავად. ამ მუხლის მიზანია, გამართლებული პირისათვის სახელმწიფო ორგანოების მოქმედებების შედეგად მი-

ყენებული ზიანის ანაზღაურება. ამდენად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, მიემართება პროკურატურის, როგორც სახელმწიფოს ინტერესების წარმომადგენელი ორგანოს მიმართ, უშუალოდ სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელი პროკურატურის ცალკეულ თანამდებობის პირთა ბრალეულობის დადგენის გარეშე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელემ მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების გამო, ბათუმის რაიონული პროკურატურა უშუალოდ ზიანის მიმყენებელ ორგანოდ მიიჩნია და საქმეზე დაასახელა მოპასუხე მხარედ, არ არსებობს დავის ბათუმის რაიონული სასამართლოსადმი დაქვემდებარების საფუძველი. ტერიტორიული განსჯადობის შესახებ მოცემული დავის გადაწყვეტის მიზნებისათვის, მნიშვნელობა არ აქვს რაიონული პროკურატურის მიერ სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას განხორციელებულ იმ საპროცესო მოქმედებათა შესაძლო ბრალეულობას, რამაც მოსარჩელის უკანონო მსჯავრდება გამოიწვია. „პროკურატურის შესახებ“ ორგანული კანონიდან გამომდინარე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის ექსკლუზიურად მინიჭებული უფლება-მოსილება სასამართლოში წარმომადგენლობის შესახებ, შესაბამისად, გათვალისწინებულ უნდა იქნეს სწორედ გენერალური პროკურატურის ადგილმდებარეობა და მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს იმ გარემოებას, თუ კონკრეტულად რომელ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მდებარე პროკურატურის ორგანო აწარმოებდა მოსარჩელის უკანონო მსჯავრდების გამომწვევ სისხლისსამართლებრივ დევნას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში მოპასუხედ მონაწილეობს ბათუმის რაიონული პროკურატურა, განსახილველი ადმინისტრაციული დავის განსჯად სასამართლოდ მიჩნეულ უნდა იქნეს საქართველოს გენერალური პროკურატურის ადგილმდებარეობის შესაბამისი სასამართლო. საქართველოს გენერალური პროკურორის 29.10.2019წ. №4 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს გენერალური პროკურატურის დებულების 1.2 მუხლის თანახმად, გენერალური პროკურატურის იურიდიული მისამართია: 0114, თბილისი, გორგასლის ქ. №24. ამდენად, სარჩელი განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა სასამართლოში განხილულ და მიმდინარე საქმეთა კონკრეტულ ჩამონათვალზე, რომლებზეც, განსახილველი საქმის მსგავსად, მოპასუხედ დასა-

ხელებულია რაიონული პროკურატურა და საქმე განსახილველად დაექვემდებარა რაიონული პროკურატურის მდებარეობის შესაბამის სასამართლოს. საქალაქო სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია, რომ აღნიშნულ საქმეთა განხილვის არც ერთ ეტაპზე ეჭვქვეშ არ დამდგარა ტერიტორიული განსჯადობის საკითხი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ცალკეულ შემთხვევებში სარჩელის წარდგენისას, შესაბამისი სასამართლო უზრუნველყოფს მისი განსჯადობის საკითხის შემოწმებას და არაგანსჯადობის შესახებ დასკვნის გამოტანის შემთხვევაში, დასაბუთებული განჩინებით საქმის გადაგზავნას განსჯადი სასამართლოსათვის, რაც შესაძლოა გახდეს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის წარმოშობის საფუძველი. თავის მხრივ, საკასაციო სასამართლოს მიერ ცალკეულ საქმეთა განსჯადობის საკითხის შეფასების დაწყების საფუძველია ქვედა ინსტანციის სასამართლოთა შორის წარმოშობილი დავა განსჯადობის შესახებ, მხოლოდ სათანადო ფაქტობრივი საფუძვლის არსებობის პირობებშია შესაძლებელი ტერიტორიული განსჯადობის სისწორის შემოწმება (მოცემულ შემთხვევაში, ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადაწყვეტის წინაპირობა გახდა ბათუმის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს შორის წარმოშობილი დავა განსჯადობის თაობაზე). ამდენად, მოცემული საქმის ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადაწყვეტა ვერ იქნება დამოკიდებული იმ გარემოებაზე, რომ სხვა მსგავს შემთხვევებში სასამართლოებს არ გამოუტანიათ დასკვნა სარჩელის არაგანსჯად სასამართლოში წარდგენის შესახებ და არ წარმოშობილა სასამართლოთა შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 26-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ნ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განსჯადობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის
ჩადენის აღვილის მიხედვით**

**განჩინება
საქართველოს სასჯელით**

№ბს-1(გ-20)

19 თებერვალი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2019 წლის 11 ნოემბერს სს „...ამ“ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2019 წლის 29 ოქტომბრის №2; №4; №5; №6; №8; №9; №11 და №12 დადგენილებების გაუქმება და სს „...ის“ მიმართ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმებზე – №000421, №000422, №000420, №000304, №000146, №000147, №000416 და №000423, სადავოდ გამხდარი მითითებების ნაწილში, საქმის წარმოების შეწყვეტა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 3 დეკემბრის დადგენილებით, სს „...ის“ საჩივარი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2019 წლის 29 ოქტომბრის №4 დადგენილების გაუქმებისა და №000422 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფარგლებში საქმისწარმოების შეწყვეტის მოთხოვნის ნაწილში, მიღებულ იქნა სასამართლო წარმოებაში; სს „...ის“ საჩივარი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2019 წლის 29 ოქტომბრის №2 დადგენილების გაუქმებისა და №000421 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფარგლებში საქმისწარმოების შეწყვეტის მოთხოვნის ნაწილში, განსჯადობით განსა-

ხილველად გადაეგზავნა მცხეთის რაიონულ სასამართლოს; სს „...ის“ საჩივარი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2019 წლის 29 ოქტომბრის №5 და №12 დადგენილებების გაუქმებისა და №000420 და №000423 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების ფარგლებში საქმისწარმოების შეწყვეტის მოთხოვნის ნაწილში, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს; სს „...ის“ საჩივარი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2019 წლის 29 ოქტომბრის №6 დადგენილების გაუქმებისა და №000304 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფარგლებში საქმისწარმოების შეწყვეტის მოთხოვნის ნაწილში, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს; სს „...ის“ საჩივარი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2019 წლის 29 ოქტომბრის №8 და №9 დადგენილებების გაუქმებისა და №000146 და №000147 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების ფარგლებში საქმისწარმოების შეწყვეტის მოთხოვნის ნაწილში, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს; სს „...ის“ საჩივარი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2019 წლის 29 ოქტომბრის №11 დადგენილების გაუქმებისა და №000416 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფარგლებში საქმისწარმოების შეწყვეტის მოთხოვნის ნაწილში, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ახალციხის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილია განსჯადი სასამართლოს მიერ დავის განხილვისა და გადაწყვეტის აუცილებლობის პრინციპი.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵-159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

„რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო

სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებით განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოებისა და თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა.

ამავე გადაწყვეტილების 30-ე მუხლის შესაბამისად, მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის – მცხეთის, ახალგორის, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით; 33-ე მუხლის შესაბამისად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის – რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით; მე-8 მუხლის თანახმად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის – ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით; 43-ე მუხლის თანახმად, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის, ზაღდათის, ტყიბულისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით, ხოლო მე-5 მუხლის თანახმად, ახალციხის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის – ახალციხის, ადიგენის, ასპინძისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

განსახილველ შემთხვევაში სამართალდარღვევის შესაძლო ჩადენის ადგილს წარმოადგენს წყალტუბოს რაიონი (ოქმი №000146 და №000147). ამასთან, დავა არ გამომდინარეობს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებიდან, შესაბამისად, საქმე უნდა განიხილოს სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას მოქმედმა სასამართლომ.

ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლო წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლო არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და 2019 წლის 19 დეკემბრის განჩინებით წინამდებარე საქმე სასამართლოს განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსში 2012 წლის 26 აპრილს განხორციელებული

ბულმა ცვლილებებმა აღნიშნული კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვე-პუნქტით იმპერატიულად განსაზღვრა, რომ საქმეები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე, განიხილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით, რამაც გამოიწვია ამ კატეგორიის საქმეთა სხვა სამართალწარმოების წესით განხილვა, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების წესი და ვადა დადგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე და 273-ე მუხლებით. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 234¹ მუხლით განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილება ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, შეიძლება გასაჩივრდეს რაიონის (ქალაქის) სასამართლოში.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵-159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნული კოდექსის მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯადობის შესახებ წესები. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლის საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაი-

რად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი რამდენიმე სასამართლოს განსჯადობის შემთხვევაში არჩევანის უფლებას მოსარჩელეს ანიჭებს, შესაბამისად, თუ სარჩელში დასახელებულია სხვადასხვა სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე მოპასუხე, განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა მოსარჩელის პრეროგატივა და ერთპიროვნული საპროცესო უფლებაა, რასაც იგი განსაზღვრავს სარჩელის წარდგენის დროს, ანუ ირჩევს იმ სასამართლოს, სადაც წარადგენს სარჩელს. ამასთან, მოსარჩელის მიერ არჩეული სასამართლოს შეცვლა სხვა სასამართლოთი დაუშვებელია, როგორც მოპასუხის მოთხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატივით. შესაბამისად, აღნიშნული მუხლი უზრუნველყოფს მოსარჩელის ინტერესების დაცვას.

კონკრეტულ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ, რომლის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, აღსანიშნავია ისიც, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაში ბრალეული პირის, სს „...ის“ ადგილსამყოფელია ასევე ქ. თბილისი. განსახილველ შემთხვევაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ყველა სადავო ოქმების განხილვის შემთხვევაში დაცული იქნება სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების წარმართვისა და სასამართლოს ეკონომიურობის ძირითადი პრინციპი, რაც უმნიშვნელოვანეს პრინციპებს წარმოადგენს მართლმსაჯულების განხორციელებისას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სს „...ის“ საჩივრის განსჯად სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ სამართალდარღვევის შესაძლო ადგილს წარმოადგენს წყალტუბოს რაიონი, რომელიც მდებარეობს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე, სადაც მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ საქმეებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე, საქართველოს ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით, შესაბამისად, საქმის სამართალდარღვევის შესაძლო ჩადენის ადგილის მიხედვით განხილვის შემთხვევაშიც ქუთაისის საქალაქო სასამართლო არ წარმოადგენს განსჯად სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილებისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ სს „...ას“ საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია კანონიერ სასამართლოზე ადამიანის უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხ.). კანონიერი სასამართლოს უფლება კი, სასამართლოს განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას მოითხოვს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯადობის შესახებ წესები. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილ-

სამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

წინამდებარე შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2019 წლის 29 ოქტომბრის №8-№9 დადგენილებები და სს „...ის“ მიმართ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები №000146-№000147.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ზემოაღნიშნული სადავო ოქმები შედგენილია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ იმ საფუძველზე, რომ სს „...აში“ (მდებარე: წყალტუბოს რაიონი), შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემონიშნების შედეგად გამოვლინდა დარღვევები. სს „...ას“ სახდელის სახედ განესაზღვრა გაფრთხილება და დარღვევის გამოსასწორებლად მიეცა ვადა 150 დღე. ოქმი გამოცემულია „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე.

სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხების ძირითად მოთხოვნებს და პრევენციული ღონისძიებების ზოგად პრინციპებს განსაზღვრავს „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, რომელიც არეგულირებს სახელმწიფო ორგანოების, დამსაქმებელთა, დასაქმებულთა, დასაქმებულთა წარმომადგენლებისა და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირთა უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნასთან. მითითებული ორგანული კანონის მე-17 მუხლის თანახმად, შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵-159⁹-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სა-

მართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო; ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განიხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს სპეციალურ მონესრიგებას, კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი სამართალდარღვევის საქმეებთან დაკავშირებით ტერიტორიული განსჯადობის სპეციალურ წესს ითვალისწინებს (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, კანონმდებლობით განსაზღვრული გამოწვევის გარდა (261-ე მუხ.)). დავის ტერიტორიული კუთვნილების განსაზღვრისას კი განსჯადობის სპეციალურ წესს უპირატესობა ენიჭება განსჯადობის ზოგად წესთან მიმართებით.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილზე, რომლის თანახმადაც, რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ საქმეებს, გარდა ამ კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საქმეებისა. ამავე კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად კი მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ საქმეებს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების საკითხს განიხილავს მაგისტრატი მოსამართლე და საქმე, მხოლოდ იმ შემთხვევაში ექვემდებარება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განხილვას, თუ კონკრეტულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ მაგისტრატი მოსამართლეები. მაგისტრატი მოსამართლე ეწოდება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ადმინისტრაციულ-ტე-

რიტორიულ ერთეულში. მაგისტრადი მოსამართლის სამოქმედო ტერიტორია და რაოდენობა განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით. მაგისტრადი მოსამართლეების შემადგენლობას რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

„რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილების 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრათვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის, ბაღდათის, ტყიბულისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით. იმავე მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მაგისტრადი მოსამართლეების რაოდენობა განისაზღვრავს 3 მოსამართლით, რომელთაგან: 1 მაგისტრადი მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მართალია, თბილისის საქალაქო სასამართლომ საქმე გადააგზავნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მაგრამ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოქმედებს მაგისტრადი სასამართლო, რომლის კომპეტენციაშიც შედის სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა.

ამდენად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შესაძლო სამართალდარღვევა ჩადენილი იყო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დავა ტერიტორიულად წყალტუბოს მაგისტრადი სასამართლოს ქვემდებარეა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-5, მე-6, 26-ე მუხლით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15, 390-ე, 399-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „...ის“ საჩივარი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაც-

ვის სამინისტროს მიმართ განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში.

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის აღბილის მიხედვით

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-1361(გ-19)

19 თებერვალი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2019 წლის 15 ნოემბერს შპს „...ამ“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიმართ. მოსარჩელემ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 12 სექტემბრის №77/12 გადაწყვეტილებას ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 ნოემბრის განჩინებით შპს „...ის“ სარჩელი მიჩნეულ იქნა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლით გათვალისწინებულ საჩივრად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 25 ნოემბრის დადგენილებით შპს „...ის“ საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა გურჯაანის რაიონულ სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵-159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 116-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

თბილისის საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის, 23-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის პირველი პუნქტის, 28-ე მუხლისა და 30-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოებისა და თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ ამავე გადანაცვების 13¹ მუხლის შესაბამისად, გურჯაანის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა გურჯაანის, ლაგოდეხისა და ყვარლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით. განსახილველ შემთხვევაში სამართალდარღვევის შესაძლო ჩადენის ადგილს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი წარმოადგენდა, ამასთან, დავა არ გამომდინარეობდა სასკ-ის 116-125-ე მუხლებიდან, შესაბამისად, საქმე უნდა განეხილა სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას მოქმედ სასამართლოს. ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ გურჯაანის რაიონული სასამართლო წარმოადგენდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს და შპს „...ის“ საჩივარი განსჯადობით განსახილველად გურჯაანის რაიონულ სასამართლოს უნდა გადაგზავნოდა.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 10 დეკემბრის განჩინებით მოცემული ადმინისტრაციული საქმე სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართვე-

ლოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენმა პასუხი უნდა აგოს სამართალდარღვევის ჩადენის დროს და ადგილას მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

ამავე კოდექსის 261-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵-159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო.

გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ საჩივრის ავტორის მოთხოვნას წარმოადგენდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 12 სექტემბრის №77/12 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. საჩივრის ავტორის განმარტებითა და სადავო გადაწყვეტილებით დგინდებოდა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ჩადენილი იყო ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში.

გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ საქმეებს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ მაგისტრატი მოსამართლეები. მაგისტრატი მოსამართლე ეწოდება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. მაგისტრატი მოსამართლის სამოქმედო ტერიტორია და რაოდენობა განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით. მაგისტრატი მოსამართლეების შემადგენლობას რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ამავე კანონის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, იმ ადმინისტრაციულ, ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე, აგრეთვე მისი არყოფნის შემთხვევაში, ამ კოდექსის მე-14 მუხლით გათვალისწინებული საქმეები შეიძლება განიხილოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სხვა მოსამართლემ.

გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილების 13¹ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გურჯაანის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა გურჯაანის, ლაგოდეხისა და ყვარლის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით. იმავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლეების რაოდენობა განისაზღვრა 2 მოსამართლით, რომელთაგან: 1 მაგისტრატი მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტშიც.

ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 11 იანვრის №1/34 გადაწყვეტილებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4 და 4¹ პუნქტების შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში გურჯაანის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე გამწესდა მოსამართლე იოსებ აბრამიძე.

გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ მართალია, თბილისის საქალაქო სასამართლომ საქმე გადააგზავნა იმ სასამართლოში, რომლის იურისდიქციაც ვრცელდებოდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოქმედებდა მაგისტრატი სასამართლო, რომლის კომპეტენციაშიც, მათ შორის, შედიოდა სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა. გურჯაანის რაიონული სასამართლო მხოლოდ მაგისტრატი მოსამართლის არყოფნის შემთხვევაში იყო უფლებამოსილი განეხილა მის განსჯადობას მიკუთვნებული საქმეები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, შპს „...ის“ საჩივრის განხილვაზე განსჯად სასამართლოს ლაგოდეხის მაგისტრატი სასამართლო წარმოადგენდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილებისა და გურჯაანის რაიონული სასამართლოს განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ შპს „...ის“ საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს გურჯაანის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ

სასამართლოს ლაგოდების მუნიციპალიტეტში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია კანონიერ სასამართლოზე ადამიანის უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხ.). კანონიერი სასამართლოს უფლება კი, სასამართლოს განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას მოითხოვს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე ლაგოდების მაგისტრატი სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯადობის შესახებ წესები. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

განსახილველ შემთხვევაში, შპს „...ამ“ საჩივარი წარადგინა სალიცენზიო პირობების დარღვევის გამო შპს „...ის“ დაჯარიმების შესახებ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 12 სექტემბრის №77/12 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით. საჩივრის ავ-

ტორის განმარტებითა და სადავო გადაწყვეტილებით დგინდება, რომ შესაძლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ჩადენილი არის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №23 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში საქმიანობის კონტროლის წესების“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მენარმე ვალდებულია დაიცვას „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები, აღნიშნული კანონის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტები, ასევე ეს წესები და კომისიის სხვა მოთხოვნები. მენარმის მიერ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №23 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში საქმიანობის კონტროლის წესების“ მე-5 მუხლით განსაზღვრული პირობების დარღვევა, იწვევს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას ჯარიმის სახით, რომლის ოდენობაც განსაზღვრულია შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით. მენარმის პასუხისმგებლობა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი მოთხოვნების დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით. აღნიშნული კოდექსი იმპერატიულად არ ადგენს განსჯადობის სპეციალურ წესს ამ კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებთან მიმართებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵-159⁹-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო; ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს სპეციალურ მონესრიგებას, კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი სამართალდარღვევის საქმეებთან დაკავშირებით ტერიტორიული განსჯადობის სპეციალურ წესს ითვალისწინებს (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილ-

ბა მისი ჩადენის ადგილას, კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისების გარდა (261-ე მუხ.). დავის ტერიტორიული კუთვნილების განსაზღვრისას კი განსჯადობის სპეციალურ წესს უპირატესობა ენიჭება განსჯადობის ზოგად წესთან მიმართებით.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილზე, რომლის თანახმადაც, რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ საქმეებს, გარდა ამ კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საქმეებისა. ამავე კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად კი მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ საქმეებს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

ამდენად, ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების საკითხს განიხილავს მაგისტრატი მოსამართლე და საქმე, მხოლოდ იმ შემთხვევაში ექვემდებარება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განხილვას, თუ კონკრეტულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ მაგისტრატი მოსამართლეები. მაგისტრატი მოსამართლე ეწოდება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. მაგისტრატი მოსამართლის სამოქმედო ტერიტორია და რაოდენობა განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით. მაგისტრატი მოსამართლეების შემადგენლობას რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილების

13¹ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გურჯაანის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა გურჯაანის, ლაგოდეხისა და ყვარლის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით. იმავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად კი გურჯაანის რაიონულ სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლეების რაოდენობა განისაზღვრა 2 მოსამართლით, რომელთაგან: 1 მაგისტრატი მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მართალია, თბილისის საქალაქო სასამართლომ საქმე გადააგზავნა გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მაგრამ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოქმედებს მაგისტრატი სასამართლო, რომლის კომპეტენციაშიც, მათ შორის, შედის სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა.

ამდენად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შესაძლო სამართალდარღვევა ჩადენილი იყო ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დავა ტერიტორიულად ლაგოდეხის მაგისტრატი სასამართლოს ქვემდებარეა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ეთანხმება გურჯაანის რაიონული სასამართლოს მსჯელობას, რომ შპს „...ის“ საჩივარი ლაგოდეხის მაგისტრატი სასამართლოს განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-5 და მე-6 მუხლებით, 26-ე მუხლით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა ზ ბ ი ნ ა:

1. შპს „...ის“ საჩივარი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს გურჯაანის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში.

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის აღბილის მიხედვით

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-3(გ-20)

12 თებერვალი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე;
ნ. სხირტლაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირ-
ველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქარ-
თველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3
ნაწილის საფუძველზე, განიხილა სს „...ის“ საჩივართან დაკავშირე-
ბით წარმოშობილი დავა განსჯადობაზე თბილისის საქალაქო სასა-
მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და ახალციხის
რაიონულ სასამართლოს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

2019 წლის 11 ნოემბერს სს „...ამ“ ადმინისტრაციული საჩივრით
მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – საქართველოს ოკუპირებული ტე-
რიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოცია-
ლური დაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს
ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთე-
ლობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2019 წლის 29 ოქ-
ტომბრის №2; №4; №5; №6; №8; №9; №11 და №12 დადგენილებე-
ბის გაუქმება და სს „...ის“ მიმართ შედგენილი ადმინისტრაციული
სამართალდარღვევის ოქმებზე – №000421, №000422, №000420,
№000304, №000146, №000147, №000416 და №000423, სადავოდ
გამხდარი მითითებების ნაწილში, საქმის წარმოების შეწყვეტა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიის 2019 წლის 3 დეკემბრის დადგენილებით სს „...ის“ სა-
ჩივარი -საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილ-
თა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
2019 წლის 29 ოქტომბრის №4 დადგენილების გაუქმებისა და
№000422 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფარ-
გლებში საქმისწარმოების შეწყვეტის მოთხოვნის ნაწილში, მიღე-

ბულ იქნა სასამართლო წარმოებაში; სს „...ის“ საჩივარი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2019 წლის 29 ოქტომბრის №2 დადგენილების გაუქმებისა და №000421 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფარგლებში საქმისწარმოების შეწყვეტის მოთხოვნის ნაწილში, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა მცხეთის რაიონულ სასამართლოს; სს „...ის“ საჩივარი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2019 წლის 29 ოქტომბრის №5 და №12 დადგენილებების გაუქმებისა და №000420 და №000423 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების ფარგლებში საქმისწარმოების შეწყვეტის მოთხოვნის ნაწილში, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს; სს „...ის“ საჩივარი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2019 წლის 29 ოქტომბრის №6 დადგენილების გაუქმებისა და №000304 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფარგლებში საქმისწარმოების შეწყვეტის მოთხოვნის ნაწილში, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს; სს „...ის“ საჩივარი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2019 წლის 29 ოქტომბრის №8 და №9 დადგენილებების გაუქმებისა და №000146 და №000147 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების ფარგლებში საქმისწარმოების შეწყვეტის მოთხოვნის ნაწილში, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს; სს „...ის“ საჩივარი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2019 წლის 29 ოქტომბრის №11 დადგენილების გაუქმებისა და №000416 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფარგლებში საქმისწარმოების შეწყვეტის მოთხოვნის ნაწილში, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ახალციხის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილია განსჯადი სასამართლოს მიერ დავის განხილვისა და გადაწყვეტის აუცილებლობის პრინციპი.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵-159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა,

რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

„რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებით განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოებისა და თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა.

ამავე გადაწყვეტილების 30-ე მუხლის შესაბამისად, მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის – მცხეთის, ახალგორის, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით; 33-ე მუხლის შესაბამისად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის – რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით; მე-8 მუხლის თანახმად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის – ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით; 43-ე მუხლის თანახმად, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის, ბაღდათის, ტყიბულისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით, ხოლო მე-5 მუხლის თანახმად, ახალციხის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის – ახალციხის, ადიგენის, ასპინძისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

განსახილველ შემთხვევაში სამართალდარღვევის შესაძლო ჩადენის ადგილებს წარმოადგენს თიანეთის რაიონი, დაბა სიონი (ოქმი №000421), გარდაბნის რაიონი, სოფ. მარტყოფი და სოფ. სააკაძე (ოქმი №000420 და №000423), ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. კვირიკე (ოქმი №000304), წყალტუბოს რაიონი (ოქმი №000146 და №000147), ბორჯომის რაიონი, სოფ. ჩითახევი (ოქმი №000416). ამასთან, დავა არ გამომდინარეობს ასკ-ის 116-ე-125-ე მუხლებიდან, შესაბამისად, საქმე უნდა განიხილოს სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას მოქმედმა სასამართლომ.

ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ

მცხეთის რაიონული სასამართლო, რუსთავის საქალაქო სასამართლო, ბათუმის საქალაქო სასამართლო, ქუთაისის საქალაქო სასამართლო და ახალციხის რაიონული სასამართლო წარმოადგენენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოებს.

ახალციხის რაიონული სასამართლო არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და 2020 წლის 8 იანვრის განჩინებით წინამდებარე საქმე სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსში 2012 წლის 26 აპრილს განხორციელებულმა ცვლილებებმა აღნიშნული კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით იმპერატიულად განსაზღვრა, რომ საქმეები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე, განხილვა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილ წესით, რამაც გამოორიცხა ამ კატეგორიის საქმეთა სხვა სამართალწარმოების წესით განხილვა, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების წესი და ვადა დადგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე, 272-ე და 273-ე მუხლებით. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 234¹ მუხლით განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილება ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, შეიძლება გასაჩივრდეს რაიონის (ქალაქის) სასამართლოში.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261.1 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განხილვა მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159²-159³ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

რაიონული სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნული კოდექსის მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯადობის შესახებ წესები. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლის საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი რამდენიმე სასამართლოს განსჯადობის შემთხვევაში არჩევანის უფლებას მოსარჩელეს ანიჭებს, შესაბამისად, თუ სარჩელში დასახელებულია სხვადასხვა სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე მოპასუხე, განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა მოსარჩელის პრეროგატივა და ერთპიროვნული საპროცესო უფლებაა, რასაც იგი განსაზღვრავს სარჩელის წარდგენის დროს, ანუ ირჩევს იმ სასამართლოს, სადაც წარადგენს სარჩელს. ამასთან, მოსარჩელის მიერ არჩეული სასამართლოს შეცვლა სხვა სასამართლოთი დაუშვებელია, როგორც მოპასუხის მოთხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატივით. შესაბამისად, აღნიშნული მუხლი უზრუნველყოფს მოსარჩელის ინტერესების დაცვას.

კონკრეტულ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ, რომლის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, აღსანიშნავია ისიც, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაში ბრალეული პირის, სს „...ის“ ადგილსამყოფელია ასევე ქ. თბილისი. განსახილველ შემთხვევაში ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ყველა სადავო ოქმების განხილვის შემთხვევაში დაცული იქნება სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების წარმართვისა და სასამართლოს ეკონომიურობის ძირითადი პრინციპი, რაც უმნიშვნელოვანეს პრინციპებს წარმოადგენს მართლმსაჯულების განხორციელებისას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სს „...ის“ საჩივრის განსჯად სასამართლოს წარმოად-

გენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ სამართალდარღვევის შესაძლო ადგილს წარმოადგენს ბორჯომის რ/ნ, სოფ. ჩითახევი, რომელიც მდებარეობს ახალციხის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე, სადაც მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ საქმეებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით; შესაბამისად, საქმის სამართალდარღვევის შესაძლო ჩადენის ადგილის მიხედვით განხილვის შემთხვევაშიც ახალციხის რაიონული სასამართლო არ წარმოადგენს განსჯად სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ახალციხის რაიონული სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ სს „...ის“ საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ახალციხის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს,

რომ სასკ-ის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივი, არამედ ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება ტერიტორიული განსჯადობის საკითხს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რამდენადაც ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობის, ასევე აქტის გამოცემის თუ ქმედების განხორციელების მოთხოვნით აღძრული სარჩელი ყველა შემთხვევაში მიემართება იმ ადმინისტრაციული ორგანოსადმი, რომლის კომპეტენციაშიც შედის ზემოაღნიშნული სამართალურთიერთობის გადაწყვეტა, სარჩელი, საერთო პრინციპის თანახმად, როგორც წესი შედის იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო.

ტერიტორიული განსჯადობის პრინციპი მომდინარეობს სსსკ-ის მე-15 მუხლიდან და მდგომარეობს შემდეგში: სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

ამდენად, მითითებული მუხლის საფუძველზე, საერთო წესის მიხედვით, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო. თუმცა, განსჯადობის საკითხის გადაწყვეტის პროცესში, დავის საგნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გამოირიცხოს საგამონაკლისო ნორმების გამოყენების დაშვება.

წინამდებარე შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2019 წლის 29 ოქტომბრის №11 დადგენილება და სს „...ს“ მიმართ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №000416.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ზემოაღნიშნული სადავო ოქმი შედგენილია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ იმ საფუძველით, რომ სს „...აში“ (მდებარე: ბორჯომის რ/ნ. სოფ. ჩითახევი), შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემომხმების შედეგად გამოვლინდა დარღვევები. სს „...ას“ სახდელის სახედ განესაზღვრა გაფრთხილება და დარღვევის გამოსასწორებლად მიეცა ვადა 150 დღე. ოქმი გამოცემულია „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე.

სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხების ძირითად მოთხოვნებს და პრევენციული ღონისძიებების ზოგად პრინციპებს განსაზღვრავს „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, რომელიც არეგულირებს სახელმწიფო ორგანოების, დამსაქმებელთა, დასაქმებულთა, დასაქმებულთა წარმომადგენლებისა და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირთა უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნასთან. მითითებული ორგანული კანონის 17.1 მუხლის თანახმად, შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი არ ადგენს განსჯადობის სპეციალურ წესს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ გამოყენებული უნდა იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵-159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო; ამავე მუხლის შესაბამისად, კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და კოდექსის 171-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები განიხილება მათი ჩადენის ადგილას ან დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, განსახილველი სამართალდარღვევა არ ექცევა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლით განსაზღვრულ საგამონაკლისო ნორმებში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, ამავე მუხლის საფუძველზე, განხილული უნდა იყოს მისი ჩადენის ადგილას. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე დავების განხილვისათვის განსაზღვრული სპეციალური წესი, საკასაციო სასამართლოს არ აძლევს საფუძ-

ველს გაიზიაროს ახალციხის რაიონული სასამართლოს მითითება საქმის თბილისის საქალაქო სასამართლოსადმი ქვემდებარეობის თაობაზე.

ამავდროულად საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლზე, რომელიც განსაზღვრავს მაგისტრატი მოსამართლეების განსჯადი საქმეების კატეგორიას. აღნიშნული მუხლის თანახმად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმება, მიეკუთვნება მაგისტრი მოსამართლის განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ სს „...ის“ ობიექტი, რომელშიც გამოვლინდა შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევა, მდებარეობს ბორჯომის რ/ნ-ის, სოფ. ჩითახევეში.

„რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილების მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ახალციხის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის – ახალციხის, ადიგენის, ასპინძისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით. ახალციხის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვრა 7 მოსამართლით (მუხლი 5.3). ახალციხის რაიონულ სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლეების რაოდენობა განისაზღვრა 3 მოსამართლით, რომელთაგან: ა) 1 მაგისტრატი მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს ადიგენის მუნიციპალიტეტში; ბ) 1 მაგისტრატი მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს ასპინძის მუნიციპალიტეტში; გ) 1 მაგისტრატი მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს ბორჯომის მუნიციპალიტეტში (მუხლი 5.4).

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი მიუთითებს, ყოველი პირი უნდა განსაჯოს იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. სასკ-ის 26-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციულ სასამართლო წარმოებაში განსჯადობის საკითხს ენიჭება არა დისპოზციური, არამედ იმპერატიული ხასიათი, განსჯადობა განიხილება საჯარო წესრიგის შემადგენელ ნაწილად, მხარეების შეთანხმება სასამართლო განსჯა-

დობაზე (პროროგაცია) ან რომელიმე სასამართლოს იურისდიქციის გამორიცხვა (დეროგაცია) არ დაიშვება, მსგავსი შეთანხმებები არ ცვლის კანონმდებლობით დადგენილ განსჯადობის იმპერატიულ წესს.

მითითებული მუხლების მოთხოვნა და სამართალდარღვევის თაობაზე საქმეთა განხილვის თავისებურება საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაადგინოს, რომ დავა ტერიტორიულად განსახილველად ექვემდებარება არა ახალციხის რაიონულ სასამართლოს, არამედ ახალციხის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, რის გამოც სს „...ის“ საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ახალციხის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოს ბორჯომის მუნიციპალიტეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15, 390-ე და 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „...ის“ საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ახალციხის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოს ბორჯომის მუნიციპალიტეტში;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განსჯადობა ადმინისტრაციული
სამართალდამრღვევის საცხოვრებელი ადგილის
მიხედვით**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-241(გ-20)

22 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე;
ნ. სხირტლაძე**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განიხილა ნ. ა-ის საჩივრის გამო წარმოშობილი დავა განსჯადობის თაობაზე ახალციხის რაიონულ სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

2019 წლის 13 სექტემბერს ნ. ა-მა საჩივრით მიმართა ახალციხის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ და მოითხოვა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოს №... საჯარიმო ქვითარისა და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2019 წლის 4 სექტემბრის MIA 4 19 02344187 დადგენილების გაუქმება.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 3 ოქტომბრის დადგენილებით ნ. ა-ის საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოს №... საჯარიმო ქვითარი და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2019 წლის 4 სექტემბრის MIA 4 19 02344187 დადგენილება.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 3 ოქტომბრის დადგენილება გაასაჩივრა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა, რომელმაც გასაჩივრებული დადგენილების გაუქმება და ნ. ა-ის საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2019 წლის 28 ოქტომბრის დადგენილებით შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთს მთავარი სამმართველოს საჩივარი ახალციხის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 3 ოქტომბრის დადგენილებაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 3 ოქტომბრის დადგენილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 11 თებერვლის განჩინებით ნ. ა-ის საჩივარი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოს №... საჯარიმო ქვითრისა და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2019 წლის 4 სექტემბრის MIA 4 19 02344187 დადგენილების გაუქმების თაობაზე, განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

რაიონული სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2012 წლის 26 აპრილს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, აღნიშნული კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტით იმპერატიულად განისაზღვრა, რომ საქმეები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე, განიხილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით, რამაც თავის მხრივ გამორიცხა ამ კატეგორიის საქმეთა სხვა (სასარჩელო) სამართალწარმოების წესით განხილვა, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების წესი და ვადა დადგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე და 273-ე მუხლებით.

კონკრეტულ შემთხვევაში სადავოა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს 2019 წლის 1 აგვისტოს №... საჯარიმო ქვითრისა და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2019 წლის 4 სექტემბრის MIA 4 19 02344187 დადგენილების კანონიერების შემოწმება. ამასთან, საქმის წარმოება მიმდინარეობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსისათვის დადგენილი სამართალწარმოების პრინციპის დაცვით. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საჩივრის ავტორის მიმართ სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამარ-

თაღდარღვევათა კოდექსის 121-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 125-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159^ა-159^ბ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო; ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დგინდება, რომ ნ. ა-ის საცხოვრებელი მისამართია – დაბა ბაკურიანი, ...ის ქ. №... . სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია ქ. თბილისში, დადგენილია, ისიც, რომ საჩივრის ავტორმა საჩივარი წარადგინა საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში. გასაჩივრებული შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2019 წლის 4 სექტემბრის MIA 4 19 02344187 დადგენილების თანახმად, მხარეს განემართა დადგენილების გასაჩივრების წესი. კერძოდ, დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში – ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს 261-ე მუხლში მითითებული ზოგადი წესი (სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილის მიხედვით) და წარდგენილი საჩივარი განხილული უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი მიხედვით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 28 თებერვლის დადგენილებით ნ. ა-ის საჩივარი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან. ამდენად, თუ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები არ არის მოწესრიგებული მითითებული კოდექსით, გამოყენებულ უნ-

და იქნეს სხვა საკანონმდებლო აქტები, მათ შორის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ნორმებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის მიხედვით, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს. შესაბამისად, მითითებული მუხლი რამდენიმე სასამართლოს განსჯადობის შემთხვევაში არჩევის უფლებას მოსარჩელეს ანიჭებს. განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა მოსარჩელის პრეროგატივაა და ერთპიროვნული საპროცესო უფლებაა, რასაც იგი განსაზღვრავს სარჩელის წარდგენის დროს, ანუ ირჩევს იმ სასამართლოს, სადაც წარადგენს სარჩელს. ამასთან, მოსარჩელის მიერ არჩეული სასამართლოს შეცვლა სხვა სასამართლოთი დაუშვებელია, როგორც მოპასუხის მოთხოვნით, ისე – სასამართლოს ინიციატივით. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი (განსჯადობა მოსარჩელის არჩევით) უზრუნველყოფს მოსარჩელის ინტერესების დაცვას.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების წესი და ვადა დადგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე და 273-ე მუხლებით. აღნიშნული საკანონმდებლო აქტის 272-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება სხვაგვარი ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან), რის შემდეგაც საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს რაიონის (ქალაქის) სასამართლოში.

საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები განიხილება მისი ჩადენის ადგილის მიხედვით, თუმცა იმ შემთხვევაში თუკი პირის მიერ ჩადენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-125-ე მუხლებით განსაზღვრული სამართალდარღვევა, კანონმდებლობა ითვალისწინებს ალტერნატიულ განსჯადობას. კონკრეტულ შემთხვევაში, ნ. ა-ის მიმართ 2019 წლის 1 აგვისტოს შედგენილ იქნა №... ელექტრონული დადგენილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ფაქტზე. შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა შე-

საძლებელია, როგორც სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას, ასევე – დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. დადგენილია, რომ შესაძლო სამართალდარღვევის ჩადენის ადგილია ქ. თბილისი, ხოლო რაც შეეხება დამრღვევის საცხოვრებელ ადგილს, როგორც ნ. ა-ი საჩივარში მიუთითებს, არის ბორჯომი, დაბა ბაკურიანი, ...ის ქ. №... . დადგენილია, რომ საჩივრის ავტორმა გამოიყენა კანონით მისთვის მინიჭებული უფლება სასამართლოს არჩევის შესახებ და დავის გადასაწყვეტად მიმართა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განსჯად ახალციხის რაიონულ სასამართლოს, თუმცა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 11 თებერვლის განჩინებით, ნ. ა-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადმოეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას იმ საფუძველზე, რომ სამართალდარღვევის ჩადენის ადგილს წარმოადგენს ქ. თბილისის ტერიტორია, ამასთანავე, საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა სხდომაზე დააფიქსირა პოზიცია, რომ იგი არ ეთანხმებოდა საქმის თბილისის საქალაქო სასამართლოში გადაგზავნას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად ნ. ა-ის საჩივარი, თანდართული მასალებით უნდა გადაეცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე ახალციხის რაიონული სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ ნ. ა-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ახალციხის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს

გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასკ-ის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივი, არამედ ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება ტერიტორიული განსჯადობის საკითხს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რამდენადაც ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობის, ასევე აქტის გამოცემის თუ ქმედების განხორციელების მოთხოვნით აღძრული სარჩელი ყველა შემთხვევაში მიემართება იმ ადმინისტრაციული ორგანოსადმი, რომლის კომპეტენციაშიც შედის ზემოაღნიშნული სამართალურთიერთობის გადაწყვეტა, სარჩელი, საერთო პრინციპის თანახმად, როგორც წესი შედის იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო.

ტერიტორიული განსჯადობის პრინციპი მომდინარეობს სსსკ-ის მე-15 მუხლიდან და მდგომარეობს შემდეგში: სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს. შესაბამისად, მითითებული მუხლი რამდენიმე სასამართლოს განსჯადობის შემთხვევაში არჩევანის უფლებას მოსარჩელეს ანიჭებს. განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა მოსარჩელის პრეროგატივა და ერთპიროვნული საპროცესო უფლებაა, რასაც იგი განსაზღვრავს სარჩელის წარდგენის დროს, ანუ ირჩევს იმ სასამართლოს, სადაც წარადგენს სარჩელს. ამასთან, მოსარჩელის მიერ არჩეული სასამართლოს შეცვლა სხვა სასამართლოთი დაუშვებელია როგორც მოპასუხის მოთხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატივით. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი

(განსჯადობა მოსარჩელის არჩევით) უზრუნველყოფს მოსარჩელის ინტერესების დაცვას.

წინამდებარე შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოს №... საჯარიმო ქვითრისა და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2019 წლის 4 სექტემბრის MIA 4 19 02344187 დადგენილების კანონიერების შემოწმება. დადგენილია, რომ ნ. ა-ის მიმართ 2019 წლის 1 აგვისტოს გამოწერილი №... ელექტრონული საჯარიმო ქვითარი შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121.1 მუხლის მიხედვით, ქ. თბილისში, ხოლო ნ. ა-ის საცხოვრებელი ადგილია დაბა ბაკურიანი, ...ის ქ. №... .

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, სასამართლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის კანონიერების საკითხს იხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵–159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო; ხოლო ამავდროულად მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განიხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამდენად, კანონმდებლობა 121-ე მუხლთან დაკავშირებით ითვალისწინებს ალტერნატიულ განსჯადობას, კერძოდ, 121-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა შესაძლებელია როგორც სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას, ასევე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. გასაჩივრებულ აქტს საფუძვლად უდევს 121-ე მუხლი. ნ. ა-ის მიმართ №... საჯარიმო ქვითარი შედგენილია ქ. თბილისში, ნ. ა-ის საცხოვრებელ ადგილს კი წარმოადგენს დაბა ბაკურიანი, ...ის ქ. №... . მან საჩივრით მიმართა ახალციხის რაიონულ სასამართლოს. შესაბამისად, ნ. ა-ი უფლებამოსილი იყო გამოეყენებინა სასამართლოს არჩევის უფლება და მიემართა სასამართლოსათვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თანხმდება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა კოლეგიის მსჯელობას, რომ საჩივრის ავტორმა – ნ. ა-მა გამოიყენა კანონით მისთვის მინიჭებული უფლება სასამართლოს არჩევის შესახებ.

ამავდროულად საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლზე, რომელიც განსაზღვრავს მაგისტრატი მოსამართლეების განსჯადი საქმეების კატეგორიას. აღნიშნული მუხლის თანახმად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის კანონიერების შემოწმება მიეკუთვნება მაგისტრი მოსამართლის განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ დავის საგანია შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოს №... საჯარიმო ქვითრისა და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2019 წლის 4 სექტემბრის MIA 4 19 02344187 დადგენილების კანონიერების შემოწმება, რომელიც ზემოაღნიშნული მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, მაგისტრატი მოსამართლეების განსჯადი საქმეების კატეგორიას განეკუთვნება.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი მიუთითებს, რომ ყოველი პირი უნდა განსაჯოს იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. სასკ-ის 26-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული სასამართლო წარმოებაში განსჯადობის საკითხს ენიჭება არა დისპოზიციური, არამედ იმპერატიული ხასიათი, განსჯადობა განიხილება საჯარო წესრიგის შემადგენელ ნაწილად, მხარეების შეთანხმება სასამართლო განსჯადობაზე (პროროგაცია) ან რომელიმე სასამართლოს იურისდიქციის გამორიცხვა (დეროგაცია) არ დაიშვება, მსგავსი შეთანხმებები არ ცვლის კანონმდებლობით დადგენილ განსჯადობის იმპერატიულ წესს.

„რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილების მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ახალციხის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის – ახალციხის, ადიგენის, ასპინძისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით. ახალ-

ციხის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვრა 7 მოსამართლით (მუხლი 5.3). ახალციხის რაიონულ სასამართლოში მაგისტრეტი მოსამართლეების რაოდენობა განისაზღვრა 3 მოსამართლით, რომელთაგან: ა) 1 მაგისტრეტი მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს ადიგენის მუნიციპალიტეტში; ბ) 1 მაგისტრეტი მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს ასპინძის მუნიციპალიტეტში; გ) 1 მაგისტრეტი მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს ბორჯომის მუნიციპალიტეტში (მუხლი 5.4).

შესაბამისად, აღნიშნული მუხლების მოთხოვნიდან და სამართალდარღვევის თაობაზე საქმეთა განხილვის თავისებურებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მითითებით, მართალია, ნ. ა-ს არ მიუმართავს უშუალოდ ახალციხის რაიონული სასამართლოს მაგისტრეტი სასამართლოსათვის ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მაგრამ მან ახალციხის რაიონული სასამართლოსადმი მიმართვით არაპირდაპირ გამოხატა თავის საცხოვრებელ ადგილთან ტერიტორიულად ახლოს მყოფ სასამართლოში საჩივრის აღძვრის და განხილვის ნება, საქმის მასალებით დასტურდება, რომ საჩივრის ავტორის – ნ. ა-ის საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს დაბა ბაკურიანი, ...ის ქ. №..., რომელიც შედის დაბა ბორჯომის მუნიციპალიტეტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ნ. ა-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ახალციხის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოს ბორჯომის მუნიციპალიტეტში. სასამართლოებს შორის განსჯადობის საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, პროცესის ეკონომიურობას და ოპერატიულობას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ნ. ა-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ახალციხის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოს ბორჯომის მუნიციპალიტეტში;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განსჯადობა სამართალდამრღვევის საცხოვრებელი
ადგილის მიხედვით**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-295(გ-20)

24 ივნისი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ა. წულაძე**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირ-ველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განიხილა გ. რ-ის საჩივართან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წყალტუბოს მაგისტრატ სასამართლოს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

2019 წლის 11 დეკემბერს გ. რ-ემ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის №..., 19/11/2019 საჯარიმო ქვითრისა და MIA 3 19 03259964, 5/12/2019 დადგენილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

გ. რ-ე საჩივარში მიუთითებს, რომ სასამართლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს განიხილავს იმ ადგილის მიხედვითაც, სადაც ცხოვრობს ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პატრულ-ინსპექტორის №..., 19/11/2019 საჯარიმო ქვითრის თანახმად, გ. რ-ე ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-10 ნაწილის შენაბამისად და შეეფარდა ჯარიმა 250 ლარის ოდენობით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პატრულ-ინსპექტორის მიერ გამოცემული №..., 19/11/2019 საჯარიმო ქვითარი 2019 წლის 22 ნოემბერს მსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორთან გა-

ასაჩივრა გ. რ-ემ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის MIA 3 19 03259964, 5/12/2019 დადგენილებით, გ. რ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა №..., 19/11/2019 საჯარიმო ქვითარი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 28 იანვრის განჩინებით, გ. რ-ის საჩივარი №..., 19/11/2019 საჯარიმო ქვითრისა და MIA 3 19 03259964, 5/12/2019 დადგენილების გაუქმების თაობაზე გადაეგზავნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი სასამართლოს 2020 წლის 11 მარტის განჩინებით, გ. რ-ის საჩივარი №..., 19/11/2019 საჯარიმო ქვითრისა და MIA 3 19 03259964, 5/12/2019 დადგენილების გაუქმების თაობაზე გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ვანაიდან სამართალდარღვევის სავარაუდო ჩადენის ადგილს წარმოადგენს ქ. თბილისი და მოწინააღმდეგე მხარე შუამდგომლობს საქმის განსახილველად სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით გადაგზავნაზე, საქმე უნდა გადაეგზავნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 6 აპრილის დადგენილებით, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქმე გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის

განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ გ. რ-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივი, არამედ ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება ტერიტორიული განსჯადობის საკითხს.

ტერიტორიული განსჯადობის პრინციპი მომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლიდან და მდგომარეობს შემდეგში: სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოქალაქის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს. შესაბამისად, მითითებული მუხლი რამდენიმე სასამართლოს განსჯადობის შემთხვევაში არჩევანის უფლებას მოსარჩელეს ანიჭებს. განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა მოსარჩელის პეროგატივა და ერთპიროვნული საპროცესო უფლებაა, რასაც იგი განსაზღვრავს სარჩელის წარდგენის დროს, ანუ ირჩევს იმ სასამართლოს, სადაც წა-

რადგენს სარჩელს. ამასთან, მოსარჩელის მიერ არჩეული სასამართლოს შეცვლა სხვა სასამართლოთი დაუშვებელია როგორც მოპასუხის მოთხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატივით. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი (განსჯადობა მოსარჩელის არჩევით) უზრუნველყოფს მოსარჩელის ინტერესების დაცვას.

წინამდებარე შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის №..., 19/11/2019 საჯარიმო ქვითრისა და MIA 3 19 03259964, 5/12/2019 დადგენილების ბათილად ცნობა. ამასთან, დადგენილია, რომ გ. რ-ის მიმართ გამოწერილი №..., 19/11/2019 ელექტრონული საჯარიმო ქვითარი შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-10 ნაწილის მიხედვით, ქ. თბილისში, ხოლო გ. რ-ის საცხოვრებელი ადგილია წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვიტირი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის კანონიერების საკითხს იხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵-159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო; ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განიხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამდენად, კანონმდებლობა 125-ე მუხლთან დაკავშირებით ითვალისწინებს ალტერნატიულ განსჯადობას, კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა შესაძლებელია როგორც სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას, ასევე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. გასაჩივრებულ აქტს საფუძვლად უდევს 125-ე მუხლი, გ. რ-ის საცხოვრებელ ადგილს კი წარმოადგენს წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვიტირი. მან საჩივრით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს. შესაბამისად, გ. რ-ე უფლება-მოსილი იყო გამოეყენებინა სასამართლოს არჩევის უფლება და მი-

ემართა სასამართლოსათვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამავდროულად საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლზე, რომელიც განსაზღვრავს მაგისტრატი მოსამართლეების განსჯადი საქმეების კატეგორიას. აღნიშნული მუხლის თანახმად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის კანონიერების შემოწმება მიეკუთვნება მაგისტრი მოსამართლის განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ დავის საგანია შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის №..., 19/11/2019 საჯარიმო ქვითრისა და MIA 3 19 03259964, 5/12/2019 დადგენილების კანონიერების შემოწმება, რომელიც ზემოაღნიშნული მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, მაგისტრატი მოსამართლეების განსჯადი საქმეების კატეგორიას განეკუთვნება.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი მიუთითებს, რომ ყოველი პირი უნდა განსაჯოს იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციულ სასამართლო წარმოებაში განსჯადობის საკითხს ენიჭება არა დისპოზიციური, არამედ იმპერატიული ხასიათი, განსჯადობა განიხილება საჯარო წესრიგის შემადგენელ ნაწილად, მხარეების შეთანხმება სასამართლო განსჯადობაზე (პროროგაცია) ან რომელიმე სასამართლოს იურისდიქციის გამორიცხვა (დეროგაცია) არ დაიშვება, მსგავსი შეთანხმებები არ ცვლის კანონმდებლობით დადგენილ განსჯადობის იმპერატიულ წესს.

„რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის №3 გადაწყვეტილების 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის, ბაღდათის, ტყიბულისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით. ამავე გადაწყვეტილების მე-6 პუნქტის თანახმად, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლეების რაოდენობა განისაზღვრა 3 მოსამართლით, რომელთაგან, აღნიშნული პუნქტის

„გ“ ქვეპუნქტის თანახმად, 1 მაგისტრეტი მოსამართლე უფლება- მოსილებას განახორციელებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მი- იჩნევს, რომ გ. რ-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნ- და დაექვემდებაროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მაგის- ტრატ სასამართლოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად- მინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 და 26-ე მუხლით, სა- ქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პირველი, მე-2 და 261-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. რ-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდე- ბაროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატ სასამარ- თლოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლო- თა და არ საჩივრდება.

განსჯადობა მოსარჩელის არჩევანის შესაბამისად

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-1051(გ-19)

16 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

ბ. მ-ემ 2019 წლის 22 მაისს საჩივრით მიმართა თბილისის საქა- ლაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოწი-

ნააღმდეგე მხარის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ. საჩივრის ავტორმა საპატრულო პოლიციის 2019 წლის 11 მაისის № 458056 საჯარიმო ქვითრის გაუქმება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 8 ივლისის დადგენილებით ბ. მ-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში 2012 წლის 26 აპრილს განხორციელებული ცვლილებების შედეგად აღნიშნული კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტით იმპერატიულად განისაზღვრა, რომ საქმეები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე, განიხილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით, რამაც გამოიწვია ამ კატეგორიის საქმეთა სხვა (სასარჩელო) სამართალწარმოების წესით განხილვა, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების წესი და ვადა დადგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე და 273-ე მუხლებით. ხსენებული საკანონმდებლო აქტის 272-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 234¹ მუხლით განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილება ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს რაიონის (ქალაქის) სასამართლოში. სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილია განსჯადი სასამართლოს მიერ დავის განხილვისა და გადაწყვეტის აუცილებლობის პრინციპი. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵-159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სა-

ქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ საქმეებს, გარდა ამ კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საქმეებისა. ამავე კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ საქმეებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე გამოტანილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შესახებ, ხოლო მე-5 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს ასევე ადმინისტრაციულ საქმეებს იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე. განსახილველ შემთხვევაში საჩივრის ავტორის საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს გარდაბანი, ..., ... №2, შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლო წარმოადგენს ბ. მ-ის საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ ბ. მ-ის საჩივარი განსჯადობით რუსთავის საქალაქო სასამართლოს ქვემდებარეა.

რუსთავის საქალაქო სასამართლო არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებას და 2019 წლის 2 აგვისტოს განჩინებით წამოიწყო დავა განსჯადობის შესახებ.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის 6² ნაწილით. სავარაუდო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილს კი წარმოადგენს ქალაქი თბილისი, ისნის ტერიტორია. სასამართლოს განმარტებით მითითებული გარემოება დასტურდება რუსთავის საქალაქო სასამართლოში 2019 წლის 2 აგვისტოს №11731 განცხადებით წარმოდგენილი მასალებით, სადაც აღნიშნულია, რომ ოქმი №ენ458056 შედგენილია ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ, ხოლო დარღვევა ჩადენილია ისანი-სამგორის რაიონში. ამდენად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის შესაბამისად, მო-

ცემული საქმის განსჯად სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოსა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად.

მოცემულ შემთხვევაში, სპეციალური კანონი – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლი ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის განსჯადობას. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵-159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო, ხოლო მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ბ. მ-ეს ადმინისტრაციული სახდელი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის 6² ნაწილის საფუძველზე აქვს დაკისრებული. საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ სამართალდარღვევის ჩადენის ადგილია – ქალაქი თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი; საჩივრის ავტორის იურიდიული მისამართია – გარდაბანი,

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები ადგენს საჩივრის ალტერნატიულ განსჯადობას – სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის ან სამართალდამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორმა აირჩია განსჯადი სასამართლო და საჩივარი წარადგინა სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით. საკასაციო სასამართლო იზიარებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის №ბს-614-611(გ-17) და 2017 წლის 17 ოქტომბრის №ბს-522-519(გ-17) განჩინებებში ჩამოყალიბებულ სამართლებრივ დასკვნებსა და განმარტებებზე რუსთავის საქალაქო სასამართლოს მითითებას და მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის შესაბამისად, განსჯადობის საკითხი უნდა გადაწყდეს საჩივრის ავტორის არჩევანის შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ბ. მ-ის საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, მე-2 მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ბ. მ-ის საჩივარი განსჯადობით დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა მოსარჩელის არჩევანის შესაბამისად

განჩინება საქართველოს სასჯელით

№ბს-934(გ-19)

16 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

ო. ხ-მა 2019 წლის 10 მაისს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2019 წლის 22 აპრილის №სდ 006052 ელექტრონული დადგენილების, 2019 წლის 30 აპრილის №ენ 409206 საჯარიმო ელექტრონული ქვითრის, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველოს უფროსის 2019 წლის 3 მაისის №მია 01901128418 დადგენილების (რადგან №სდ00652 ელექტრონული დადგენილების საფუძველზე აეკრძალა ავტომანქანის მართვა 2019 წლის 22 აპრილიდან 6 თვის ვადით და ჩამოერთვა მართვის მოწმობა, რომელიც მიზანშეწონილია შეიცვალოს ჯარიმით) ბათილად ცნობა; საჩივრის განხილვამდე სახდელის დადებისა და საურავის დარიცხვის შეჩერება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 13 მაისის განჩინებით ო. ხ-ის სარჩელი მიჩნეულ იქნა საჩივრად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 20 მაისის დადგენილებით ო. ხ-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა გორის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილია განსჯადი სასამართლოს მიერ დავის განხილვისა და გადაწყვეტის აუცილებლობის პრინციპი. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ ადმინისტრაციული სამართალ-

დარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵-159⁶ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ საქმეებს, გარდა ამ კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საქმეებისა. ამავე კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ საქმეებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე გამოტანილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შესახებ, ხოლო მე-5 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს ასევე ადმინისტრაციულ საქმეებს იმ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე. განსახილველ შემთხვევაში შესაძლო სამართალდარღვევის ჩადენის ადგილს წარმოადგენს გორი, სასამართლომ მიიჩნია, რომ გორის რაიონული სასამართლო წარმოადგენს ო. ხ-ის საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს. ამასთან, სადავო ადმინისტრაციული აქტი მიღებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს მიერ. ასევე, დავის საგნის სფეციფიკიდან გამომდინარე, საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, შესაძლებელია საჭირო გახდეს სხვადასხვა საპროცესო მოქმედების განხორციელება და სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით საქმის განხილვა, უფრო ეფექტურს გახდის მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2018 წლის 17 მაისის №ბს-284-284(გ-18) განჩინებაში, რომელიც ეხებოდა სასამართლოთა შორის განსჯადობის საკითხის გადაწყვეტას განმარტა, რომ „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით (საერთო განსჯადობა) ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი წესისა და ამავე კოდექსის მე-16 მუხლის (განსაკუთრებული განსჯადობა) მე-2 და მე-3 ნაწილებით დადგენილი განსჯადობის სპეციალური წესის კონკურენციის დროს, უპირატესობა სწორედ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის დანაწე-

სებს უნდა მიენიჭოს“. სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორიულ განსჯადობაზე, რომლის მიხედვით კონკრეტულ ტერიტორიაზე სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით გადანყვეტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორიულ საზღვრებში მდებარეობს უძრავი ქონება ან არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. რაც შეეხება ადმინისტრაციულ კატეგორიის საქმეთა სასამართლოს ტერიტორიულ განსჯადობას, სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე შედის იმ ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენციაში, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება აკეთებს კონკრეტულ ჩანაწერს, რომ „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განხილება მისი ჩადენის ადგილას“, თუმცა მეორე მუხლი ასევე უშვებს შესაძლებლობას/გამონაკლისს „დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით“ ამ კოდექსის 116-125-ე მუხლებით გათვალისწინებული საქმეების განხილვის შესახებ, თუმცა სასამართლომ მიიჩნია, რომ უპირატესობა სწორედ იმ, რომ პირველ ნაწილს უნდა მიენიჭოს, რადგან როგორც უკვე აღინიშნა პირველი ნაწილი უფრო იმპერატიულად განსაზღვრავს საქმის განხილვის ადგილს. გარდა ამისა, მსგავსი კატეგორიის საქმეებზე ასევე მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინებაც, რომ არათუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, არამედ მოპასუხე/მონინაალმდევე მხარეც ამ ტერიტორიულ ერთეულში მდებარეობს და მის მიერ მიღებული დადგენილების გასაჩივრების წესშიც სწორედ ამ ტერიტორიული ადგილის განსჯადი სასამართლოა მითითებული.

სასამართლოს განმარტებით, ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვით მოსარჩელე მმართველს მოპასუხის სასამართლოს და საერთო წესის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო. ამდენად, ემთხვევა რა მათი ადგილმდებარეობა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი ერთმანეთს თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საჩივრის განხილვა უნდა მოხდეს შესაბამისი განსჯადი სასამართლოს მიერ, რამეთუ საკითხის ამგვარი გადანყვეტა ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების ადგილ-

ზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, პროცესის ეკონომიურობას და ოპერატიულობას, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა დივერსიფიკაციას, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარ განაწილებას.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-20017 გადაწყვეტილების მე-13 მუხლის თანახმად, გორის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება თვითმმართველი ქალაქის – გორის, გორისა და კასპის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით, აგრეთვე „დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2007 წლის 8 მაისის დადგენილებით შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის (გარდა ახალგორისა და თიღვის მუნიციპალიტეტებისა) ტერიტორიით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ ო. ხ-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა გადაგზავნოდა გორის რაიონულ სასამართლოს.

გორის რაიონული სასამართლო არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებას და 2019 წლის 25 ივნისის განჩინებით წამოიწყო დავა განსჯადობის შესახებ.

გორის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის მასალების მიხედვით, ო. ხ-ი 2019 წლის 22 აპრილის № სდ 006052 ელექტრონული დადგენილებით ცნობილ იქნა დამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ ქალაქ თბილისში (დიდუბე-ჩუღურეთში) ავტომანქანის ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მართვის გამო. აღნიშნული დადგენილება ო. ხ-ის მიერ გასაჩივრებული იქნა 2019 წლის 30 აპრილს საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში. ო. ხ-ის მიმართ 2019 წლის 30 აპრილის №ენ 409206 ელექტრონული საჯარიმო ქვითარი შედგენილ იქნა საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს მიერ გორის მუნიციპალიტეტში უფლებააკრძალული პირის მიერ ავტომანქანის მართვის გამო. ქმედება, გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121-ე მუხლის პირველი ნაწილით. აღნიშნული საჯარიმო ქვითარი ო. ხ-ის მიერ გასაჩივრებულ იქნა 2019 წლის 1 მაისს საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში. მისი საჩივარი გადაგზავნილ იქნა საქართველოს შსს საპატრულო პოლი-

ციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარ სამმართველოში, რომლის 2019 წლის 3 მაისის № MIA 0 19 01128418 დადგენილებითაც მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. ო. ხ-ი რეგისტრირებულია გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ..., თუმცა ფაქტობრივად ცხოვრობს თბილისში, ... ქ. №22/402ბ -ში. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, ხოლო 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება, განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მოცემული ნორმა იძლევა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე – 125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის შესაძლებლობას როგორც ჩადენის, ასევე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის მიხედვით, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს.

გორის რაიონულ სასამართლოს მიაჩნია, რომ ო. ხ-ის საჩივარი 2019 წლის 22 აპრილის № სდ 006052 ელექტრონული დადგენილების ბაზაზე ცნობის თაობაზე განეკუთვნება მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს განსჯადობას, რამდენადაც ო. ხ-ის საცხოვრებელი და სავარაუდო დარღვევის ჩადენის ადგილიც ქალაქი თბილისია, და ამ შემთხვევაში კანონმდებლობა განსჯადი სასამართლოს არჩევის შესაძლებლობას არ იძლევა. ამ დადგენილებასთან ერთად, ო. ხ-ი სადავოდ ხდის საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს 2019 წლის 30 აპრილის № ენ 409206 ელექტრონულ საჯარიმო ქვითარსაც (ქმედება, გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121-ე მუხლის 1-ლი ნაწილით), რაც შედგენილია გორის მუნიციპალიტეტში ჩადენილი სავარაუდო დარღვევის გამო. გორის რაიონული სასამართლო განმარტავს, რომ ამ შემთხვევაში განსჯადი სასამართლოს არჩევის შესაძლებლობა საჩივრის ავტორს ენიჭება: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მას უფლება აქვს, საჩივარი წარადგინოს როგორც თბილისის საქალაქო (მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით), ასევე გორის რაიონულ სასამართლოში (სავარაუდო დარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით). ო. ხ-მა გამოიყენა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული ეს უფლება და 2019 წლის 22 აპრილის № სდ 006052 ელექტრონული დადგენილების ბაზაზე

ცნობის მოთხოვნასთან ერთად, რაც ყველა შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს განსჯადია, სადავო გახადა 2019 წლის 30 აპრილის № 409206 ელექტრონული საჯარიმო ქვითარიც და საჩივარი ამ მოთხოვნაზეც თბილისის საქალაქო სასამართლოში წარადგინა. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ გორის მუნიციპალიტეტში ჩადენილი სავარაუდო დარღვევისათვის საჯარიმო სახდელის განსაზღვრას საფუძვლად დაედო ქალაქ თბილისში ჩადენილი დარღვევისათვის გამოტანილი სახდელი მართვის უფლების აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილება. მოცემული საქმე შესაძლოა, გორის რაიონული სასამართლოს განსჯადი გამხდარიყო მხოლოდ გორის მუნიციპალიტეტში ჩადენილი სავარაუდო დარღვევის გამო იმ შემთხვევაში, თუკი ო. ხ-ი საჩივარს ამ სასამართლოში წარმოადგენდა. მან კი სასამართლოს მიმართა თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რისი უფლებაც მას კანონმდებლობით ჰქონდა მინიჭებული. გორის რაიონული სასამართლო არ იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს პოზიციას, რომ მოცემულ საქმეზე განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს სავარაუდო დარღვევის ჩადენის ადგილს, რადგან საკითხი ამგვარი პრინციპით უნდა გადაწყდეს იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის სამართალდარღვევის ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლით კი სამართალდარღვევის განსჯადი სასამართლო ზუსტად განსაზღვრულია: 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება, განხილულ იქნეს როგორც სავარაუდო 6 დარღვევის ჩადენის, ასევე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. გორის რაიონულ სასამართლოს მიაჩნია, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ო. ხ-ის ორივე სავარაუდო დარღვევის ჩადენის ადგილი გორის მუნიციპალიტეტი იქნებოდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს მხრიდან ამ საქმის გორის რაიონულ სასამართლოში განსჯადობით გადაგზავნის საფუძველი სახეზე მაინც არ იქნებოდა, რადგან, როგორც აღინიშნა, ო. ხ-ს სრული უფლება ჰქონდა, საჩივრით მიემართა თბილისის საქალაქო სასამართლოსათვის თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და იქ მოეთხოვა საქმის განხილვა. ამ გარემოებათა გამო, გორის რაიონული სასამართლო ასევე არ ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს პოზიციას, რომ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილთან ერთად, მნიშვნელობა აქვს მოპასუხე მხარის გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულში მდებარეობას და მის მიერ მიღებული დადგენილების გასაჩივრების ნესში ტერიტორიული ადგილის განსჯად სასამართლოდ გორის რა-

იონული სასამართლოს მითითებას. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლით 116-ე-125-ე მუხლებზე ტერიტორიული ადგილის განსჯადობა განსაზღვრულია არა მოპასუხის, არამედ სავარაუდო დარღვევის ჩადენის ან სავარაუდო დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამ შემთხვევაში ტერიტორიული იურისდიქცია არ ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც მდებარეობს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო. გორის რაიონული სასამართლო არ ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს მსჯელობას, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობა და სავარაუდო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი სრულად ემთხვევა ერთმანეთს და ეს ადგილი გორის მუნიციპალიტეტია; როგორც აღინიშნა, ო. ხ-ი პირველ შემთხვევაში დამრღვევად იქნა ცნობილი საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის ქალაქ თბილისის სამმართველოს მიერ, რომლის ადგილსამყოფელიც ქალაქი თბილისია, ამავე ადგილზე ჩადენილი სავარაუდო დარღვევისათვის. დავა ამ ნაწილში მთლიანად თბილისის საქალაქო სასამართლოს განსჯადია, ხოლო გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩადენილი დარღვევისათვის ო. ხ-ს სრული უფლება ჰქონდა, მიემართა საჩივრით თბილისის საქალაქო სასამართლოსათვის არა სავარაუდო დარღვევის ჩადენის, არამედ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. კანონმდებლობით ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლოს განსაზღვრულობიდან გამომდინარე, განსჯადობის იმ პრინციპით გადაწყვეტა, რომ ხელს შეეწყოს მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, პროცესის ეკონომიურობას და ოპერატიულობას, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა დივერსიფიკაციას, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარ განაწილებას, არარელევანტურია. განსჯადობასთან შედარებით მითითებული პრინციპისათვის უპირატესობის მინიჭების შემთხვევაში, საქმის სხვა სასამართლოში გადაგზავნა შესაძლებელი იქნება ორი საფუძვლით: დამრღვევის საცხოვრებელი და დარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით, რაც აზრს უკარგავს კანონმდებლობით განსჯადობის წესების განსაზღვრას. გარდა ამისა, ამ შემთხვევაში საქმის სხვა სასამართლოში გადაგზავნა საჩივრის ავტორისათვის კანონმდებლობით მინიჭებული განსჯადი სასამართლოს არჩევის უფლების შეზღუდვას წარმოადგენს. მხარეს უნდა ჰქონდეს ლეგიტიმური მოლოდინი და განცდა, რომ მის საქმეს განიხილავს და გადაწყვეტილებას მიიღებს კანონმდებლობით ზუსტად განსაზღვრული განსჯადი სასამართლო, რათა გადაწყვეტოს საჩივრის აღძვრა-არაღძვრისა თუ საქმესთან დაკავშირებული სხვა მისთვის მნიშვნელოვანი საკითხები. გორის რაიონული სა-

სამართლო არ მსჯელობს თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილების იმ პუნქტებზე, რაც ეხება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 მაისის №ბს-284-284(გ-18) განჩინებაზე საქმის განსჯადობით გადაგზავნასა და მსგავსი საჩივრების ავტორების უმეტესობის – იურიდიული პირების იურიდიულ მისამართად ქ. თბილისის ფიქსირებას, რამდენადაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 მაისის განჩინება ეხება უძრავ ქონებასთან დაკავშირებით აღძრული სარჩელების და არა სამართალდარღვევების განსჯადობას, ხოლო იურიდიული პირების ადგილსამყოფლის შესახებ მსჯელობა ეხება ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობას. ამ მსჯელობებს განსახილველ დავასთან მიმართებაში კავშირი არ აქვს.

გორის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით, განსჯად სასამართლოს წარმოადგენს პირველ შემთხვევაში როგორც სავარაუდო დარღვევის ჩადენის, ასევე საჩივრის ავტორის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (ქ. თბილისი), ხოლო მეორე შემთხვევაში საჩივრის ავტორის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოსა და გორის რაიონული სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად.

მოცემულ შემთხვევაში, სპეციალური კანონი – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლი ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის განსჯა-

დობას. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵-159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო, ხოლო მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განიხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ო. ხ-ი 2019 წლის 22 აპრილის №სდ 006052 ელექტრონული დადგენილებით ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ ქალაქ თბილისში (დიდუბე-ჩუღურეთში) ავტომანქანის ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მართვის გამო. აღნიშნული დადგენილება ო. ხ-ის მიერ გასაჩივრებულ იქნა 2019 წლის 30 აპრილს საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის ფაქტზე, გორის მუნიციპალიტეტში უფლებააკრძალული პირის მიერ ავტომანქანის მართვის გამო ო. ხ-ის მიმართ 2019 წლის 30 აპრილის №ენ 409206 ელექტრონული საჯარიმო ქვითარი შედგენილ იქნა საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს მიერ. აღნიშნული საჯარიმო ქვითარი ო. ხ-ის მიერ გასაჩივრდა 2019 წლის 1 მაისს საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში. მისი საჩივარი გადაგზავნილ იქნა საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარ სამმართველოში, რომლის 2019 წლის 3 მაისის № MIA 0 19 01128418 დადგენილებითაც მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. ო. ხ-ის რეგისტრაციის მისამართია გორის მუნიციპალიტეტის სოფელი ..., თუმცა ფაქტობრივად ცხოვრობს თბილისში, ... ქ. №22/402ბ-ში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები ადგენს საჩივრის ალტერნატიულ განსჯადობას – სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის ან სამართალდამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქარ-

თველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორმა აირჩია განსჯადი სასამართლო და საჩივარი წარადგინა მისი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილისა და 2019 წლის 22 აპრილს სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემული საქმის იდენტური დავის განსახილველად მოსარჩელის არჩევანის შესაბამისად სასამართლოსათვის დაქვემდებარების სამართლებრივი დასაბუთება მოცემულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის №ბს-614-611(გ-17) და 2017 წლის 17 ოქტომბრის №ბს-522-519(გ-17) საქმეებზე გამოტანილ განჩინებებში. აღნიშნულ განჩინებებში ჩამოყალიბებული სამართლებრივი დასკვნებითა და განმარტებებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის შესაბამისად, მოცემული კატეგორიის იდენტურ საქმეზე განსჯადობის საკითხი გადაწყდა საჩივრის ავტორის არჩევანის შესაბამისად. ამგვარად, პროცესის ეკონომიურობის, ოპერატიულობისა და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოს იდენტურ სამართლებრივ საკითხზე მიღებული აქვს გადაწყვეტილება, დავა ტერიტორიული განსჯადობით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ქვემდებარეა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ო. ხ-ის საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, მე-2 მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ო. ხ-ის საჩივარი განსჯადობით დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 298 21 03
www.supremecourt.ge